საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №46 (3087) შაბათი, 20 თებერვალი, 1999 წელი. ფასი სახელშეკრულებო.

დღის აქცენტი

მთავრობის გაფართოებული სხდომა

ქვეყანამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თავის უპირველეს პრობლემად და საზრუნავად უნდა გამოაცხადოს

განსაკუთრებით საშიში და სერიოზული მოვლენაა კორუფციის შეღწევა პოლიტიკაში, ანუ როდესაც კორუფცია ერთვება საკანონმდებლო ორგანოსა თუ აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტებაში, რაც საფუძველშივე უნდა აღმოიფხვრას, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მთავრობის გუშინდელ გაფართოებულ სხდომაზე. მისი აზრით, ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა შექმნას პირობები იმისათვის, რომ საქართველომ ისწავლოს ადამიანის უფლებათა რეალური დაცვა და პატივისცემა. დღემდე ქვეყანაში შექმნილი ინსტიტუტები, რომლებიც სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტს წარმოადგენენ, სხვა გარემოებებთან ერთად, ქმნიან იმის საფუძველს, რომ ქვეყანამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თავის ნომერ პირველ პრობლემად და საზრუნავად გამოაცხადოს.

საქართველოს მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 19 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა, შეაჯამეს 1998 წელს გაწეული მუშაობის შედეგები სამართლებრივი რეფორმის განხორციელების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში და დასახეს სამომავლო ამოცანები ამ სფეროში. სხდომაზე მოწვეული იყვნენ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების ხელმძღვანელები, სასამართლო კორპუსის წარმომადგენლები, პარლამენტის დეპუტატები, რეგიონული ადმინისტრაციების მეთაურები.

მთავრობის გაფართოებული სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია.

მოხსენებები გააკეთეს გენერალურმა პროკურორმა ჯამლეთ ბაბილაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა კახა თარგამაძემ, სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ და იუსტიციის მინისტრმა ელადიმერ ჭანტურიამ.

რთული იყო 1998 წელი. 9 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტზე თავდასხმა, ესებუას ჯგუფის მიერ ორგანიზებული ტერორისტული აქტი სოფელ ჯიხაშკარში, მაისის მოვლენები გალის რაიონში, სახელმწიფო გადატრიალების ცდა... მიუხედავად იმისა, რომ ასეთი რამის გადატანა გაუჭირდებოდა ფეხზე უფრო მყარად მდგარ სახელმწიფოსაც კი, ვიდრე საქართველოა, სამართალდამცავი ორგანოების და ძალოვანი სტრუქტურების ძალისხმევით ქვეყანაში მოხერხდა სტაბილურობის შენარჩუნება. ჯამლეთ ბაბილაშვილისა და კახა თარგამაძის მოხსენებებში მოყვანილი სამართალდარღვევათა დინამიკის მაჩვენებლები გვარწმუნებენ, რომ საერთო ანგარიშით 1998 წელს არ შეინიშნებოდა კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავების ტენდენცია. დამაიმედებელია დანაშაულობათა გახსნის დონე, რომელიც აღემატება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მაჩვენებლებს.

იხ. მე-2 გვ.

კანონმდებლები

მიიღეს კანონპროექტები

გუშინ, დილის სხდომაზე, მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თენგიზ ტონიამ პარლამენტარებს პირველი მოსმენით განსახილველად წარმოუდგინა კანონპროექტი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ".

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონები სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით ჩამორჩებიან ბარის რაიონებს, ნათქვამია კანონპროექტის განმარტებით ბარათში. ბოლო პერიოდის მოვლენებმა კიდევ უფრო გააუარესა მთიანეთში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება და გააძლიერა მოსახლეობის მიგრაცია მთიდან ბარში.

პარლამენტარებმა განიხილეს და პირველი მოსმენით მიიღეს საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თემურ კოპალეიშვილის მიერ წარმოდგენილი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი კანონში „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილების შესახებ".

სხდომის დასასრულს პარლამენტარებმა კენჭისყრის შედეგად მიიღეს ყველა ის კანონპროექტი, რომლებიც ოთხშაბათს, 18 თებერვლის პლენარულ სხდომაზე იყო განხილული.

ამით პარლამენტის 17, 19 თებერვლის პლენარულმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

პარლამენტის პრესსამსახური.

თემის გაგრძელება

როგორი იქნება ახალი ანაკლია?

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ამ საკითხზე ახლახან დიდი მსჯელობა იყო ზუგდიდსა და ანაკლიაში, სადაც საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით შექმნილმა სამთავრობო კომისიამ ბატონ ვაჟა ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, თავისი პირველი გამსვლელი სხდომა გამართა. მართლაც, როგორი იქნება ახალი ანაკლია? – შავი ზღვის ერთ-ერთი უპირველესი ღრმაწყლიანი ნავსადგური და ქალაქი, რომელიც აქ აშენდება?

ჯერჯერობით ეს ყველაფერი მხოლოდ საპროექტო პლანშეტებსა და ნახაზებზე კონცეფციის სახით აქვთ წარმოდგენილი ამ იდეის ავტორებს – საზღვაო თუ სამშენებლო დარგის სპეციალისტებს, არქიტექტორებს, რომლებთანაც რამდენიმე დღე გავატარე ანაკლიასა და ზუგდიდში. ვიდრე მოგითხრობდეთ, როგორ გადაწყვეტას გვთავაზობენ ისინი, როგორ აღიქვამენ ამ ისტორიულ ფაქტს სამეგრელოში, როგორ აპირებენ ამ მშენებლობის დაფინანსებას ჩვენი ხელისუფლება და ინვესტორები, ჯერ მცირეოდენი ისტორიული ექსკურსით დავიწყებ.

იხ. მე-3 გვ.

რეაქცია

კანონების აღსრულებისთვის მათი ცოდნაა საჭირო

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" წლევანდელი 10 თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „ვინ დგას მურმანის ეკალივით გაზეთსა და მკითხველს შორის?", რომელიც გორში ამ გაზეთის გავრცელების პრობლემებს ეხებოდა.

იხ. მე-2 გვ.

პირველად ქართული მასმედიის ისტორიაში!
ახალი ამბების სააგენტო
პრაიმ-ნიუსი
interfax
интерфакс
ინტერფაქსის ოფიციალური
და ექსკლუზიური
დისტრიბუტორი
საქართველოში
ტელ: 92 32 14 ფაქსი: 92 32 02
e-mail: pna@pna.com.ge

გვწერენ

მეწარმეს ხელი არ უნდა შეუშალონ

პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლისთანავე გადამხდელთა კავშირის წევრები შეიკრიბნენ და სჯა-ბაასი გამართეს. დებატები მწვავე იყო. ითქვა, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ობიექტური შეფასება მისცა ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობას, რომლის გამოსასწორებლადაც საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგან.

მეწარმეებმა, ბიზნესმენებმა დაგმეს უსაგნო და უმიზნო კრიტიკა, ცალკეული გამოხდომები, რომლებიც პოლიტიკური ისტებლიშმენტის წარმომადგენელთა ბოლოდროინდელ გამოსვლებში შეინიშნება. თვალსაჩინოა, ითქვა შეკრებაზე, ზოგი ოპოზიციური პარტიის ლიდერის დემარში. ისინი მიზნად ისახავენ მეწარმეთა ტერორიზებას და არსებითად პოლიტიკურ შანტაჟს მიმართავენ.

ასეთ სიტუაციაში მეწარმეთა პოზიცია გამოკვეთილია. ისინი არ აპირებენ ცალკე პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბებას, მხარს იმ პოლიტიკურ ძალას დაუჭერენ, რომელიც ეროვნული ეკონომიკის აღორძინებისა და მეწარმეობის განვითარების იდეას რეალურად განახორციელებს. მეწარმეები შეეცდებიან არ დაუშვან მათი ინტერესების შელახვა, არ იქცნენ საჯილდაო ქვად წინასაარჩევნო ბატალიებში, ხოლო იმათ, ვინც შეეცდება ზეწოლის გზით გადაიბირონ საქმიანი ადამიანები, საკადრის პასუხს გასცემენ.

გადამხდელთა კავშირის საბჭო.

ინფორმაცია

კონფერენცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვას მიეძღვნება

საქართველოში 25-26 თებერვალს ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის თავმჯდომარის ხოსე მარია ბალესტერის ოფიციალური ვიზიტია დაგეგმილი. სტუმარი გაეცნობა საქართველოს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის" საქმიანობას.

ვიზიტის ძირითადი მიზანია თბილისში 2000 წლის გაზაფხულზე ევროპის სახელმწიფოთა კულტურის მინისტრებისა და მოღვაწეთა კონფერენციის ორგანიზება, რომლის სახელწოდებაა „დემოკრატიის განვითარება, საბაზრო ეკონომიკა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა". ეს კონცეფცია არის ცენტრალური ღონისძიება კომპანიისა „ევროპა – საერთო მემკვიდრეობა", რომლის ორგანიზატორიც ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის საბჭოა.

მხარეებმა მზადყოფნა დაადასტურეს

ტერორიზმთან და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში ორი ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლობის საკითხები განიხილეს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორმა ვლადიმერ პუტინმა და საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს წევრმა ნოთა კვირაიამ, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი მოსკოვიდან.

მხარეებმა დაადასტურეს მზადყოფნა – მომავალშიც ყოველი ღონე იხმარონ ურთიერთხელსაყრელი პირობებით თანამშრომლობის აქტივიზაციის მიზნით.

თბილისში საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა გაიმართება

საერთაშორისო ტურისტული ბაზრობით („კავკასია – აბრეშუმის გზის გზაჯვარედინი"), რომელიც თბილისში წლეულს 22-25 თებერვალს გაიმართება, საქართველოთი ასი მსხვილი ტურისტული ორგანიზაცია დაინტერესდა. ამ ორგანიზაციებისა და საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის წარმომადგენლები გუშინ საგამოფენო კომპლექსში სს „ექსპო-ჯორჯია" შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრაზე განიხილეს ბაზრობის გამართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

თბილისის საერთაშორისო ტურისტული ბაზრობა მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის კატალოგში შევა, – თქვა საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ვაჟა შუბლაძემ.

„საქართველო-იტალიის საკონსულო კონვენცია"

საქართველოსა და იტალიის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროებს შორის მოლაპარაკებების შედეგად პარაფირებულია „საქართველო-იტალიის საკონსულო კონვენცია". აღნიშნული მემორანდუმი არის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსთან საკონსულო სფეროში თანამშრომლობის პირველი დოკუმენტი, რაც მას მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვას ანიჭებს. მემორანდუმი საქართველოსა და იტალიის საკონსულო დაწესებულებათა შორის თანამშრომლობის საშუალებას იძლევა.

დსთ სამიტი მარტში გაიმართება

თანამეგობრობის სახელმწიფოების მეთაურთა საბჭოს სხდომა სავარაუდოდ მარტში გაიმართება, განაცხადა დსთ აღმასრულებელმა მდივანმა ბორის ბერეზოვსკიმ გუშინ მინსკში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, კონკრეტული თარიღი სამუშაო წესით განიხილება. ბორის ელცინმა დაავალა რუსეთის მთავრობას ყურადღებით შეისწავლოს სპეციალური ფორუმის მუშაობის შედეგები და მოამზადოს წინადადებები დსთ სამიტისთვის.

გალის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობა წინააღმდეგია

1 მარტიდან გალის რაიონის დევნილების მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესახებ აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლებისა და მისი ლიდერის ვლადისლავ არძინბას მოწოდებასთან დაკავშირებით გალის რაიონის დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა ჯგუფმა განცხადებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს ვახტანგ ყოლბაიას, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებს, გაეროს მისიის ხელმძღვანელს საქართველოში ლივიუ ბოტასა და საქართველოს საკითხში გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების საელჩოებს.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, გალის რაიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრაველესობის დამოკიდებულება არძინბას „მიპატიჟებისადმი" ერთმნიშვნელოვანია – დღევანდელ აფხაზეთში არ არსებობს არა მარტო ქართველთა, არამედ აფხაზთა სიცოცხლის გარანტია. იგი დამამცირებელი და ღირსების შემლახავია დევნილი მოსახლეობისთვის და საქართველოს სახელმწიფო იურისდიქციის გარეშე იქ დაბრუნება აფხაზეთის დამნაშავე, სეპარატისტული რეჟიმის „პირის მოწმენდას", ნაწილობრივ რეაბილიტაციას ნიშნავს.

ელექტროენერგიის მოწოდება 180 მეგავატამდე გაიზრდება

რუსეთიდან საქართველოში ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის" საშუალებით ელექტროენერგიის მოწოდება უახლოეს მომავალში 95 მეგავატიდან 180 მეგავატამდე გაიზრდება, რაც ქვეყანას დღე-ღამეში დამატებით 2 მლნ. კვტ. სთ-ს მოუტანს. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ მიხეილ მენთეშაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, რუსეთის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. თუმცა, გადასაწყვეტია საქართველოს 44 მლნ. აშშ დოლარის-რუსეთის მიერ მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის დავალიანების საკითხი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ზეამ, პრაიმ-ნიუსმა.

უკანასკნელ საათს

გუშინ თურქეთის სამთავრობო ძალებმა ქვეყნის აღმოსავლეთით ფართომასშტაბიანი ოპერაცია დაიწყეს ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ.

ისრაელის მოსადის სამსახურის დირექტორმა ეფრაიმ პალევიმ გუშინ უარყო თავისი ქვეყნისა და მის ხელქვეით მყოფი სამსახურის მონაწილეობა ქურთი სეპარატისტების ლიდერის აბდულა ოჯალანის დაკავებაში.

გუშინ ჩეჩნეთში ორი მძევალი გაათავისუფლეს – 4 თვის წინათ მახაჩყალიდან გატაცებული დაღესტნის მილიციის უფროსი სერჟანტი ილია გაჯიევი და 9 თვის წინათ გატაცებული 9 წლის გიორგი აშკალოვი.

გუშინ ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ასლან მასხადოვმა საინფორმაციო გამოშვებების გარდა რუსეთის ტელეარხების ტრანსლირება აკრძალა.

ფინანსები

ლარის კურსი

71653

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1999 წლის 20 თებერვლიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	3.8161 ლარი
გერმანული მარკა	1	1.3365 ლარი
აშშ დოლარი	1	2.3350 ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.3985 ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0675 ლარი
რუსული რუბლი	1	0.1016 ლარი.

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში
ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, მთაში თოვლი, დასავლეთის ქარი 10-15 მ/წ.
დაბლობში: ღამით 0+5;
დღისით +1+6.
მთაში: ღამით -3+2;
დღისით -2+3.
მაღალ მთაში: ღამით -1-6; დღისით 0-5.

აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ნალექი უმეტესად თოვლის სახით.
ბარში: ღამით 0+5;
დღისით +3+8.
მთაში: ღამით: -3+2; დღისით 0+5.
მაღალ მთაში: ღამით -3-8;
დღისით -2+3.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ღამით ნალექი.
ღამით +2+4; დღისით +6+8.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 18 თებერვალი ქ. თბილისი

მ. გოგოლაძისა და მ. ზარანდიას დაჯილდოების შესახებ

საქართველოს ტერიტორიაზე, კონტრაბანდული გზით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების შემომტანთა და გამსაღებელთა დაკავებისას გამოჩენილი ოპერატიულობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული ბიუროს თანამშრომლები დაჯილდოვდნენ:

მედლით „მხედრული მამაცობისათვის":

მერაბ გოგოლაძე – პოლიციის პოლკოვნიკი, განყოფილების უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

მურმან ზარანდია – პოლიციის პოლკოვნიკი, განყოფილების უფროსის მოადგილე.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 18 თებერვალი ქ. თბილისი

ფ. ქირათელიძის მედლით „მხედრული მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობის, გამბედაობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი, პოლიციის პოლკოვნიკი **ფარვიზ ქირათელიძე** დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის".

ე. შევარდნაძე.

შევეწიოთ!

სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა

წმინდა სამების საკათედრო ტაძრისათვის შემოწირულობათა ნუსხას ახალი სახელები ემატება. მშენებლობის ფონდი მადლობას უხდის ყველას, ვინც თუნდაც ერთი ლარით დაეხმარა. ხოლო, ვისაც სურვილი და საშუალება აქვს მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში, გაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს:

საქართველოს ბანკი, ეროვნული ვალუტის ანგარიში №003700076, საერთაშორისო ვალუტის ანგარიში №50107635, მფო 521017.

დანიშნულება: წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში.

ბანკის მისამართი: პუშკინის ქუჩა №3, დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 99-54-51, 99-06-43, 99-63-03, 99-70-14, 93-31-69, 99-80-26, 99-81-91.

ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

„საქართველოს ბანკის" ვაკის ფილიალი	– 140 ლარი;
„ინდუსტრიაინვესტი"	– 15 ლარი;
დათო ოქრუაშვილი	– 2000 ლარი;
ელისო კოხტაბელადამვილი	– 25 ლარი;
ლევან სანიკიძე	– 10 ლარი;
მარიამ გაბუნია	– 5 ლარი;
ქეთევან ჭყონია	– 5 ლარი;
დავით კიკოლიშვილი	– 5 ლარი.
ყულაბებიდან	– 114 ლარი.

პრესა

რატომ კეთდება ძირითადი სვლები შავი ფიგურებით?

„... რაც შეიძლება მეტი დადებითი ეკონომიკური მასალა მოგვაწოდეთ. ანისიმოვი კარგად წერს, მაგრამ ყველა დანარჩენი – „სამყაროს დასასრული", „სამყაროს დასასრული", „სამყაროს დასასრული". კარგიც ხომ ხდება. პოდა აღზარდეთ ახალგაზრდობა..." – ასეთ სურვილს გამოთქვამს „კომსომოლსკაია პრავდას" მკითხველი.

დაახლოებით იგივე მოსაზრებისაა ტელე-საგაზეთო სუროგატით თავგაბეზრებული ქართველი მკითხველიც;

ეს არის ნორმალური რეაქცია იმაზე, რასაც ელექტრონული თუ ნაბეჭდი პროდუქციის სახით ვთავაზობთ საზოგადოებას.

იხ. მე-4 გვ.

საბაჟო

ბიუჯეტში შეიტანეს

გუშინდელი ოპერატიული ინფორმაციით, ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან ბიუჯეტში შეტანილია 11 543 ათასი ლარი. დღის საბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 529,1 ათასი ლარი.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამსახურმა გამოავლინა საბაჟო წესების დარღვევის 2 ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტში სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 13060 ლარი.

ტვირთის საქართველოში იმპორტის საბაჟო გაფორმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის გამო და შემოწმების მიზნით კონტრაბანდისა და საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს თანამშრომლებმა ტერმინალში შეიყვანეს ცხინვალის რეგიონიდან მომავალი 23 ტონა დიზელის საწვავით დატვირთული ავტოცისტერნები; 10 ტონა ქატოთი, 1 ტონა ფქვილით და 400 ლიტრი დიზელის საწვავით დატვირთული „კამაზის" მარკის ავტომანქანა და 10 511 ლიტრი ბენზინით დატვირთული „კამაზის" მარკის ავტომანქანა.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

მთავრობის გაფართოებული სხდომა

ქვეყანამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა თავის უპირველეს პრობლემად და საზრუნავად უნდა გამოაცხადოს

(პირველი გვერდიდან)

ეს უზარმაზარი შრომის ფასადაა მოპოვებული. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა სამართალდამცავი ორგანოების 68 თანამშრომელი, ბევრიც დაიჭრა.

მოხსენებები არც ფორმით და არც შინაარსით არ ჰგავდა საზეიმო ანგარიშებს. საქმე ეხებოდა უფრო მეტად პრობლემებს, რომლებიც უწინდებურად მწვავედ დგას სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა წინაშე. უნდა გააქტიურდეს ბრძოლა ისეთ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ, როგორიც არის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა, ტერორიზმი, ნარკობიზნესი, ეკონომიკური დანაშაულობანი და კორუფცია. მომხსენებლები ლაპარაკობდნენ იმაზე, რაც გაკეთდა და, რაც მთავარია, რა უნდა გაკეთდეს ამ მიმართულებით, იმ სიძნელეებზე, რომლებიც უნდა დასძლიონ სამართალდამცავმა ორგანოებმა. მოიყვანეს კონტრაბანდის, სხვადასხვა სფეროში ეკონომიკური დანაშაულობების, საბაჟო გადასახადისათვის თავის არიდების, ფინანსური მაქინაციების, მსხვილი კომერციული ფირმების მიერ შემოსავლის დამალვის ფაქტები, რის გამოც სახელმწიფო ბიუჯეტმა ათობით მილიონი ლარის ზარალი ნახა. და ეს მაშინ, როცა ქვეყანაში არის საბიუჯეტო კრიზისი, ხელფასებისა და პენსიების დავალიანება, თვით სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების ნაკლებობა. გენერალურმა პროკურორმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ კვალიფიციური თანამშრომლები მიდიან პროკურატურიდან, რადგან არ აკმაყოფილებთ მცირე ხელფასი. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა, სახსრების ნაკლებობის გამო ვერ ხერხდება ქვეყნის ფარგლებს გარეთ დაკავებული დამნაშავეების ბადრაგით ჩამოყვანა საქართველოში. ადამიანები, რომელთა მუშაობა ყოველდღიურ რისკთან არის დაკავშირებული, თვეობით ვერ იღებენ ხელფასს.

ეკონომიკური დანაშაულობებისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად გამოცხადდა. მასში აქტიურად არიან ჩაბმული პროკურატურის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების თანამშრომლებიც. მაგრამ, როგორც ხაზგასმით აღინიშნა სხდომაზე, ვერანაირი ძალისხმევა ვერ მოგვიტანს წარმატებას, თუ ძირფესვიანად არ გატარდა სასამართლო რეფორმა. კახა თარგამაძემ თქვა, რომ გამოძიების მიერ სასამართლო ორგანოებისათვის გადაცემული მრავალი საქმის გამო სასამართლო ხშირად არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებდა. მინისტრმა, კერძოდ, მოიყვანა ერთი ქალის მაგალითი, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში ოთხჯერ დააკავეს ნარკოტიკებით ვაჭრობისათვის. სასამართლო ყოველთვის უხსნიდა ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების ბრალდებას და უტოვებდა მხოლოდ მათი უკანონო შენახვის ბრალდებას. ქალი სიმბოლური სასჯელით აღწევდა თავს მართლმსაჯულებას და განაგრძობდა დანაშაულებრივ საქმიანობას. ზოგჯერ სასამართლო განსასჯელებს არ უშვებდა წინასწარ პატიმრობაში მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მათ აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. შედეგი ხშირად სავალალო აღმოჩნდებოდა ხოლმე.

შეეხო რა სასამართლო რეფორმას, იუსტიციის მინისტრმა აღნიშნა, რომ მისი მიზანია ქვეყანაში დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების შექმნა, რაც უთუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების გზაზე. რეფორმა მოიწონეს საზღვარგარეთელმა ექსპერტებმა. საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანა მისი წარმატებული დამთავრების პირობაა. როგორც მინისტრმა თქვა, მოსამართლის თანამდებობისათვის ქვეყანაში მიმდინარე საკვალიფიკაციო გამოცდები იმის საწინდარი იქნება, რომ სასამართლოებში მოვლენ ნამდვილი პროფესიონალები, რომლებიც სათანადო სიმაღლეზე აიყვანენ სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს.

მომხსენებელთა გამოსვლებში იგრძნობოდა შეშფოთება იმის გამო, რომ გააქტიურდნენ დესტრუქციული ძალები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სახელი გაუტეხონ საქართველოს ხელმძღვანელობას და მის პოლიტიკურ კურსს, მოახდინონ დესტაბილიზაცია ქვეყანაში, ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება. ახსენეს, კერძოდ, საქართველოს ექს-პრეზიდენტის მომხრეთა მოსკოვში მოქმედი საკოორდინაციო საბჭო, რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიური სტუმარი იგორ გიორგაძე. სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმას, რომ უნდა გაძლიერდეს მუშაობა ტერორისტული საქმიანობის აღკვეთის მიზნით. როგორც მან თქვა, ტერორიზმი დღეს ქვეყანაში პოლიტიკური მიზნების მიღწევის საშუალება ხდება.

წლევანდელი წელი აღინიშნა ევროპის საბჭოში საქართველოს შესვლით. ევროპულ ოჯახში საქართველოს სრულუფლებიან წევრად მიღება იმის დადასტურებაა, რომ საერთაშორისო გაერთიანება აღიარებს და მხარს უჭერს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, მათ შორის კანონიერების განმტკიცების, მართლწესრიგის, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ამავე დროს, უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მათი წარმატებული განხორციელებისათვის.

კამათში გამოსვლისას, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ რუსუდან ბერიძემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ შეწყალების აქტს, რომლის საფუძველზე თავისუფლება მიიღო 1213 მსჯავრდებულმა და მოუწოდა სამართალდამცავი ორგანოების, ადგილობრივი ადმინისტრაციების თანამშრომლებს დაეხმარონ ამ ადამიანებს სოციალურ რეაბილიტაციაში. საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაზე ილაპარაკა მისმა თავმჯდომარემ ავთანდილ დემეტრაშვილმა.



სერიოზული პოლემიკა გამოიწვია საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარის ნუგზარ ბირკაიას გამოსვლამ, რომელმაც გააკრიტიკა საერთო სასამართლოების შესახებ კანონში პარლამენტის მიერ შეტანილი ცვლილებები. ბირკაიას დაუშვებლად მიაჩნია ამჟამად მოქმედი მოსამართლეებისათვის უფლებამოსილებათა შეწყვეტა დადგენილ დროზე ადრე. პასუხად საქართველოს მოქალაქეთა კავშირის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ ეს სასამართლო რეფორმის განხორციელების აუცილებელი პირობაა.

სხდომაზე გააანალიზეს კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული ვითარება.

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე შეეხო ნარკომანიის პროფილაქტიკისა და მკურნალობის სფეროში საქმიანობის შედეგებს. არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მუშაობის შესახებ ილაპარაკა განათლების მინისტრმა ალექსანდრე კარტოზიამ.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, რომ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა ზუსტად განისაზღვროს, რა პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა და რამ გამოიწვია ისინი. ყველა კორუფციაზე ლაპარაკობს, ისინიც, ვინც მას ებრძვის, და ისინიც, ვინც ამ ლაპარაკით საკუთარ კორუმპირებულობას მალავს. არადა, ხომ არის ამ ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის კონკრეტული მაჩვენებელი — ფისკალური პოლიტიკის შესრულება. საქართველოში, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ თქვა, 35-40 ფირმა აკონტროლებს ბიზნესის 80 პროცენტს. მთავრობის დღევანდელ სხდომაზე გამოსვლები გვისახავს რწმენას, რომ ყველა ამ ადამიანს მოუწევს ანგარიში გაასწოროს ბიუჯეტთან. ეს პრობლემა თუ არ მოგვარდა, ქვეყნის წინაშე დასახული არც ერთი სხვა ამოცანა არ გადაწყდება. როგორც ზურაბ ჟვანიამ თქვა, იმ სახსრებით, რომლებსაც კარგავს ბიუჯეტი, ხშირად ფინანსდება იმ პარტიების საქმიანობა, რომლებიც დაინტერესებულნი არიან, რომ ქვეყნის პოლიტიკური კურსი 180 გრადუსით შებრუნდეს. ახლა, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, მიმდინარეობს 1999 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, მოგვიწევს მისი გასავლის ნაწილის შემცირება, მაგრამ ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო არაფერს დაიშურებს იმისათვის, რომ შეასრულოს საქართველოს პრეზიდენტის დავალება და გამონახოს სახსრები ძალოვანი სტრუქტურებისა და სამართალდამცავი ორგანოების დასაფინანსებლად.

დადგა დრო, ხაზი გაუსვა ზურაბ ჟვანიამ, როცა თითოეულმა ჩვენგანმა საბოლოო დასკვნა უნდა გააკეთოს. და ამ დასკვნაზე იქნება დამოკიდებული, შეაბიჯებს თუ არა საქართველო ოცდამეერთე საუკუნეში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, საერთაშორისო გაერთიანების სრულუფლებიანი და ღირსეული წევრი.

* * *

კორუფცია და მის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება იყო საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლის მთავარი თემაც. მეტიც, სახელმწიფოს მეთაური ამ შეხვედრას სერიოზული შედეგების მიღწევის იმედს უკავშირებს, რადგან მიაჩნია, რომ სწორედ კორუფციის დაძლევაა ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს როგორც ქვეყნის შიგნით არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტას, ისე მისი საერთაშორისო ავტორიტეტის შენარჩუნებასა და განმტკიცებას. მით უმეტეს, რომ ერთსაც და მეორესაც დღეს არსებული ვითარება სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ამიტომ უცხადებს მთელი პრინციპულობით სამართალდამცავებს, რომელთა მისამართით მადლობის სიტყვებიც არ დაიშურა, რომ ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა ერთი წამითაც არ უნდა შენელდეს. თუ აქამდე ამ ბრძოლას, სათანადო ფონის — კანონმდებლობის, მართლმსაჯულების სისტემისა თუ სხვა აუცილებელი ფაქტორების უქონლობის გამო შეიძლებოდა ავანტიურისტული მოძრაობის სახე ჰქონოდა, დღეს სახელმწიფოც და საზოგადოებაც მომწიფებულია იმისათვის, რომ ყველა საჭირო ბერკეტი აამოქმედოს ამ სენის დასაძლევად. ამიტომაც სახელმწიფოს მეთაური კატეგორიულია: „დღეს ეს უკვე პრეზიდენტის, პარლამენტისა და მთელი ჩვენი ხალხის დირექტივაა, რომელიც უნდა შესრულდეს. საერთო ფონი, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური, დღესაც ძალზე მძიმეა, მაგრამ ამ ბრძოლაში ჩვენ გვყავს საუკეთესო მოკავშირე — საქართველოს მოქალაქეები“.

პრეზიდენტი ქვეყნის სამართალდამცავ სტრუქტურებს და მათთან ერთად მთელ საზოგადოებრიობას შეახსენებს იმ საფრთხეს, რომელიც შეიძლება უამრავი სიკეთის პარალელურად მოუტანოს ქვეყანას მისმა ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა მონაპოვარმა — სატრანზიტო ქვეყნის სრულიად ახალმა საერთაშორისო ფუნქციამ. იგი მოუწოდებს ყველა სათანადო სამსახურს, მომზადებული შეხვდეს ამ ფუნქციის შესრულების თანმდევ ნეგატიურ მოვლენებს — იარაღის, ნარკოტიკების, ბანდიტური დაჯგუფებების, ტერორისტების შესაძლო მოძალებას. პრეზიდენტი შიშობს, რომ მათი დაინტერესება იმ დიდი საერთაშორისო პროექტების პერსპექტივებთან ერთად გაიზრდება, რომელთა წარმატებით განხორციელებაზე დიდად არის დამოკიდებული ახალი დამოუკიდებელი ქვეყნის მომავალი. ამიტომ „საქართველომ ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ არ დაიმკვიდროს იმ ქვეყნის სახელი, რომელიც თავისუფლად უხსნის გზას საერთაშორისო ნარკობიზნესსა თუ ტერორიზმს“. ამავე დროს, ძალოვანი სტრუქტურების ბოლოდროინდელი მუშაობის შედეგები მას არწმუნებს, რომ ისინი სერიოზულად ემზადებიან ამ პასუხსაგები ეტაპისათვის.

კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით სახელმწიფოს მეთაური უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმას და ამ პროცესისადმი სკეპტიკურად განწყობილ მოსამართლეებს არწმუნებს, რომ რეფორმის გარეშე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უაზრობა იქნებოდა, დღეს მოქმედი მოსამართლეთა კორპუსი ვერ შეძლებდა ამ დიდი ამოცანის შესრულებას. როგორც მან განაცხადა, რომ არა უზენაესი სასამართლო, ამ სფეროში დღეს აბსოლუტური ქაოსი და განუკითხაობა იქნებოდა. „ვისაც სწამს საქართველოს დამოუკიდებლობის, სწამს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა რეალურად აშენებს სრულიად სხვა წყობას, უნდა გაიგოს, რომ ამ რეფორმის გარეშე ამ მიზანს ვერ მივაღწევთ“.

პრეზიდენტის შეფასებით, სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია მის მოწოდებებს სხვადასხვა პრობლემასთან, მათ შორის, საბიუჯეტო ტერორთან დაკავშირებით. დაუნდობელ ბრძოლას მოითხოვს იგი სამართალდამცავი და სხვა სათანადო სამსახურებისაგან კონტრაბანდის წინააღმდეგ, საიდანაც უნდა შემოდიოდეს იგი. „უნდა დავიცვათ კონტრაბანდისაგან საქართველო და უნდა დავიცვათ წესიერი ბიზნესი, რომელსაც ეს მოვლენა ხშირად კანონის გვერდის ავლას აიძულებს“, აცხადებს პრეზიდენტი და აზუსტებს, რომ ამ ბრძოლაში არავის მფარველობას არ აპატიებს სამართალდამცავებს. „ბიძაშვილი იქნება ჩემი თუ ძმისშვილი, დანდობა არ იქნება. წესრიგის დამყარება ჩემი ნათესავებიდან დაიწყეთ! თუ დავინახავ, რომ ვინმეს ჩემი ნათესაობის ნიშნით მფარველობთ, ჩვენ ერთად ველარ ვიმუშავებთ“, — ამ სიტყვების პირდაპირი ადრესატი შინაგან საქმეთა და უშიშროების მინისტრები არიან.

უზბეკეთის პრეზიდენტის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტი, საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, ის მოვლენაა, რომელიც ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ამ მოვლენას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ეს არის სახელმწიფოთაშორის გასარკვევი საკითხი, რომელზეც ერთხელ უკვე იმსჯელა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი დონის სამიტმა, მაგრამ პრობლემა არ ამოწურულა. დღემდე აფარებენ რუსეთს თავს ტერორიზმში ეჭვმიტანილები, რომელთაც საქართველოს სამართალდამცავები ეძებენ. „თუ მეგობრები და თანამოაზრეები ვართ, ეს პრობლემა უნდა მოიხსნას. საქართველოს ჩასაფრებული მტრები რუსეთში თავშესაფარს ვერ უნდა პოულობდნენ. მე მოვუწოდებ რუსეთის ხელმძღვანელობას: ტერორისტებს ნუ შესწირავთ საქართველოსთან კეთილმეზობლობასა და მეგობრობას. ისინი ისევე გაყიდიან რუსეთს, როგორც გაყიდეს საკუთარი სამშობლო“, აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

და — კვლავ კორუფცია. „მინდა მეც მწამდეს და თქვენც დაიჯეროთ, რომ დღევანდელი შეხვედრა არ არის რიგითი, არაფრად ეღირება ჩვენი ეს რამდენიმესაათიანი დისკუსია, თუ ის არ მიგვიყვანს რეალურ გარდატეხამდე ამ თვალსაზრისით“, განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მისი აზრით, ამ შეხვედრას უნდა მოჰყვეს საერთო-სახალხო პროგრამა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება თითოეული სტრუქტურის, რაიონის, ქალაქის სამოქმედო გეგმა და ანალიზი — სად არის ჩვენი ყველაზე სუსტი ადგილები და როგორ შეიძლება მათი მოვლა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა, ერთი მხრივ, მიზეზების აღმოფხვრა, მეორე მხრივ კი, დამნაშავეთა დასჯა. თუ ამ ბრძოლას ერთი წლის განმავლობაში სერიოზული, საგრძნობი გარდატეხა არ მოჰყვება, პრეზიდენტის აზრით, სხდომის მონაწილეთა, ანუ იმ ადამიანთა შემადგენლობა, რომლებზეც პირდაპირ არის დამოკიდებული ამ ამოცანების ხორცშესხმა... შეიცვლება. „ეს არ არის მუქარა. ეს არის შეხსენება დიდი პასუხისმგებლობისა ქვეყნის, მისი მომავლის წინაშე.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

რეაქცია

კანონების აღსრულებისთვის მათი ცოდნაა საჭირო

(პირველი გვერდიდან)

ვიდრე ამის თაობაზე ვიტყოდე რამეს, ერთი აქსიომური ჭეშმარიტება მინდა აღვნიშნო: როგორც მკვიდრი სახლი ვერ აიგება უსაძირკვლოდ, ისე ვერც სამართლებრივი და დემოკრატიული ქვეყანა, რომლის მშენებლობასაც ვესწრაფვით, ვერ შეიქმნება და იარსებებს სათანადო საკანონმდებლო ბაზის, სხვადასხვა კანონებისა თუ ნორმატიული აქტების გარეშე. ისინი კი, ჯერჯერობით, მხოლოდ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ იბეჭდება და იქ პუბლიკაციის შემდეგღა იწყებს მოქმედებას. მაგრამ მთავარი მაინც ის გახლავთ, რომ ისინი გულდასმით შეისწავლონ და სამოქმედო სახელმძღვანელოდაც გამოიყენონ იმ სამინისტროების, უწყებების თუ ორგანოების ხელმძღვანელებმა, რომლებიც, სამსახურებრივი მოვალეობებიდან გამომდინარე, აღასრულებენ კანონებს და უშუალოდაც მონაწილეობენ სახელმწიფო აღმშენებლობაში.

„აგეტირება კაცს, ისეთი მდგომარეობაა ქ. გორში „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოწერა-გაყიდვაში. გამოწერილია სულ 19 გაზეთი, ჯიხურებში 60-ათასიან ქალაქში სულ ორი ცალი გაზეთი მოდის (!). „საქართველოს რესპუბლიკას“ ჯერჯერობით არ იღებენ შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში. ცუდი მაგალითი რომ გადამდებია, გორის გამგეობის გაზეთების გამოწერისადმი დამოკიდებულებიდანაც ჩანს. გაზეთი, რომელიც მათ ყოველი ფეხის ნაბიჯზე სჭირდებათ, წლეულს არ გამოუწერიათ და დღემდე ჯიუტად არიდებენ თავს მის გამოწერას. ის კი არა, ჯერ შარშანდელი ვალი — 1800 ლარიც არ დაუფარავთ“.

ამ ციტატით, რომელიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სწორედ ზემოაღნიშნული სტატიიდან არის აღებული, ნათლად ჩანს, რა მდგომარეობაცაა ადგილებზე და, სამწუხაროდ, იგი გამონაკლისი არ არის. „საქპრესის“ ხაზით საქართველოს ბევრ რაიონში, კერძოდ, ყვარელში, წალკაში, ახალგორში, თიანეთში, ადიგენში, ბორჯომში, მესტიაში, ჩხოროწყუში, ცაგერში და სხვაგან, მხოლოდ თითო „საქართველოს რესპუბლიკა“ აქვთ გამოწერილი. და ისინიც უზენაესმა სასამართლომ თავისი ხარჯებით გამოუწერა იქაურ მოსამართლეებს. მაშ საინტერესოა, რით ხელმძღვანელობენ იქაური გამგებლები, საკრებულოთა თავმჯდომარეები, პროკურორები, პოლიციის, სახელმწიფო უშიშროების, საგადასახადო თუ სხვა სახელმწიფო სამსახურების უფროსები? კანონთა აღსრულებისთვის ხომ მათი ცოდნაა საჭირო?

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ რაც შეიძლება მეტმა მკითხველმა მიიღოს გაზეთი, ახლახან მოიწვია თათბირი პრესის გამავრცელებლებისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ წარმომადგენელთა მონაწილეობით. იქაც ითქვა და ახლაც ვადასტურებთ: თუ მოთხოვნა იქნება, სამინისტრო მზად არის შეუზღუდავად და ოპერატიულად ჩაიტანოს გაზეთები საქართველოს ყველა რაიონსა და ქალაქში.

ოთარ ბიწაძე,
საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრის მოადგილე.

ენერგეტიკა

„ზაჰესი“ პოზიციას არ დათმობს

რამდენად მიზანშეწონილი, მომგებიანია საიჯარო საწარმოების პრივატიზება?

1997 წლის 26 ივნისს ოფიციალურად აღინიშნა „ზაჰესის“ (ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური) 70 წლისთავის იუბილე.

საქართველოს ელექტრიფიკაციის ფლაგმანის თანამშრომლები მაშინ საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა, ნაწილს მადლობა გამოეცხადა. ჰიდროელექტროსადგურს, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ქვეყნის მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას, დიდი პატივი ხვდა — „ზაჰესი“ ისტორიულ ძეგლად აღიარეს. სწორედ ამან დაუდო საფუძველი მის ტერიტორიაზე „ზაჰესისა“ და მთელი ქართული ენერგეტიკის მუზეუმის შექმნას. მუზეუმს დღეს მხცოვანი ენერგეტიკოსი, „საქმთავარენერგოს“ ყოფილი ხელმძღვანელი უჩა ცქვიტინიძე თავკაცობს. საქართველოს ისტორიაში „ზაჰესი“ იმითაც არის ღირებული, რომ იგი ააგო უდიდესმა ქართველმა მეცნიერმა და ინჟინერ-ენერგეტიკოსმა, კავკასიასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობის ფუძემდებელმა ბესარიონ ჭიჭინაძემ.

„ზაჰესი“ კავკასიაში პირველი, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში, ვოლხოვის შემდეგ, მეორე ჰიდროელექტროსადგური იყო, რომელმაც ქვეყანას ელექტროენერგია მიაწოდა. იგი დღემდე პირნათლად ასრულებს თავის უპირველეს მოვალეობას. არადა, არცთუ დიდი ხნის წინათ, ქვეყანაში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ იგი იმდენად მძიმე დღეში ჩააგდო, რომ დღის წესრიგში სადგურის გადარჩენის აუცილებლობა დადგა. ამ რთული ვითარებიდან გამოსვლის მიზნით 1993 წლის თებერვალში შეიქმნა შპს „ზაჰესი“, რომელმაც სადგური იჯარით აიღო, ფეხზე დააყენა და მას დღესაც ღირსეულად პატრონობს. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში დღეს გაყიდული ელექტროენერგიის საფასურის ამოღება ვერ ხერხდება და ენერგოგენერაციის ობიექტებში ათეულობით ახალი აგრეგატი უსახსრობის გამო უმოქმედოდაა, „ზაჰესს“ მუშაობა არ შეუჩერებია. იგი შემოდგომა-ზაფხულის წყალდიდობებს მოუმზადებელი არასდროს შეხვედრია.

იმ დროს, როდესაც დებიტორებს „ზაჰესის“ 3,5 მილიონ ლარზე მეტი მართებთ, მან 1,3 მილიონი ლარის ინვესტიციის მოზიდვა შეძლო და ელექტროსადგურის ექვსი ჰიდროაგრეგატი კაპიტალურად შეაკეთა. პერიოდულად მწყობრში მოგვყავს 3,3 კილომეტრის სიგრძის სადერივაციო არხი. შეძლებისდაგვარად მხარში ვუდგავართ „ზაჰესის“ გარდაცვლილ თანამშრომელთა ოჯახებს (მათ გარდაცვლილი ოჯახის წევრის ყოველთვიური ხელფასი შენარჩუნებული აქვთ). ვეხმარებით (ერთი თვის ხელფასის ოდენობით) საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში აფხაზეთში დაღუპულ თანამშრომელთა ოჯახებს. მატერიალურად ხელს ვუმართავთ ინვალიდებს, ვიხდით თანამშრომელთა სამედიცინო დახმარების თანხებს. ყოველკვირეულად თითოეულ თანამშრომელს უფასოდ ვაძლევთ ექვს პურს, ვიხდით მათ საბინაო-კომუნალური და დახარჯული ელექტროენერგიის გადასახადებს, სწავლის საფასურის გადახდაში ვეხმარებით ხელმოკლე სტუდენტებს.

გვაქვს პრობლემებიც: დღეს „ზაჰესის“ სადერივაციო არხს შეკეთება სჭირდება, ამიტომაც ჩვენ ცნობილ ამერიკულ კორპორაცია „IDM“-თან ფინანსური პრობლემის მოსაგვარებლად ერთობლივი საწარმო შპს „ზაჰესი“ შევქმენით. ხელშეკრულების თანახმად, იგი 1999 წლის 25 მარტამდე „ზაჰესის“ ანგარიშზე მეექვსე ჰიდროაგრეგატის შესაკეთებლად 75 ათას დოლარს ჩარიცხავს.

წლეულს ივლის-აგვისტოში ზაჰესის სადერივაციო არხის შეკეთებისთვის იმავე ხელშეკრულების ძალით მილიონი დოლარი გამოიყოფა. წელსვე „ზაჰესის“ სრული ავტომატიზაციისათვის სათავენაგებობებისა და კაშხლის შეკეთებისათვის დამატებით „IDM“ 200 ათას დოლარს გადმორიცხავს. მთლიანად კი „ზაჰესის“ აგრეგატებისა და სხვა მოწყობილობის რეკონსტრუქციისათვის ამ ხელშეკრულებით 9 მილიონი დოლარის ინვესტიციაა გათვალისწინებული.

აქედან გამომდინარე, ჩვენ, ზაჰესელები, იძულებული ვართ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან მივმართოთ ქვეყნის ხელმძღვანელობას და ვაცნობოთ, რომ საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს გადაწყვეტილება, შპს „ზაჰესი“ მოაქციოს საპრივატიზაციო ობიექტთა სიაში, გაუმართლებელია. ჯერ ერთი — პრივატიზაციას უნდა დაექვემდებაროს ის ორგანიზაციები, რომლებიც უპატრონობის გამო ვერ ახერხებენ მუშაობას, მეორეც — საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 19 დეკემბრის №828 ბრძანებულებაში შავით თეთრზე წერია „საიჯარო ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში მიზანშეუწონელია: „ჟინვალჰესის“, „ზაჰესის“, „ორთაჭალჰესის“ აქციონირება და პრივატიზება“.

შპს „ზაჰესისათვის“ საიჯარო ხელშეკრულება დღემდე არავის გაუუქმებია. ამ ხელშეკრულებაში კი აღნიშნულია (მუხლ. 6.6): თუ რომელიმე მხარემ არ განაცხადა სურვილი ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, ის იგივე პირობით და ვადით გაგრძელებულად ითვლება“. წერილში, რომელსაც „საქენერგოგენერაციის“ გენერალური დირექტორი აწერს ხელს (26.01.99 №გ. 14-01/65) „საქენერგოგენერაციის“ (23.02.98 წლის) და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მიერ (01.04.98 წლის №05/44) საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელებაზე თანხმობა დადასტურებულია. ჩვენ ოფიციალური წერილობითი თანხმობაც რომ არ გვქონდეს, არსებული საიჯარო ხელშეკრულების ძალით, როგორც უკვე ვთქვით, 1998 წლის თებერვლიდან იჯარა ავტომატურად კიდევ ხუთი წლით არის გაგრძელებული. ამიტომაც „ზაჰესის“ ბაზაზე სააქციო საზოგადოების დაფუძნებისა და სადგურის ნაძალადევი პრივატიზაციის ან სხვა ორგანიზაციაზე მართვის უფლებით გადაცემის კატეგორიული წინააღმდეგი ვართ დღეს, ვინაიდან „ზაჰესს“ სარეაბილიტაციო არაფერი სჭირს, ყველა აგრეგატი და მოწყობილობა მწყობრშია, მიმდინარეობს ჰიდროაგრეგატის გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური შეკეთება. რაც შეეხება დონორ ორგანიზაციებს, ასეთი „ზაჰესს“ უკვე ჰყავს — ამერიკული კორპორაცია „IDM“, რომელიც აფინანსებს სადერივაციო არხისა თუ სხვა საჭირო სარეკონსტრუქციო სამუშაოებს.

წლეულს, ზაფხულში თუ სამკილომეტრიანი სადერივაციო არხი საფუძვლიანად არ შეკეთდა, იგი დაინგრევა. ასეთი რამ 1987 წელს უკვე მოხდა. „ზაჰესი“ თუ დათანხმდა ქონების მართვის სამინისტროს წინადადებას და თავისი რიგებიდან დონორი პარტნიორი „IDM“ გაიყვანა, და როგორც სთავაზობენ სააქციო საზოგადოება შექმნა, ვიდრე ახალი პარტნიორი გამოჩნდება და შეისწავლის ელექტროსადგურის მდგომარეობას, სადერივაციო არხი დაინგრევა. ეს კატასტროფის ტოლფასია. მართლაც გაუგებარი და უცნაურია, რომ, როცა ქართველი კაცი იწყებს წარმატებულ ბიზნესს, მას ხელის გამართვის ნაცვლად თავს ესხმიან, ავიწროებენ, გასაქანს არ აძლევენ. რატომღაც ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ჩაიკლას ადგილობრივი მეწარმის ინიციატივა და მისი ადგილი უცხოელებმა დაიკავონ. დღეს „ზაჰესი“ თვითონ წარმოადგენს დონორ ორგანიზაციას, თავად აქვს საშუალება ელექტროსადგური სრულ წესრიგში მოიყვანოს და განაახლოს. მაშ, რატომ უნდა დაიმალოს არსებული შპს და მის ადგილზე შეიქმნას ახალი სააქციო საზოგადოება?! მეტიც, 1999 წლის 1 აპრილიდან „ზაჰესი“ სრულად მიიღებს გაყიდული ელექტროენერგიის საფასურს, რის საფუძველსაც „თელასის“ ახალ პარტნიორთან „აი ეს“-თან დადებული ხელშეკრულება იძლევა, ვის აძლევს ხელს ასეთი პრივატიზება? ამიტომ მოვითხოვთ, ქონების მართვის სამინისტრომ ეძებოს არა ახალი ორგანიზაცია, არამედ „ზაჰესს“ არსებული ხელშეკრულება 2003 წლამდე კი არა (აქამდე იგი ისედაც გაგრძელებულია), დამატებით იმ 25 წლით გაუგრძელოს, როგორც ამას უცნობ პოტენციურ ინვესტორთან აპირებს. გვინდა აღვნიშნოთ, „ზაჰესს“ ფარ-ხმალი მაშინაც არ დაუყრია, როცა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და ბანდები ზეთების და სპილენძის გასატაცებლად ესხმოდნენ თავს. მით უმეტეს, ახლა, როცა გვაქვს კონსტიტუცია, ქვეყანა დგას დემოკრატიის და აღორძინების გზაზე, არ დავთმობთ იმას, რაც სისხლის ფასად გადაგვირჩენია. „ზაჰესი“ გააკეთებს ყველაფერს, რათა იზეიმოს სამართლიანობამ — ჰიდროელექტროსადგური კვლავ ქართველების იყოს და ქართულ საქმეს ემსახურებოდეს.



თეიმურაზ ჩხეიძე,
შპს „ზაჰესის“ დირექტორი.

„თბილსრესმა“ შესაძლოა მუშაობა შეწყვიტოს

„თბილსრესში“ არსებ ლი საწვავის მარაგის მო ცულობა სადგურის მუშა ბას მხოლოდ ორი დღი უზრუნველყოფს, — უთხრ პრაიმ-ნიუსს „თბილსრეს გენერალურმა დირექტორმ ტარიელ ბიწაძემ.

მისი თქმით, საწვავის დე ფიციტის მიზეზია საქარ ველოსა და აზერბაიჯან საზღვარზე დაკავებული მ ზუთით დატვირთული 23 ცისტერნიანი შემადგენლ ბა. ისინი საქართველოს ს ბაჟო სამსახურმა დააკავ რომელიც განბაჟებისათვ საჭირო თანხების გადახდ მოითხოვს.

საქართველოს მიმართულებით თურქმენეთის გაზის ტრანზიტი პრიორიტეტულია

კასპიის ზღვის, აზერბა ჯანისა და საქართველო მიმართულებით თურქმენ ლი გაზის ტრანზიტის პრ ორიტეტულობის შესახ თურქმენეთის პრეზიდენ საფარმურატ ნიაზოვი უახ ლოეს მომავალში გააკ თებს განცხადებას, — უთხრ პრაიმ-ნიუსს საქართველო გაზის საერთაშორისო კ რპორაციის პრეზიდენტმ ალექსი გოცირიძემ.

მისი თქმით, ამ მარშრ ტის დამტკიცების შემთხვ ვაში, საქართველოს ტერ ტორიაზე წელიწადში 3 მლრდ. კუბური მეტრი გ ზის ტრანსპორტირება გ ხდება შესაძლებელი. ს წყის ეტაპზე, მოცემული მ ჩვენებელი 10 მილიარდ განისაზღვრება. საქართვ ლოს ტერიტორია გაზსადენის სიგრძე 200 კ ლომეტრს შეადგენს. პრ ექტის რეალიზაციის პრ ცესი კონსორციუმის ფორ მირებას და პროექტის დ ფინანსების საკითხების გ დაწყვეტას ითვალისწინებ საქართველოს მხრიდან კ ნსორციუმში მონაწილეო ბას საქართველოს გაზი საერთაშორისო კორპორ ცია მიიღებს.

წინასწარი მონაცემები თუ პროექტში მონაწილე ს ხელმწიფოები გაზსადენი მშენებლობას ერთდრო ლად დაიწყებენ, იგი და ხლოებით 12 თვეში დასრ ლდება.

ტრანსკასპიური გაზსად ნის მშენებლობისა და ე სპლუატაციის შესახებ კ ნტრაქტს თურქმენეთის პრ ზიდენტი საფარმურატ ნი ზოვი და კონსორციუმ PSG ის წარმომადგენლებმა 1 თებერვალს მოაწერეს ხ ლი.

ბიუჯეტს შემოსავალი შეემატება

სიგარეტსა და ალკოჰ ლურ სასმელზე აქციზური მ რკების გაცემა თებერვლ დან დაიწყო. საექციზო ს მსახურს უკვე ოცდასამმ ორგანიზაციამ მიმართა. მ მიღებულმა შემოსავალმა მილიონ 989 ათას ლარს მ აღწია. ყოველთვიურად ბ უჯეტი ამ გზით 5-6 მილ ონი ლარით შეივსება.

აქციზური მარკების გარ შე პროდუქციის გამოშვებ გაყიდვა და შენახვაც კი ა მეიძლება, რადგან ასეთ ქმედება მარტიდან, კანონ თანახმად, 1-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

ინფორმაციები მოგვაწოდ პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემის გაგრძელება

როგორი იქნება ახალი ანაკლია?

(პირველი გვერდიდან)

ზუგდიდიდან ჩასულებს სოფლის საკრებულოს წინ შეკრებილი ანაკლიელები დაგვხვდნენ. აქ იყვნენ: მეთევზეები, გლეხები, პედაგოგები, სოფლის ხელმძღვანელები... განსაკუთრებით ახალგაზრდები, ბავშვები აქტიურობდნენ. იქვე ახლოს ათიოდე წლის ქერა, ცისფერთვალება ბიჭი დაელანდე, მორიდებით იდგა და ცნობისმოყვარე თვალებით გვაკვირდებოდა სტუმრებს.

— რა გქვია-მეთქი, ვკითხე.

— გოდერძი, მითხრა...

— რა გვარის კაცი ხარ, გოდერძი?

— ქართუ ოღლუ.

სიმართლე გითხრათ, შევცბი... სად, სად და აქ, ზუგდიდთან ახლოს, ანაკლიაში ასეთი უჩვეულო გაცნობისთვის მზად არ ვიყავი, თუმცა... პატარა გოდერძი ქართუ ოღლუსთან შეხვედრამ ჩვენი ქვეყნის, კერძოდ, სამეგრელოსა და ანაკლიის მწუხრით მოცული ისტორია გამახსენა.

საოცარი მდინარე ენგური, უფრო საოცარი კი ის ადგილი, სადაც იგი ზღვას ერთვის. ფიცხი, დაუნდობელი აქ განიერ ტოტებად იშლება, თანდათან წყნარდება და კარგ ნავსაყუდელსაც ქმნის... მოკეთეებთან ერთად მეკობრე-მოსისხლენიც ბევრი ჰყოლია ანაკლიის სანაპიროს. ვინ იცის, რამდენჯერ შემოსევია ანაკლიას, მთელ საოდიშოს თურქთა ხომალდიონი. მერე დამპყრობლებმა აქ ჯიხას ციხე ააგეს, ციხიონიც ჩააყენეს და... ქართველი, ცისფერთვალა ბავშვებითა და ყმაწვილებით ვაჭრობაც გააჩაღეს. გურჯი ყმაწვილი არნახულად ძვირი ყოფილა სტამბოლის ბაზარზე. ასე, ცალ-ცალად თუ ჯგუფ-ჯგუფად იყიდებოდა ჩვენი სამეგრელო თუ ლაზეთი, იმერეთი, სამურზაყანო თუ საფხაზო... ასე იყიდებოდა საქართველო.

ყველას გვახსოვს პატარა ხვიჩას ტრაგიკული ამბავი. სწორედ მისი დარი და ცალი მოუწყვეტიათ დედის კალთისგან და, სხვა თანატოლებთან ერთად, ჯიხას ციხეში ჩაუმწყვდევიათ. ყოველი ცისმარე დილით მოადგებოდა თურმე ციხის გალავანს დედა — ანა და სასოწარკვეთილი უხმობდა შვილს, მაგრამ... უშედეგოდ. ასე, კივილ-კივილით გაუცილებია დედას საკუთარი პირმშო, მორეული სტამბოლისაკენ რომ მიჰყავდა ხომალდს.

მას შემდეგაც ზღვის სანაპიროს დროდადრო აქცევდა თურმე შვილმოწყვეტილი ანას შემზარავი კივილი, ვიდრე იმედგადაწყვეტილი ქალი არ შთანთქა აბორთებულმა ზღვამ.

ასე იყო შემდეგაც, როდესაც ზვიადი ენგური ღრიალით ეძგერებოდა ზღვის შემხვედრ ტალღას, გარემოს სტვენისა და კივილის ხმა იპყრობდა. „ანა რკიანსო" — ანა კივისო, იტყოდა ხოლმე აქაური კაცი და, ალბათ, ამიტომაც შეარქვეს ამ ადგილს — ანაკლია.

მართლაც, სამწუხარო ისტორიაა, მაგრამ კარგი დღეებიც ახსოვს ანაკლიას. გასულ საუკუნეებში აქ მხოლოდ ტყვეებით არ ვაჭრობდნენ. აქედან ხდებოდა საქართველოდან მარცვლეულის, თხილის, ხე-ტყის გატანა; აქვე შემოჰქონდათ უცხოური საქონელიც.

საუკუნის დასაწყისში — 1901 წელს ანაკლიაში 82 ხომალდი შემოსულა. მათ შემოუტანიათ 330105, ხოლო გაუტანიათ 632604 ფუთი სხვადასხვა საქონელი. 1909 წელს აქ გადმოუტვირთავთ 54000 ფუთი პურის ფქვილი, 39000 ფუთი მარილი, 15000 ფუთი ნავთი, 4000 ფუთი ცემენტი და სხვა საქონელი. გატანით — გაუტანიათ: 334000 ფუთი სიმინდი, 53000 ფუთი ხე-ტყე და შეშა, 6000 ფუთი ხილი და ბოსტნეული, 7000 ფუთი თევზი... სულ 402000 ფუთი. შემოსავალიც ჰქონიათ: 1901 წელს დაბა ანაკლიას მიუღია 633 მანეთი, ხოლო 1909 წლისთვის ეს ციფრი 2282 მანეთამდე გაზრდილა.

ანაკლიაში ძირითადად ვაჭრობდნენ ადგილობრივი ლაზები — განთქმულნი მეთევზეობითა და ზღვაოსნობით. სწორედ მათი შთამომავალი გახლდათ ის პატარა, ცისფერთვალება გოდერძი ქართუ ოღლუ (ქართველიშვილი) ანაკლიაში ჩასვლისთანავე რომ გავიცანი და თქვენც სიყვარულით წარმოგიდგინეთ.

ჯერ ათი წლისაა პატარა გოდერძი.. სავაჟკაცომდე კიდევ 7-8 წელი აქვს გასავლელი. რა მოხდება ამ წლებში მის თვალწინ, როგორ იცვლის სახეს აქაურობა, როცა ანაკლიის ახალ ღრმაწყლიან ნავსადგურში შემოვლენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უდიდესი ხომალდები, როგორ იშრომებს და იცხოვრებს მისი სოფელი, მთელი სამეგრელო.

ანაკლიის ბუნებრივი პირობების გამოყენებაზე კარგახანია მუშაობენ ჩვენი საზღვაო დარგის სპეციალისტები, მშენებლები, არქიტექტორები. ეს თემა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც „ენგურჰესის" კაშხლის მშენებლობის დროს ენგურის ძირითადმა ნაკადმა გეზი იცვალა და ერისწყალს შეუერთდა. ამან, მართლაც, კარგი პირობები შექმნა ენგურის ძველი კალაპოტის შესართავში ნავსადგურის მშენებლობისათვის. საამისოდ საჭირო აკვატორიის შექმნა სპეციალისტებს ენგურის მარჯვენა ნაპირის მიმდებარე ხმელეთზე აქვთ გათვალისწინებული. ნავსადგური ღია ზღვას დაუკავშირდება შესართავთან მდებარე უღრმესი კანიონის ორივე ფერდის გაყოლებაზე დაგეგმილ მოლებს შორის მოქცეული არხის მეშვეობით, რომლის სიღრმეც დღევანდელი უდიდესი ხომალდებისათვის აუცილებელ პარამეტრებზე ბევრად დიდი იქნება და პრაქტიკულად არასდროს არ დაილამება. ამისათვის ენგურის დარჩენილ თხევად ნაწილსა და მყარ ჩამონატანს სპეციალური არხით გადააგდებენ მდინარე თიკორის შესართავში, რაც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს ნავსადგურის მიმდებარე საზღვაო ნაპირების დაცვასა და ბუნებრივ გამაგრებას.

— ეს ყველაფერი სათქმელად არის ადვილი, რაც შეეხება პრეზიდენტის ამ ჩანაფიქრის ხორცშესხმას, ამისათვის ალბათ დიდი საერთო ძალისხმევა და პოლიტიკური ნება იქნება საჭირო? — ვეკითხები პრეზიდენტის რწმუნებულს სამეგრელოსა და ზემო სვანეთში ბონდო ჯიქიას, რომელიც ზუგდიდში ჩასვლისთანავე შეგვხდა. როგორც წინა პუბლიკაციებში მოგახსენეთ, ბატონი ბონდო იმ საინიციატივო ჯგუფის წევრია, რომელმაც აღნიშნული საპროექტო კონცეფცია წარუდგინა საქართველოს პრეზიდენტს. ამიტომაც არ გამკვირვებია, როცა დავინახე, როგორ ზედმიწევნით ფლობს მომავალი მშენებლობის ყველა წვრილმანსა თუ მსხვილმანს...

— ეს ჩვენი მხარის, თითოეული ჩვენგანის დიდი ხნის ოცნება იყო, — გვეუბნება ბონდო ჯიქია და განაგრძობს: — როგორც მოგეხსენებათ, ამაზე ლაპარაკი ადრეც იყო... ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობით მთლიანად იცვლის სახეს ზუგდიდი, მთელი სამეგრელო, რადგან ეს არ იქნება მხოლოდ ნავსადგური, აქ მოეწყობა სათანადო საქალაქო ინფრასტრუქტურა, დასაქმდება მუშახელი, რაც ბევრ სოციალურ თუ ეკონომიკურ პრობლემას გადაწყვეტს. ამას ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება მთელი საქართველოსთვისაც. წინასწარი მონაცემებით ასეა განსაზღვრული — პირველი რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ ანაკლიის ნავსადგური ყოველწლიურად 5 მილიონ ტონა ტვირთს გაატარებს. შედარებისთვის გეტყვით: — ფოთის ნავსადგური დღეს მხოლოდ სამ მილიონ ტონას ამუშავებს. ამასთან, ანაკლიის ნავსადგური გაცილებით ღრმაწყლიანი იქნება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, საქართველოს სანავსადგურო სისტემამ მიიღოს უდიდესი წყალწყვის გემები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, ვერ შემოდიან საქართველოს მოქმედ ნავსადგურებში. ასე რომ, დღეს მარტო ანაკლიელები და განმუხურის სოფლების მკვიდრნი როდი ხარობენ... ასეთივე განწყობილებაა ზუგდიდში, მთელ სამეგრელოში, საერთოდ საქართველოში.

— ბატონო ბონდო, აქ, ენგურის შესართავში, საიდანაც სულ რაღაც ოციოდე კილომეტრია ოჩამჩირემდე, ასეთი გრანდიოზული მშენებლობის წამოწყება, ალბათ, მეტად სერიოზული განაცხადია, არა?

— მე აქამდე არაფერი ვთქვი იმ პროექტის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რაც ცალკე საუბრის თემაც შეიძლება იყოს. ენგურის შესართავს სულ ახლოს ეკვრის გალის რაიონის ტერიტორია. აქედან გამომდინარე, ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, როგორც სამთავრობო სხდომაზე ითქვა, არ არის გამორიცხული მომავალ ეტაპზე დაიწყოს საუბარი ოჩამჩირეში ასეთივე ნავსადგურის მშენებლობაზეც, სადაც ასეთივე ხელსაყრელი პირობებია საამისოდ. ასე რომ, ამ წამოწყებას, მართლაც, დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური დატვირთვა რომ აქვს, ამას თვალნათლივ იგრძნობთ იმ შეხვედრების დროს, რომლებიც გვქონდა ზუგდიდში, ანაკლიაში, ყველგან...

მართალი იყო სამეგრელოს ხელმძღვანელი — ანაკლიის ამბავი იმ დღეებში მართლაც საყოველთაო მსჯელობის საგანი იყო ზუგდიდში.

ზუგდიდი, ამაყი ქალაქია ზუგდიდი... ასე იყო და ასეა ახლაც. ჩივილსა და წუწუნს ვერსად გაიგონებ ამ ქალაქში, სადაც სამოცი ათას ლტოლვილ თანამემამულეს უვლიან და მასპინძლობენ. ეტყობა კიდეც ზუგდიდის ქუჩებს ხალხმრავლობა, ათასი საზრუნავ-საფიქრალი... წუხილიც...

დავდივარ, ვაკვირდები და გული სინანულით მევსება. აშკარად ვგრძნობ, რომ ჩემი ახალი მეგობრების თვალებში აღარ ელავს ის ძველებური პეწი და ნაპერწკალი, ადრე ასე რომ ამშვენებდა ზუგდიდელებს. ვატყობ, დღეს ზუგდიდს ყველაზე მეტად ტკივილის დავიწყება სჭირდება. ამისათვის კი ერთადერთი წამალი არსებობს: — საყოველთაო თანადგომა, ყოველდღიური ზრუნვა და სიყვარული. რამდენად ვახერხებთ დღეს ამას დანარჩენი საქართველოს მკვიდრნი?

ჩემზე რომ იყოს, საქართველოს „სულიერ სატახტოს" დღეს ზუგდიდში გადმოვიტანდი და იქამდე ვიხალისებდი, ვიდრე იმ ნაპერწკალს არ ავანთებდი, ასე რომ დამაკლდა ამჯერად, თუმცა... პირველი გაელვებაც ვნახე... იმ დღეებში, შინ თუ გარეთ ყველა პრეზიდენტის ჩანაფიქრზე, მის გადაწყვეტილებაზე, ანაკლიისა და, საერთოდ, სამეგრელოს მომავალი ფერისცვალების პერსპექტივაზე ლაპარაკობდა. დიდჩინოსანთა თუ რიგით მოქალაქეთა აზრით, განვლილი ძნელბედობის წლების შემდეგ ეს **პირველი გახარება** იყო, რომელმაც მთელი სამეგრელო კარდაკარ მოიარა.

აი, მე და ჩემი თანამგზავრები, „ნაპირდაცვის" ცნობილი სპეციალისტები პროფესორი არჩილ კიკნაძე, მისი მოადგილე როინ ჭყოიძე, ჭიჭიკო ჯანელიძე, „ქალაქპროექტისა" და „საქპროექტის" წარმომადგენლები ნოდარ მიქაძე, რევაზ თოფურია, ვახტანგ ზანგურიძე და სხვები მივუყვებით გზას ანაკლიისაკენ... უკან დაგვრჩა დარჩელი — იმ ავადმოსაგონარი დღეების დროს თანამოძმეთა ხელით გადამწვარი სახლებით, დღესაც რომ ხელუხლებლად დგანან ჩვენი სამარცხვინო ბედოვლათობის მოწმედ.

წინა რეპორტაჟში უკვე მოგითხრეთ იმ დაპირებაზე, რომელიც ამ ტანჯული სოფლის მოსახლეობას მისცა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა. თანხებს, რომლებიც მათი სახლების აღსადგენად გამოყვეს საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტმა, უახლოეს პერიოდში მიიღებს აქაური მოსახლეობა.

აი, ანაკლიაც... ვეცნობით აქაურებს. პირველი მოგემართავს თემურ ეფენია, ანაკლიის გამგებელი: — პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება, პირდაპირ გეტყვით, არის ხსნა არა მხოლოდ ანაკლიისათვის, არამედ მთელი რეგიონისათვის. აქ ათასობით ადამიანი, მათ შორის, ლტოლვილებიც დასაქმდებიან. ამასთან, ხალხი ამ ფაქტს მარტო ეკონომიკური ასპექტით როდი აღიქვამს, ამას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ექნება, რაც ხელს შეუწყობს დაბრუნების პროცესის გააქტიურებას. ყველაზე მეტად ის გვახარებს, რომ ახალგაზრდობა, რომელიც დღეს მთლიანად დაუსაქმებელია და ქუჩაში დგას, იშრომებს. უნდა ნახოთ, როგორი აღფრთოვანებულნი არიან და როგორ ელიან ანაკლიაში სამუშაოების დაწყებას. ამიტომაც ყველა მადლობას ვუხდით ბატონ პრეზიდენტს, მთავრობას, სპეციალისტებს, ვინც ესოდენ დიდი სიხარული მოგვიტანა.

— მოგეხსენებათ, ჩვენს დღევანდელ პირობებში როგორ ჭირს ცხოვრება — **საუბარში ერთვება ანაკლიის სკოლის დირექტორი მარინე მალანია** — ბევრი რამ გვეწუხებს. მაგრამ ამ ახალმა ამბავმა თითქოს ყველა გასაჭირი დაგვავიწყა. ვიცი, ამაში უცხოელი ინვესტორები გვეხმარებიან, მაგრამ ისინი ჩვენს გასაკეთებელს მაინც ვერ გააკეთებენ, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ მათ ხელი შევუწყოთ.

ამ კითხვა-საუბარში რომ ვიყავით, ზუგდიდის გამგებელი ლერი ჭითანავაც შემოგვიერთდა, — პრეზიდენტის ეს გადაწყვეტილება — აღნიშნა მან, ათიათასობით სამუშაო ადგილთან ერთად ნიშნავს იმასაც, რომ ანაკლია გახდება საქართველოს ერთიანი სატრანსპორტო სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აქტიურად ჩაერთვება ევრაზიის დერეფნის ინფრასტრუქტურაში. ჩვენ გვაქვს სათანადო საკადრო პოტენციალი, რომელიც აშენებდა „ენგურჰესს", „ხუდონჰესს", მართლაც, უნიკალურ ობიექტებს. ასე რომ, დიდი სამუშაო მოგველის. ეს სიკეთე ძალიან დიდი რეზერვია ჩვენი რეგიონისა თუ მთლიანად საქართველოსთვის.

— ანაკლიელი კაცი ვარ, წლების მანძილზე სულ ამაზე ვოცნებობდით — **მეუბნება ანაკლიის მთავარი ექიმი ელგუჯა ესართია,** — და, აი, აგვიხდა კიდეც...

იმ დღეს, მართლაც, საინტერესო სახელდახელო პრესკონფერენცია შედგა ენგურის შესართავთან შეკრებილი ანაკლიელებისა და აქ ჩამოსული ზუგდიდელებისათვის. ცნობილია, რომ ასეთ დროს ცნობისმოყვარეობა აპოგეას აღწევს. არც გაემტყუნებოდათ აქაურებს — მათ ყოველი წვრილმანი თუ მსხვილმანი აინტერესებდათ. მართალი რომ გითხრათ, დიდი ჯაფა დაადგათ პროექტის კონცეფციის ავტორებს. არც მე დავრჩენილვარ უსაქმოდ, მხარში ამოვუდგექი ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს ზუგდიდის ადგილობრივი ტელევიზიიდან და მათი ტელეკამერების თანხლებით „ორი კურდღლის მოკვლას" შევუდექით. თემა კი, ცხადია, ასეთი გახლდათ: ხვალინდელი ანაკლია.

მოგეხსენებათ, ჟურნალისტები ჩათრევას ყოველთვის ჩაყოლას ვამჯობინებთ. ასე იყო ამჯერადაც, როცა „საქნაპირდაცვის" გენერალურ დირექტორს, პროფესორ არჩილ კიკნაძეს ზუგდიდამდე ერთად მგზავრობა შევთავაზე...

მთელი გზა საუბარში გავატარეთ. რომ გითხრათ, „ნაპირდაცვის" მთელი პრობლემატიკა ავითვისე-მეთქი, ცხადია, მართალი არ ვიქნები. მართლაც, ძალზე ძნელი ყოფილა ერთი ამოსუნთქვით გარკვევა მდინარეთა ჩამონატანის ბუნებრივი განაწილების ურთულეს პროცესში, რომელსაც თურმე წლების განმავლობაში აწესრიგებენ ჩვენი ნაპირდამცველები. ბატონმა არჩილმა გამახსენა ბიჭვინთის, ქობულეთის, მახინჯაურის ადრე ჩამორეცხილი სანაპიროების რესტრუქტურიზაციის შედეგად აღდგენილი სანაპირო ზოლები, რამაც ასე გაუთქვა სახელი ჩვენს სპეციალისტებს. ასე რომ მოხდეს, თურმე ასეულობით ურთულესი ამოცანა უნდა გადაწყვიტო. უნდა მოხსნა ე. წ. „მავნე ზემოქმედების" არეალები, გაითვალისწინო ზღვის კანიონების ფერდების დახრილობა, ტალღის დარტყმისა თუ უკუხევის სიმძლავრეები და ათასი სხვა რამ. მოგახსენებთ მხოლოდ რამდენიმე პარამეტრზე, რომლის გადაწყვეტასაც აპირებენ ჩვენი მეცნიერები ანაკლიის ნავსადგურის მშენებლობისათვის.

ენგურის ძირითადი ნაკადის ერისწყალში გადაგდების შემდეგ ანაკლიის სანაპიროს მოაკლდა 370 ათასი კუბური მეტრი ჩამონატანი, რომელიც ენგურს ჩაჰქონდა ზღვაში. დღეისათვის მას მხოლოდ 29 ათასი კუბური მეტრი ჩააქვს. ეს ყველაფერი — თქვა ბატონმა არჩილმა, — სადღაც უფსკრულში, ენგურის შესართავთან მდებარე უდიდესი სიღრმის კანიონში იკარგებოდა. სულ რაღაც ათიოდე პროცენტი თუ მონაწილეობდა სანაპიროს ბუნებრივ გამაგრებაში. ახლა ვაპირებთ ამ 29 ათასი კუბური მეტრის გადაგდებას აქვე ახლოს ჩამდინარე მდინარე თიკორის კალაპოტში, რაც 200 მეტრამდე გაზრდის ნავსადგურის ჩრდილოეთი მოლის გასწვრივ მდებარე სანაპიროს. ერისწყალსა და ხობს შორის არსებულ ტერიტორიაზე ამ გადაგდების შედეგად დარჩენილი 25 ათასი კუბური მეტრი ინერტული მასალის გადატანით, ვფიქრობთ, ადრე წარეცხილი 137 ჰექტარის აღდგენა-განახლებას. ამასთან, აქ გამოთავისუფლდება ანაკლიასა და სოფელ განმუხურს შორის მოქცეული ტერიტორია, რომელზეც გაშენდება მომავალი სანავსადგურო ქალაქი ანაკლია.

როგორი იქნება ანაკლიის ნავსადგურის აკვატორია? — ამ საკითხზე გვესაუბრა „საქნაპირდაცვის" გენერალური დირექტორის მოადგილე **როინ ჭყოიძე:** — იგი ორი ნაწილისაგან — შიდა რეიდისა და გემმისადგომი ზონებისგან შედგება. ეს ყველაფერი, — აღნიშნა მან, — ისეა გათვლილი, რომ მოსახერხებელი იყოს ნავსადგურში შესული გემების უსაფრთხო მანევრირებისათვის. რაც შეეხება ნავსადგურის სახმელეთო ნაწილს, იგი იძლევა საოპერაციო, სამეურნეო და ნავსადგურის საერთო მომსახურების ზონების განლაგების საშუალებას.

ანაკლიის პორტის ნავმისადგომების საერთო სიგრძე (პირველი რიგის მშენებლობისათვის) 2800 მეტრს შეადგენს.

ღრმაწყლიანი ავანპორტების შექმნა დღეს ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა მსოფლიო სანავსადგურო პრაქტიკაში. ფოთიდან ანაკლიამდე სულ რაღაც 20 კილომეტრია. მაგალითად როტერდამის უძველესი ნავსადგური უმსხვილესი გახდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა მისი ავანპორტები. ასევეა სხვაგანაც. უნდა გვახსოვდეს, რომ ნავსადგური მარტო ზღვა არ არის, იგი ხმელეთიცაა. სწორედ ხმელეთზე იქმნება სანავსადგურო ინფრასტრუქტურა. ამის შესაძლებლობა კი, მართლაც განუსაზღვრელი აქვს ანაკლიას. თუ ამას ფოთელთა გამოცდილებასაც დავუმატებთ, წარმატებით გადავწყვეტთ იმ ამოცანას, რომელსაც ჩვენი სანავსადგურო სისტემა ისახავს ანაკლიის მშენებლობით.

იმ დღეს ენგურის შესართავთან მიმდინარე ჩვენი პრესკონფერენცია დიდხანს გაგრძელდა. როგორც გავარკვიე, აქ შეკრებილთ ყველაზე მეტად მაინც მომავალი ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები აინტერესებდათ. სწორედ ამაზე ესაუბრა მათ „თბილქალაქპროექტის" განყოფილების უფროსი **ნოდარ მიქაძე.** — ახალი ნავსადგურისა და ქალაქის მშენებლობისათვის შერჩეული ადგილი, — აღნიშნა მან, — მართლაც, უნიკალურია. როგორი იქნება ახალი ანაკლია? ნავსადგურის აკვატორია აქ ხმელეთში იქნება შეჭრილი, რაც გვაძლევს შესაძლებლობას მთელი სანაპირო, რომელიც მას უჭირავს და თავისუფალია სანავსადგურო მეურნეობისაგან, მთლიანად დავუთმოთ ქალაქისა და საკურორტო ზონის მშენებლობას, სადაც ძირითადად განლაგდება 2-3 სართულიანი თანამედროვე კოტეჯის ტიპის სახლები, რაც შეეხება ქალაქის ცენტრს, აქ აშენდება შედარებით მაღალსართულიანი სახლები, რომლებშიც განთავსდება მუნიციპალური ორგანიზაციები, სხვადასხვა ფირმების ოფისები, სასტუმროები, მომსახურების და გასართობი ობიექტების მთელი ქსელი. ქალაქი ჯერჯერობით 1300 ჰექტარზე გაშენდება. ამასთან გვექნება სარეზერვო ტერიტორიებიც, რომლებიც გამოთავისუფლდება ენგურის თიკორში გადაგდების შემდეგ. ქალაქის ცენტრში შემოვა რკინიგზა, ავტომაგისტრალი. ეს ყველაფერი შექმნის როგორც ქალაქის ცენტრის, ისე ახალი დასახლების მთელ ინფრასტრუქტურას. აქ პირველ ეტაპზე 15-20 ათასი კაცი იცხოვრებს. საყურადღებოა ისიც, — აღნიშნა ბატონმა ნოდარმა, რომ მშენებლობის დროს ჩვენ არ შევეხებით ანაკლიისა და სოფელ განმუხურის დღევანდელ განაშენიანებას.

ბატონმა ნოდარმა დამსწრეთ აჩვენა, თუ როგორ ფიქრობენ პროექტის ავტორები ენგურის ახლანდელი კალაპოტის გამოყენებას. აქ შემოსული ზღვა საშუალებას მოგვცემს განვავითაროთ ტურისტული ინფრასტრუქტურა, მოვაწყოთ დასვენების ობიექტები, მსხვილი სპორტული ნაგებობები, წყალჯომარდობის არხები, რომლებიც, მართლაც, უნიკალური იქნება და შექმნის აქ დიდი საერთაშორისო ასპარეზობების მოწყობის შესაძლებლობას.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, ამ ქალაქს ზუგდიდსა და გალის რაიონების ახლომდებარე დასახლებების მკვიდრნი აშენებენ. მარტო ქალაქის მშენებლობაზე 1000 კაცი იქნება დასაქმებული.

— პირდაპირ ვიტყვი, — **გვითხრა ბატონმა ოთარ ფაცაციამ,** — რომ დღეს ასეთი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტის დიდი ავტორიტეტის წყალობით იყო შესაძლებელი... რა თქმა უნდა, მთელი სამეგრელო უმადლის მას ამ სიკეთეს და მადლობას უხდის.

შემდეგ ბატონი ოთარი ისევ ანაკლიის უნიკალურ ბუნებრივ პირობებს და მასთან დაკავშირებულ ერთ საინტერესო შემთხვევასაც შეეხო და მისი ყმაწვილკაცობის დროს მომხდარი ერთი კურიოზული ფაქტიც გაიხსენა.

— როგორც იცით, — თქვა მან — მთელ შავ ზღვაზე აქ ენგურის შესართავთან არის უღრმესი კანიონი, რომელშიც ომის დროს თურმე წყალქვეშა ნავებიც შემოდიოდნენ. ერთ ასეთ გერმანულ წყალქვეშა ნავს 1943 წელს უცებ ამოუყვია აქ თავი და სათევზაოდ გასული ჩვენი ოთხი მებადური ტყვედ აუყვანია. ერთი მათგანი — იქმეთი, დღესაც ცოცხალია... აი, ასეთია ჩვენი ანაკლია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. ახალმა ამბავმა ნამდვილი სიცოცხლე შემოიტანა ჩვენს ფრონტისპირა რეგიონში, რაც ცოტას არ ნიშნავს.

ასე, ოპტიმისტური განწყობილებით გამოვეთხოვეთ ჩვენს ზუგდიდს. არასოდეს დამავიწყდება ანაკლიაში შულაიების ოდაში როგორ გვიმასპინძლა მთელმა სოფელმა. არც იმ სადღეგრძელოს დავივიწყებ, აქაურმა კაცმა რომ ბრძანა:

— მოდი, ჩვენს პირველ გახარებას და გამხარებელს გაუმარჯოს!

მართლაც, გაუმარჯოს!..

გია ჭელიძე,
„სრ" სპეც. კორ.
ზუგდიდი-თბილისი.
ავტორის ფოტო.

ექსპერტიზა

დიდი პოლიტიკა, „დიდი" ნავთობი და პატარა საქართველო

ამ რამდენიმე დღის წინ რუსეთის გავლენიან პოლიტიკურ წრეებთან ახლოს მდგომი პრესა მწვავედ გამოეხმაურა აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრის, საფარ აბიევის ვიზიტს თურქეთში, თუმცა ვიზიტიცა და ორ ქვეყანას შორის სამხედრო სფეროში კონტაქტებიც გარკვეულწილად ინსპირირებული იყო სწორედ რუსეთის მიერ სომხეთისათვის თანამედროვე შეიარაღების („მიგ-29" ტიპის უახლესი ავიაგამანადგურებლები და საზენიტო-რაკეტული კომპლექსები „ს-300") მიწოდებით. აზერბაიჯანელ დამკვირვებელთა აზრით, არაპროდუქტიული და რუსეთისათვის უპერსპექტივოა არაბალანსირებული პოლიტიკა და აშკარა პროსომხური სტრატეგია. ბაქოში იმაზეც მიუთითებენ, რომ ისტორიულად აზერბაიჯანელი ნაციონალისტები ინგლისისაკენ უფრო იხრებოდნენ, ვიდრე თურქეთისაკენ. ეგებ ამიტომაც იყო, რომ იგივე ლ. ბერიას, რომელიც თავის დროზე აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის დაზვერვაში მსახურობდა, ინგლისის ჯაშუშობა დასწამეს და არა თურქეთის?

... სტრატეგიული ნედლეულის პრობლემა, ნავთობი იქნება ეს თუ ურანიუმი, რომ მუდამ და ყველგანაა დაკავშირებული დიდ პოლიტიკასთან, ეს უკვე ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა, ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ნედლეულის გამო არა ერთი და ორი კონფლიქტი ყოფილა ხელოვნურად ინსპირირებული. ჩვენი შემთხვევის უნიკალური ხასიათი კი იმაშიც მდგომარეობს, რომ ჯერ ერთი, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ტრადიციულად ანტაგონისტური სახელმწიფოები (თურქეთ — აშშ. ერთ მხარეს და რუსეთი მეორე მხარეს), გარდა ამისა, სიტუაციას დრამატიზმს მატებს მწვავე გადაუჭრელ კონფლიქტთა არსებობა (აფხაზეთი, მთიანი ყარაბახი), დიდი ბიზნესი კი მშვიდსა და მყუდრო გარემოსაა მიჩვეული. ამიტომ, ცოტა არ იყოს არადამაჯერებელია რუს დიპლომატთა „კეთილშობილი აღშფოთება", როდესაც კონფლიქტებით მონოპოლირებაში სდებენ მათ ბრალს. ესეც მემკვიდრეობით მიიღო რუსეთმა საბჭოთა კავშირისაგან; ეთიოპიაში, სომალში, ანგოლაში, მოზამბიკში, ბირმაში, ნიკარაგუაში, გრენადაზე და ვინ მოთვლის, კიდევ სად არ გარეულა „მოსკოვის ხელი", საით არ მიედინებოდა უწყვეტ ნაკადად ტანკები, თვითმფრინავები, საზენიტო რაკეტები, ავტომატები მთელ მსოფლიოში ცნობილი დამღით — „გაკეთებულია საბჭოთა კავშირში". სწორედ ამ იარაღის წყალობით ხდებოდა შეუძლებელი კომპრომისები და სამშვიდობო მოლაპარაკებები; სტაბილურ ხასიათს ღებულობდა კონფრონტაცია და დაძაბული ატმოსფერო. ფაქტია, რომ მოსკოვი მისთვის მნიშვნელოვან ერთჯერად პოლიტიკურ დივიდენდებს ღებულობდა (ბაზები ქამრალში, ასმარაში, ალექსანდრიაში, მოგადიშოში), მაგრამ, საბოლოო ჯამში, თვითონ კურსი უპერსპექტივო და წამგებიანი აღმოჩნდა. ამჟამად მეორდება ისტორია? როგორც ერთი ცნობილი ქართველი პოეტი იტყოდა „ქეც კი და ქეც არა". ჯერ ერთი, რუსეთის არსენალი და მსოფლიოს შორეულ კუთხე-კუნჭულებში ინტრიგების პოტენციალი ახლოსაც ვერ მივა საბჭოთა კავშირის შესაძლებლობებთან. გარდა ამისა, თვითონ რუსეთშიც ბევრი რამ შეიცვალა; გაჩნდნენ პირველი ოლიგარქები, რომელნიც „ცივილიზებული" მეთოდებით მოქმედებენ და რიგ შემთხვევებში სასურველ შედეგსაც აღწევენ. მაგალითისათვის შორს არ წავალთ და კასპიის ნავთობსადენის მაგისტრალის კონსორციუმს დავასახელებ, რომელიც 1997 წ. დაარსდა და 1580-კილომეტრიანი ნავთობსადენით ყაზახეთის ყველაზე პერსპექტიული თენგიზის საბადო ნოვოროსიისკის პორტს უნდა დაუკავშიროს. მაგისტრალის გამტარიანობა წელიწადში 67 მლნ. ტონა ნავთობსა და გაზზეა გათვლილი. უახლოეს 20 წელიწადში 23,5 მლრდ. დოლარი უნდა შეადგინოს რუსეთის მოგებამ. 1998 წლის ნოემბერში საზეიმო ვითარებაში დამტკიცდა კონსორციუმის ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტის დასაბუთება. პირველი ტანკერის ე. წ. საცდელი დატვირთვა 2001 წლისათვისაა დაგეგმილი. ყველაფერი ორ ფაქტორზედაა დამოკიდებული. უწყვეტ ფინანსირებასა და რუსეთში სტაბილურობაზე. უკანასკნელ პერიოდში კიდევ ერთ სავარაუდო წარმატებას მიაღწია რუსეთმა „სანავთობო თამაშში"; იტალიის ერთ-ერთმა მსხვილმა კომპანიამ ითავა მახაჩკალის პორტის სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება. 2007 წლისათვის კასპიის სანაპიროზე რუსეთის ამ ერთადერთი გაუყინავი ნავსადგურის ტვირთბრუნვის პოტენციალი 6-ჯერ გაიზრდება და წელიწადში 11 მლნ. ტონას მიაღწევს. სამუშაოები ჯერ კიდევ გასული წლის ზაფხულში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დაღესტანში ვითარების დაძაბვამ იტალიელები დააფრთხო. ამჟამად მოლაპარაკებები განახლდა და თუ სტაბილურობა (შედარებითი სტაბილურობა) შენარჩუნებული და გამტკიცებული იქნა, სამუშაოთა დაწყება ზაფხულისთვისაა დაგეგმილი. მხოლოდ რუსეთზეა დამოკიდებული მაგისტრალის ბედი, რომელიც ითვალისწინებს თურქმენეთიდან ნავთობის მახაჩკალაში ტანკერებით ჩატანას, ხოლო შემდეგ კი რკინიგზით, ჩეჩნეთის გვერდის ავლით, ნოვოროსიისკსა და ტუაფსეში ტრანსპორტირებას. როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნული კონსორციუმის და მახაჩკალის პროექტის ბედი ერთსა და იმავე „დეტალზე" — რუსეთის შიდა-პოლიტიკურ სტაბილურობაზეა დამოკიდებული. აქ კი ნოსტრადამუსიც ვერ გაბედავდა რაიმეს პროგნოზირებას. სწორედ რუსეთის შიდა-პოლიტიკური რეალობაა ის მრავალუცნობიანი განტოლება, რომელიც უკანასკნელ 10 წლის მანძილზე მსოფლიოს წამყვანი ანალიტიკური ცენტრების მთავარ თავის ტკივილად იქცა და კვლავ ამოუცნობლად რჩება. ამავე დროს, „სულ ცოტა" რამაა საჭირო, რათა ახლო და შორეულმა მეზობლებმაც სანდო და უსაფრთხო პარტნიორად აღიქვან რუსეთი — იგი, როგორც მინიმუმი, პროგნოზირებადი უნდა გახდეს დემოკრატიულ საწყისებზე, პატარა ლიტვითა და საქართველოთი დაწყებული და ზესახელმწიფო აშშ-ით დამთავრებული, არავინ არ უნდა ელოდეს მოსკოვის მხრიდან სიურპრიზებს. ის, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლას და მის ადგილას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნას, დიდ სანავთობო „პოკერს" რომ ობიექტურად და კანონზომიერად უნდა მოჰყვეს არსებულ გეოპოლიტიკურ რეალიათა კორექტირება, ახალ არმაგედონად და მეორედ მოსვლად არ უნდა აღიქვან რუსეთის მმართველმა წრეებმა. ძნელია რუსი „დერჟავნიკებისათვის" ყირიმისა და სევასტოპოლის ცნობა საზღვრისგარეთად, მაგრამ „ისტორიული სამართლიანობა", მათ რომ პირზეა აკერიათ, ბასრი ორლესული მახვილია, მას ყველა არ უნდა ეპოტინებოდეს. თუ ამ საშიშ „არგუმენტს" შენ სამოქმედო პროგრამად აქცევ, ქრონოლოგიურ მარწუხებში ველარ მოაქცევე და იგივე რუსეთი, ვთქვათ ლი ხუნ-ჩანთან გაფორმებულ კაბალურ ხელშეკრულებათა გადასინჯვას და ჩინეთის სასარგებლოდ „ისტორიულ სამართლიანობის" აღდგენაზეც უნდა დათანხმდეს. რომელიმე სამხრეთელმა მეზობელმაც შეიძლება გაუხსენოს მოსკოვს, თუ როგორ „იჩუქა" (მიიტაცა) სხვისი ტერიტორიები არცთუ ისე დიდი ხნის წინ.

როდესაც ნებისმიერ ჭრილში ვიხილავთ მსოფლიო პოლიტიკის (არა მხოლოდ ნავთობთან კონტექსტში) ამა თუ იმ ნიუანსს, სადაც რუსეთის ინტერესებიც ფიგურირებს, მუდამ თვალში საცემი ხდება ერთი დამახასიათებელი მომენტი: რუს პოლიტიკოსთა მხრიდან რეალობის ჯიუტი იგნორირება. საბჭოური იმპერია, ალბათ, იმითაც განსხვავდება კლასიკური იმპერიებისაგან, რომ მისი რეციდივები უპრეცედენტო სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევა. განა რეალობის უაზრო იგნორირება არ არის დღეს რუსეთის ტერიტორიაზე გამავალ რაღაც მითურ „XXI საუკუნის სუპერმაგისტრალზე" სერიოზული მსჯელობა? მაგისტრალზე, რომელიც რუსეთის ტერიტორიის გავლით, არც მეტი, არც ნაკლები, ტოკიოდან ბელფასტამდე (!) უნდა გადაიჭიმოს?

ისევ მთავარ საკითხს მივუბრუნდეთ; მას შემდეგ რაც ანკარამ წარმატებით მოიგერია რუსეთის საერთაშორისო-სამართლებრივი პრეტენზია მონტრეს 1936 წ. კონვენციასთან დაკავშირებით (კონვენცია 27 კმ-იან ბოსფორის სრუტეს საერთაშორისო სანაოსნო არხად აცხადებდა) და საერთაშორისო საზოგადოებრიობამაც სამართლიანად სცნო თურქეთის შეშფოთება პოტენციურ ეკოლოგიურ კატასტროფასთან დაკავშირებით (ყოველდღე 1 მლნ. 400 ათასი ბარელი ნავთობი გადის ორივე მიმართულებით სრუტეში), რუსეთმა ბოსფორის შემოვლითი მარშრუტის ლობირება დაიწყო; „რაღაც" ერთი მილიარდი დოლარი დაჯდება ბურგას-ალექსანდროპოლისის მარშრუტი, მაგრამ აქაც ეკოლოგიურმა პრობლემამ იჩინა თავი; დიდი ტონაჟის ტანკერებს გაუჭირდებათ ეგეოსის ზღვის უამრავ კუნძულებს შორის უსაფრთხო ნაოსნობა და ნავთობის ჩატვირთვა-გადატვირთვა. ჯეიჰანის ღირსებად იმასაც ასახელებენ, რომ იგი სამხრეთ თურქეთშია და თანამედროვე ტერმინალები გააჩნია, რომლის გამტარიანობაც ოთხჯერ აღემატება ნოვოროსიისკისას. რაც შეეხება ძვირადღირებული პროექტის ფინანსირებას, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს პრობლემა მოსკოვს უფრო აღელვებს, ვიდრე ინვესტორებს; ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს, სტამბოლში გამართულ პრესკონფერენციაზე, მსოფლიოს უმსხვილესი საექსპორტო-საიმპორტო ბანკის მმართველმა ჯეიმს ჰარმონმა პირდაპირ განაცხადა, რომ „ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე" იწარმოებს ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დაფინანსება. მან იქვე დასძინა, რომ კავკასიისა და ცენტრალური აზიისათვის გამოყოფილ კრედიტთა მოცულობა ჩინეთის კრედიტებს (6 მლრდ. დოლარს) გაუტოლდებაო.

რაც არ უნდა პარადოქსად მოგვეჩვენოს, დიდმა სანავთობო „ინტრიგებმა" ადვილად შეიძლება დადებითი როლი შეასრულოს რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე — ყარაბახის კონფლიქტის დარეგულირებაში, რაც იმედისმომცემ პრეცენდენტად იქცევა. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ ლევონ ტერ-პეტროსიანის მმართველობის პერიოდში, პრესაში გამოჩნდა მასალები იმ მიმზიდველ პერსპექტივებზე, რასაც დიდი ნავთობის ბიზნესში ჩართვა უქადდა სომხეთს. სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა პრესაში სომხეთის პრეზიდენტის საბედისწერო (მისთვის, რასაკვირველია) სტატია — „ომი თუ მშვიდობა". ავტორის აზრით, მისი ქვეყანა, ადრე თუ გვიან აუცილებლივ მიადგებოდა ბაქოსთან კომპრომისის გარდაუვალობამდე. სავარაუდო კომპრომისი, როგორც ჩანს, ნავთობის ბიზნესში ერევნის ჩართვას გულისხმობს, ხოლო სომხეთმა რა უნდა დათმოს ამის სანაცვლოდ, ადვილი მისახვედრია. მაშინ ამ იდეას ლ. ტერ-პეტროსიანი გადაჰყვა, ა. წ. იანვრის დამლევს კი კვლავ ამ იდეით ეწვივნენ ერევანს და სტეპანაკერტს ამერიკელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მოღვაწენი — ჯერეჯიანი და როზენბლატი. ორივენი სომხეთის ინტერესთა ლობირებით არიან დაკავებულნი. ამერიკის იმ გავლენიანი წრეების აზრით, რომელსაც ხსენებული ემისრები წარმოუდგენენ, უნდა აღდგეს სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა, სარკინიგზო მიმოსვლა. რეგიონის ეკონომიკური სტრატეგიის კონიუნქტურა გადაუდებლად მოითხოვს სატრანსპორტო კომუნიკაციათა (მათ შორის მილსადენების) ერთიან სისტემას, რაც დღეს შეუძლებელია.

კარგადაა ცნობილი, თუ რას ნიშნავს სომხეთისათვის ყარაბახის პრობლემა, მაგრამ საერთაშორისო კონსორციუმსა და ბაქოს შორის გაფორმებულმა კონტრაქტებმა ახალი პოლიტიკური რეალიები წარმოქმნა რეგიონში, რომლის იგნორირება დღითიდღე რთულდება. თუ პრესის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ვენდობით, როგორც ერევანი, ასევე სტეპანაკერტი გაგებით შეხვდა ჯერეჯიანისა და როზენბლატის წინადადებას. თუ მართლაც ამ მიმართულებით განვითარდა მოვლენები, ყველა მოგებული დარჩება, გარდა... მოსკოვისა, რომელსაც სულაც არ აძლევს ხელს დასავლეთის სცენარით კონფლიქტის გადაჭრა. ამ შემთხვევაში ფუნქციას დაკარგავს ერევან-მოსკოვის სამხედრო კავშირიც და რუსეთის ბაზებიც. აი, ამაზე კი ვაშინგტონი ნამდვილად „თვალს დახუჭავს".

როგორც აზერბაიჯანის, ასევე საქართველოს პრეზიდენტს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ კასპიის ნავთობმა კი არ უნდა დაამოროს, არამედ უნდა დააახლოვოს რეგიონის სახელმწიფოები, მდიდარი წიაღისეული მშვიდობისა და აყვავების და არა ომისა და ნგრევის ფაქტორად უნდა იქცეს. ნავთობს მართლაც შეუძლია ყველას კეთილდღეობა უზრუნველყოს (მათ შორის რუსეთისაც) თუ პრიმატად საღი აზრი და პოლიტიკური წესიერება იქცევა.

... ახლა კი კვლავ იმ კითხვაზე, ჩემმა ნაცნობმა რომ დამისვა; მართლაც მხოლოდ 5-8 მლნ. დოლარით ამოიწურება საქართველოს დივიდენდები „დიდი" ნავთობის მარშრუტიდან? ფაქტია, რომ საქართველოზე გამავალი ნავთობის სატრანზიტო ტარიფები შთამბეჭდავი არ არის, მაგრამ არც ის გამიკვირდება, უფრო დაბალ ტარიფებზეც რომ დათანხმებულიყო ქართული მხარე. ესეც გამართლებული იქნებოდა. რატომ? უბრალოდ სხვა რამაა გაცილებით მნიშვნელოვანი, რომელსაც შეუძლია სახე უცვალოს ქვეყანას. საქმე ის გახლავთ, რომ „გვიანი" ნავთობის მარშრუტის გარეშე პრაქტიკულად განუხორციელებელი იდეის დონეზე რჩება ევრაზიის სატრანზიტო კორიდორი, რომელმაც „ახალი" აბრეშუმის გზით უნდა დააკავშიროს ერთმანეთს ჩინეთი, ცენტრალური აზია, ევროპა და ამიერკავკასია... რუსეთის შემოვლით, პროექტის ისტორიულ პერსპექტივაზე უკრაინის მაგალითიც მიგვანიშნებს, რომელიც ჩქარობს დაგეგმილ მარშრუტში ჩართვას და ტერმინალებს აშენებს ოდესაში. ბათუმისა და ოდესის ტერმინალების გამტარუნარიანობა ნავთობის იმ რაოდენობის ადეკვატური იქნება, კიევი რუსეთიდან რომ ღებულობს, სავარაუდოა, რომ რუსეთის ფედერაციის საბჭოს უკანასკნელი ანტიუკრაინული დემარში მხოლოდ დააჩქარებს დაწყებულ სამუშაოებს.

... ჩვენმა პრეზიდენტმა შეძლო ხელიდან არ გაეშვა შანსი, რომელსაც ისტორია აძლევს საქართველოს. ქვეყანას შეუძლია 21-ე საუკუნეში სამუდამოდ დაიმკვიდროს ადგილი ნორმალურ სახელმწიფოთა შორის, სადაც კანონი ყველასათვის კანონია. მხოლოდ ნუ დავივიწყებთ, რომ ეს ჯერ კიდევ მხოლოდ შანსია (თუმცა რეალური!) დანარჩენი დამოკიდებული იქნება ჩვენს გონიერებაზე, როდესაც კვლავ საარჩევნო ურნების პირდაპირ აღმოვჩნდებით.

სოსო ცინცაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 44-45.

კორუფცია

ჰომო კორუმპი ლუპუს ესტ

სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ კორუფციასთან ბრძოლის ახალი ამოცანები დასახა. ბუნებრივია, სამინისტროს პოლიტიკური სამსახურის ხელმძღვანელს ამ ბრძოლაში ჩემი სიტყვა უნდა მეთქვა. ვთქვი კიდეც, ვთქვი და ისეთი ალიყური მივიღე, დღემდე მახსოვს. თუ რატომ, ახლავე მოგახსენებთ.

ერთ-ერთი სპეცღონისძიების ჩატარებისას, ქრთამის აღწერის ფაქტზე ცხრა ავტოინსპექტორი დააკავეს, თბილისში „პუსტა-პუსტა-პაგონებიანს“ რომ ეძახიან. საგანგებო შემთხვევა კოლეგიის მსჯელობის საგანი გახდა.

იმჟამინდელმა მინისტრმა (ღმერთმა აცხონოს), ფანქარი ყურში რომ გაირჭო, მივხვდი, საქმე ცუდად იყო. ლანძღეს და ლანძღეს ავტოინსპექტორები, მათ „პატიოსან“ ხელმძღვანელებს კი სამსახურში მორალურ-პოლიტიკური ატმოსფეროს გაჯანსაღება მოსთხოვეს. არ ვიცი, რა ეშმაკი შემიჩნდა ან რამ მათქმევინა, რომ არ შეიძლება ყველა ავტოინსპექტორი დაბადებიდან მექრთამე იყოს, ეტყობა სამსახურში არსებული სისტემა აქცევს მათ ასეთებად, ტრასებზე და ქუჩებში გამოძალული დაჭმუჭნული სამ და ხუთმანეთიანები თბილისის ცნობილ უბანში ტკიცინა ასმანეთიანებში იცვლება და, ალბათ, ცოტა უფრო ზევით მიდის-მეთქი. მინისტრმა ყურში გარჭობილი ფანქარი რომ დაატრიალა, მივხვდი, განწირული ვიყავი. ისე აგიხლეთ ყველაფერი. ერთი კვირის თავზე, საპატიო სტუმრის დასახვედრად თბილისიდან გორში მიმავალნი ავტოინსპექტორმა გაგვაჩერა (ღმერთმა აცხონოს). — მანქანა გაურეცხავია, თან „ბამპერი“ შეჭეჭყილია, ამას 30 მანეთი უნდაო, — გვითხრა.

გამიკვირდა, აგვისტოს პაპანაქება სიცხეში ტყავის ქურთუკში გამოწყობილი უფროსი ლეიტენანტი, ოფიცერი კაცი, რატომ მაინცდამაინც 30 მანეთს გვთხოვდა. ყველაფერი მცხეთის რაიგანყოფილებაში მისი მიყვანის შემდეგ გაირკვა. თურმე „პუსტა-პუსტა-პაგონებიან“ ინსპექტორს 5 მანეთი „ეკუთვნოდა“, ხოლო სხვის ქურთუკზე დაკერებულ სამხრეებზე არსებულ სამ ვარსკვლავში — 30 მანეთი. ვერ მოვითმინე და ძველ დროში რაინდული, იმ დროისათვის კი კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი ჩავიდინე: ავტოინსპექტორს სამხრეები ავაგლიჯე და სახეში მივაყარე.

კოლეგიის სხდომაზე დამარწმუნეს, რომ კორუფციასთან ბრძოლის ჩემეული მეთოდი კომუნისტებისათვის მიუღებელია, მექრთამეობასთან ბრძოლის უფრო ცივილიზებული მეთოდებიც არსებობს. მადლობაც მათქმევინეს; რომ არ დამიჭირეს და კარგა ხნით უმუშევარი დამტოვეს. ავტოინსპექტორი დააწინაურეს, „ქერის ორმოში“, ანუ მლეთის პოსტზე გადაიყვანეს სამუშაოდ, სადაც სამ პატარა ვარსკვლავზე სამი ათასი მანეთიც არ იყო საკმარისი.

* * *

აკი მოგახსენეთ, სფინქსივითა ვარ-მეთქი. გავიდა წლები და მოულოდნელად ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის თანამდებობა შემომთავაზეს. რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსისათვის ეს წინადადება თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ კარგად ვიცოდი, რომ ეს პრესტიჟული თანამდებობა „წინწკლებიან“ გენერალს თავისი მეგობრისათვის, ჩემზე ბევრად უფრო განათლებული, ჭკვიანი და, რაც მთავარია, ყოფილი კალათბურთელისათვის ჰქონდა დაჯავშნული. ღმერთია მოწმე, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ვაჟკაცური სამსახურის უფროსს არც პრეტენზია და არც სურვილი არ მქონია კიდევ უფრო მძიმე უღლის დადგმის. მაინც დამნიშნეს. როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემს კომკავშირელ კოლეგას და მეგობარს, იმ დროისათვის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ბატონ გურამ გაბუნიას უთქვამს გადამწყვეტი სიტყვა.

— წარსულში ქექვას არ დავიწყებ, რაც აქამდე გიშოვნიათ, ღმერთმა შეგარგოთ, მოდით, დღეიდან კაცურად ვიმუშაოთ, — ვიმეორებდი ამ ბანალურ და არც თუ ორიგინალურ სიტყვებს სამმართველოს ყველა სამსახურის მუშაკებთან შეხვედრისას. და იცით რა მოჰყვა ჩემს „დიდაქტიკურ გაკვეთილებს?“ ერთი კვირის თავზე კაბინეტში „ხაზინადარად“ ცნობილი ე.წ. „ობეხესის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკი შემოიძურწა. სალამ-ქალამის, ოჯახის და ჯანმრთელობის მოკითხვის შემდეგ პირდაპირ დაიწყო: — ასე არ გამოვა, რაც თქვი, სწორია, მაგრამ... „იქ“ „ის“ თუ არ წავიდა, იცოდე მოგხსნიან. აქ ასეთი წესი იყო, არის და იქნება. ამ წესს ვერ შეცვლი. ვერც ვერავინ შეცვლის. შენ არ გამორჩნდები, ყველა თავის წილს მიიღებს და დამშვიდდებიან, შენც მიიღებ შენს წილს. ბოლოს და ბოლოს, როდემდე გინდა ასე ცხოვრება.

იმ დროისათვის ყოვლისშემძლე „პირველის“ უახლოესი მეგობრის თავხედობამ და ტონმა გამალიზიანა, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ „მამადუს“ ხათრით ხელქვეითის კაბინეტიდან მუჯლუგუნით გაყვანით დავკმაყოფილდი.

ერთ კვირაში, თბილისის გარეუბანში ერთ-ერთ საწარმოში მომხდარი ხანძრისათვის „ლაქლაქკომის“ ბიუროს ჩემთვის საყვედური გამოუცხადებია, რაც პრესის მეშვეობით გავიგე (ვინმემ ჩემგან შეურაცხყოფად არ მიიღოს. ხელმძღვანელობაშეცვლილ პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს იმჟამინდელი პრესა სწორედ ასე მოიხსენიებდა). ეს პირველი ავისმომასწავებელი სიგნალი იყო.

ორი თვის თავზე „ხაზინადარმა“ ისევ დამავიზიტა და მაგიდაზე საკმაოდ მოზრდილი, ცელოფანში გახვეული პაკეტი დადო. მივხვდი, რომ ჩემი ხელმძღვანელები აშკარა პროვოკაციაზე მიდიოდნენ. იღლიაში პაკეტამოჩრილ, კარებისკენ გაქცეულ „ხაზინადარს“ ბროლის საფერფლე დავადევნე... ვგრძნობდი, რომ ვიღაც მურტალი და ბოლმიანი არ მასვენებდა. მისი აზრით, ჩემი დაჩოქება და ყურმოჭრილ მონად ქცევა მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა, თორემ საქმე ისე აეწყო, შარს ვერაფერში მდებდნენ. შემორჩენილი ერთგული თანამებრძოლები ძლივს დავარწმუნე, რომ „მაკაროვზე“ მეტად პოლიციას იმ პერიოდში მაკარენკო უფრო სჭირდებოდა.

დაიწყო პოლიციის გაკეთილშობილების პროცესი, პოლიციელებისათვის იმართებოდა ზნეობის გაკვეთილები, სიმფონიური მუსიკის საღამოები, შეხვედრები ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. პირველად მაშინ ამუშავდა ნდობის ტელეფონი, ასევე სპეციალური ტელეფონი მოხუცებისა და ინვალიდებისათვის, რომელთა გამოძახებითაც პოლიციის მუშაკები ოჯახებში მიდიოდნენ და ადგილზე წყვეტდნენ მათ პრობლემებს. შეძლებისდაგვარად წყდებოდა თანამშრომელთა ბინებით უზრუნველყოფის, სურსათ-სანოვაგით და განსაცმლით მომარაგების საკითხი. დაიწყო საბრძოლო ტირის მშენებლობა, ამუშავდა სპორტული სექციები, ამოქმედდა პოლიციელთა პროფესიული მომზადების ერთიანი მწყობრი სისტემა... ვიგრძენი, რომ თანამშრომელთა დიდ ნაწილში თავმოყვარეობის გრძნობამ გაიღვიძა, შუბლის ძარღვს ფასი დაედო. შედეგმაც არ დააყოვნა. იმ წელს, დამნაშავეობასთან ბრძოლის და სამართალდარღვევების პროფილაქტიკის მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ბოლო ათი წლის განმავლობაში. მოსკოვში იმ დროისათვის უმაღლესი პროფესიული ჯილდოც გადმომცეს და... ცოტა ხანში „ლაქლაქკომის“ ბიუროს დადგენილებით დაკავებული თანამდებობიდან გამათავისუფლეს. მისმა უდიდებულესობამ, კორუფციამ, კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა. დადგენილება, როგორც ნაჩქარევი, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო, თვითონ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ გააუქმა, მაგრამ იმჟამინდელ აბსურდის თეატრში დაბრუნება არც მიფიქრია.

გაიარეს წლები და სასტუმრო „ივერიის“ რესტორანში სუფრასთან შემთხვევით შეხვედრილი ის „ხაზინადარი“ ჩემი მეგობრისა და კოლეგის თანდასწრებით მეტყვის:

— მე კაცურად მოვიქეცი (?!), თქვენ არ დამიჯერეთ. ხომ გეუბნებოდით, არ გაგაჩერებენ-მეთქი. იმ ფულს ერთი იმდენი დავუმატეთ და, სადაც ჯერ არს, იქ მივიტანეთ. დანარჩენი, ბატონო ჩემო, მოგეხსენებათ, ტექნიკის საქმეა.

* * *

გასახსენებელი სხვაც ბევრია, მაგრამ, რომ არ გავინაწყენდეს, თავად ჰომო კორუმპიზეც ვთქვათ ორიოდე სიტყვა. ჰომო კორუმპი, უპირველესად, თავხედია. არად დაგიდევს სახელმწიფოს და ხალხის ინტერესს, მორალის მოთხოვნებს. უტიფრად უპირისპირდება საზოგადოებას და საზოგადოებრივ აზრს, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ჰომო კორუმპის ბაბაც უნდა და ჩიჩიაც, მინისტრობაც და რამდენიმე კომერციული ფირმის პრეზიდენტობაც, უწყების ხელმძღვანელობაც და რესტორან-ბაზრების მფლობელობაც. სანამ თანამდებობაზეა, უნდა ძარცვოს და წაგლიჯოს, თორემ ამათ (მთავრობას) მტერი ენდო.

მე ვიცნობ ჰომო კორუმპის, რომელსაც „თხა და გიგოს“ შემდეგ არაფერი წაუკითხავს, მაგრამ აკადემიკოსი გახდა. უჭკუო და თავხედი ჰომო კორუმპის გარდა, აბა ვინ გაბედავდა ნაძარცვი და არამად ნაშოვნი ფულით დედაქალაქის ცენტრში სასახლის წამოჭიმვას.

ან, თუ მართლა ჭკვიანი ჰომო კორუმპი ხარ, იმდენი მაინც ხომ უნდა იცოდე, რომ შენი ხელფასის პატრონმა არ შეიძლება ერთდროულად ქალაქში და სოფელში შენს საკუთარ ბინებს ძვირადღირებული ე.წ. „ევროპული რემონტი“ გაუკეთო და თუ მაინც გაუკეთებ, ხელოსან ტიტიკოს ან ჭიჭიკოს რამდენიმე ათას დოლარად ღირებული ბინა არ უყიდო ქ. თბილისში. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ არც ტიტიკოს და არც ჭიჭიკოს ენას ძვალი არა აქვს.

* * *

ზემოთ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურის შექმნის თაობაზე ატეხილი უსაგნო აჟიოტაჟი ვახსენე. ვინც მეტნაკლებად იცნობს საქართველოში არსებული კორუფციის რეალურ მასშტაბებს, არ შეიძლება არ დაგვეთანხმოს, რომ ასეთი სამსახურის შექმნა დღევანდელ ეტაპზე სასიცოცხლოდ აუცილებელია და, დარწმუნებული ვარ, შეიქმნება კიდეც ჩემი რეკომენდაციების გარეშეც. მე მხოლოდ ერთი მოკრძალებული სურვილის გამოთქმის უფლებას მივცემ თავს: — საქართველოში კორუფციასთან მებრძოლ სამსახურში შერჩეულმა კანდიდატმა სახალხოდ (ტელევიზიით, რადიოთი, პრესით) უნდა მიმართოს საქართველოს მოსახლეობას ამგვარი ან დაახლოებით ამგვარი ტექსტით:

„მე (ესა და ეს)“

ერისა და ქვეყნის წინაშე სახალხოდ ვაცხადებ, რომ ბუნებაში არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩემთვის მოუცია ქრთამი ან ანგარების სხვა ფორმით მოვუსყიდივარ. არავითარი სხვა შემოსავალი, გარდა ხელფასისა, არა მაქვს. ასევე, არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრებს არ გაგვაჩნია სავაჭრო ობიექტები (ჯიხური, მაღაზია), არ ვფლობთ და არ ვართ წევრები კომერციული ფირმების ან სხვა ამგვარი სტრუქტურების. მაქვს ერთი კომუნალური პრივატიზებული ბინა. ჩემი ოჯახის წევრები არიან სახელმწიფო სამსახურში, იღებენ ხელფასს და სხვა რამ შემოსავალი არ იციან. ვფიცავ, კვლავაც პატიოსნად ვემსახურები ჩემს ქვეყანას და ხალხს, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით“.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ სამსახურის დასაკომპლექტებლად საჭირო რამდენიმე პატიოსანი ადამიანი საქართველოშიც მოიძებნება, ის ადამიანი, ვისაც უფლება ექნება ხმამაღლა და ყველას გასაგონად თქვას — „მე პატიოსანი ადამიანი ვარ!“.

ბუნებრივია, ჰომო კორუმპი ასე არ ფიქრობს და არც არასოდეს შეურიგდება ამგვარი სამსახურის შექმნას, მაგრამ ძაღლის ყეფა, თუნდაც მგლის ყმუილი, რა მოსატანია, როდესაც საქართველოს ბედნიერი მომავალი იმედის ქარავნად მიაბიჯებს ისტორიული აბრეშუმის დიდ გზაზე.

ნუგზარ ქავთარაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 45.

ფოსტა

ფიქრი თუ აგიხირდება

დღეს შენი ჭირ-ვარამი თუ ვინმეს მესჩივლე, ათმაგად შემოგწუწუნებს, თუ იმედიანი სიტყვა შეაშველე, შემოგიტევს და თავისი პესიმიზმით გულს დაგიმძიმებს. იქნებ ამიტომაც ფიქრი რომ ახირდება, სიხარულისა თუ ტკივილის გამზიარებლად მკითხველი ხშირად გაზეთს ირჩევს.

რწმენის კედელზე დაუწერია თავისი გულწრფელი სტრიქონები სამამულო ომის ვეტერანს **სიმონ კიკვაძეს**. ავტორის თვალს არ გამოპარვია ქვეყანაში მიმდინარე არც ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა, უკანასკნელ წლებში წინ გადადგმული ნაბიჯები. ლექსში „ახალი 1999“, რომელშიც თავის გრძნობებსა და განცდებს გამოხატავს, თამამად აცხადებს: არც ისე დიდი დრო დარჩა, სანამდე მთლად გაბრწყინდებიო.

ომისა და შრომის ვეტერანი, ამაგდარი პედაგოგი და სამეურნეო მუშაკი **ევგენი ჯიქიძე** დღესაც, 89 წლის ასაკშიც თავის მოვალეობად თვლის ქვეყნის მომავალზე ზრუნვას. მისი აზრით, პარტიების დრო და ენერგია ურთიერთქიშპობასა და მათი ლიდერების საპარძლების „კეთილმოწყობაში“ იფლანგება და, ამის გამო, ბევრი პრობლემა გადაუჭრელი რჩება. არადა, პრეზიდენტს, რომელმაც ქვეყნისათვის სასიცოცხლო პოლიტიკური ნაბიჯები გადადგა, მათი და თითოეული ჩვენგანის თანადგომა სჭირდება. თორემ, ხომ გაგიგონიათ, — მარტო კაცი ჭამამიაც ბრალიაო, — წერს იგი.

უმადურობა ყველაზე მძიმე სენია, რომელმაც ბოლო ხანს ქართველებს ხელი დარია. საბედნიეროდ, კიდევ არიან ადამიანები, რომლებსაც სიკეთის, მშვენიერების, ნიჭიერების აღქმისა და დაფასების უნარი არ განელებიათ. **იოსებ ბალახაშვილი** — თბილისელი ხალხური მთქმელი, მრავალი ლექსის ავტორი წლების განმავლობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში მუშაობს. აქ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე კარტოზიას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი დაიბეჭდა. იოსებ ბალახაშვილი პირადად იცნობს შესანიშნავ მეცნიერს და მისი კაცთმოყვარეობა, კეთილშობილება და მამულიშვილობა ხალხური მთქმელის შთაგონების წყაროდ ქცეულა. „ეგ გამჭრიახი თქვენი გონება, არის იმედთა ნავსაყუდელი“. ერთი ამოსუნთქვით დაწერილი სტრიქონებიდან ჩანს, რომ ავტორის ცხოვრებასა და შემოქმედებას სიყვარული და იმედი ასაზრდოებს.

თუმცა, ეს გრძნობა ყველას როდი უმსუბუქებს ყოფას. საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულში მცხოვრებლების **უშანგ გოგოლაძის, პავლე კაპანაძის, პავლე, გენადი, ვალოდია, ანზორ, ზაქარია ცუცქირიძეების, დავით, ოთარ, სერგო მაჭარაშვილების** საფიქრალ-საზრუნავი საარსებო მინიმუმი გამხდარა. ეკონომიკურ გასაჭირს რომ იმათი სიცრუე, გულგრილობა და უპასუხისმგებლობა ერთვის, ვისაც ადამიანებზე ზრუნვა ევალება, ბუნებრივია, იქ ოპტიმიზმიც უცხო ხილია. შარშან, — გვწერენ კორბოულელები, — პენსიების ნაცვლად 20 ლარის ანგარიშში თეთრი ფქვილი მოგვცეს, ხოლო 18 ლარად — რუხი ფქვილი. ბაზარზე კი თეთრი 17 ლარი ღირს, რუხი — 15 ლარი, როდემდე უნდა აგვიგდონ აბუჩად ეს უპატრონო და უფულო ხალხი.

რაც მართალია მართალია, უკიდეგანო ფანტაზია ჰქონიათ ზემოაღნიშნული იდეის ავტორებს. მე რომ კორბოულელი პენსიონერი ვიყო, ავტობუსში ერთ პეშვ რუხ ფქვილს გადავიხდიდი, აფთიაქში — 2 პეშვ თეთრ ფქვილს, ელექტროენერგიის საფასურად შეიძლება 3 პეშვი გამემეტებინა, მიწის გადასახადში — 4 და ა. შ. რაკი ანაზღაურების ეს ფორმა კორბოულელებს ჯერ ვერ მოუფიქრებიათ, სასოწარკვეთილები რედაქციას სთხოვენ დახმარებას. ჩვენ კი საჩხერის რაიონის მმართველებს ვთხოვთ: იქნებ ხალხის ბედის სამართავადაც მოიცალონ და მიღებული ზომების შესახებ პასუხი გულისტკივილით სავსე წერილის ავტორებსა და რედაქციას აცნობონ.

ქართულმა მაფიამ მათხოვრობაც რომ ბიზნესად აქცია, არახალია, მაგრამ ჟურნალისტ **დოდო ზურაბაშვილს** ისეთი გულმოდგინებით გამოუკვლევია მათხოვრობის მიზეზები, თითქოს მისი აღკვეთა ჩვენს „წერა-კითხვაზეა“ დამოკიდებული. განა თანაგრძნობითა და სინანულით გამსჭვალული წერილის ავტორის შემოსავლის წყარო მხოლოდ პენსია არ არის? მაგრამ ხელი სამათხოვროდ არასდროს გაუწვდია. რასაკვირველია, არიან უკიდურესობამდე მისული ადამიანები, მაგრამ ქუჩასა და მეტროპოლიტენში გულმოწყალე და, ხშირ შემთხვევაში, მაფიის უნებლიე ხელშემწყობ თბილისელებს რომ ვუყურებ, ერთი დიდი თავშესაფრის მშენებლობისა და უპოვართა იქ დაბინავების სურვილი მიჩნდება. რა მადლი იქნება ყოველ ფეხის ნაბიჯზე გასაცემმა „თეთრებმა“ ორგანიზებულად, ოფიციალურად ერთი კეთილსინდისიერი ფონდის ხელში მოიყაროს თავი და ეს თანხები იმ კატეგორიის ადამიანების გადარჩენას მოხმარდეს, ვის ბედზეც არა მარტო სარედაქციო ფოსტაში შემოსული წერილის ავტორი, არამედ თითოეული ჩვენგანი ფიქრობს.

ლეილა კოშკაძე.

პრესა

(პირველი გვერდიდან)

რატომ კეთდება ძირითადი სვლები შავი ფიგურებით?

აღარ უნდა მოვრჩეთ? — ვსვამ ამ კითხვას და როგორღაც მეუხერხულება გავუფუჭო საზოგადოებას დემოკრატიით და სიტყვის თავისუფლებით გამოწვეული სიხარული და დამათრობელი ღელვა. მოთმინებით ველოდი მომენტს, როცა საზოგადოებას მოსმენის და წაკითხვის გარდა, ბოლოს და ბოლოს, გაუჩნდებოდა სხვა მოთხოვნილებები, მაგალითად, მოსმენილისა და წაკითხულის გააზრების, შეფასებისა და... გადაფასებისაც. ველოდი, მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ ძალიან დიდხანს მომიწევს ლოდინი, რადგან ამ საზოგადოებამაც გამოიმუშავა იმუნიტეტი. სულაც არ მინდა თეთრი ყვავის არცთუ მადლიანი როლი მოვირგო, მით უმეტეს, ჩემს გარდა, დარწმუნებული ვარ, სხვაც ბევრი ფიქრობს ამ პრობლემებზე, მაგრამ რატომღაც სახალხოდ ერიდებათ თავიანთი აზრის გამოთქმა.

ველოდი და, რადგან არავინ ამოიღო ხმა, ახლა ვიტყვი და მაპატიეთ, თუ რაიმე ისე არ გამომივიდა.

ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენთან დემოკრატიამ, ცოტა არ იყოს, გაუტია...

შორიდან თუ შეხედავ, ჩვენი დემოკრატიის პირობებში ყველაფერია: მაღალხმიანობა, ფორმები, სითამამე გახდაში. და კბილებიც, თუმცა რა კბილები, ეშვები! მაგრამ თუ მიუახლოვდი... ეშმაკმა დალახვროს!

სიტყვის თავისუფლებამ პრესის თავისუფლება შვა, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდი ხნის სიბერწემ არცთუ საღი ნაყოფი გამოილო. ამიტომაც მივიღეთ პორნოგრაფიითა და ძალადობით გაჯერებული თავისუფლება, რასაც ჩვენში ან ეროტიკად გვასაღებენ, ანდა „ბოევიკებად“ ნათლავენ. და რომელიც საკმაოდ დიდ „ფსიქო“-ემოციურ დარტყმას აყენებს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ ფსიქიკას. მეტიც — უწყინარი და მიმზიდველსათაურებიანი ისეთი ტელესერიალებით გვიმასპინძლდებიან, სადაც ფილმების გმირების ცხოვრება ზნეობის ყველა ნორმას ხაზს უსვამს და ისეთად წარმოგვიდგენს „კოლუმბის ქვეყნის“ ყოფას, როგორიც პურიტანულ ამერიკაში, ალბათ, არც დასიზმრებიათ. ამიტომაც არის, რომ ამგვარი ფილმები მდარე გემოვნების მაყურებლისთვის იქმნება. ბულვარულ პრესასაც თავისი მკითხველი ჰყავს საზღვარგარეთ.

ჩვენთან? ჩვენთან მთელი ქვეყანა საეჭვო პროდუქციის მომხმარებელი ხდება ნებსით თუ უნებლიეთ, რადგან არჩევანის საშუალებაც არა აქვს.

ამ არჩევანს კი ჩვენ ვთავაზობთ, ან უფრო სწორად — უნდა ვთავაზობდეთ.

ქართული პოლიტიკური პრესა კი სიკვდილსაც (გაიხსენეთ ქუთაისის ტრაგედია!) ისე შიშველად წარმოაჩენს, როგორც პორნოგრაფიული ჟურნალი ტიტლიკანა ლამაზმანს.

ამის ერთ-ერთი და იქნებ მთავარი მიზეზიც ის არის, რომ მომხმარებელი ჰყავს. მიზეზი ეს არის, ტრაგედია კი ის გახლავთ, რომ ეს მომხმარებელი ხშირად თავის თავს ელიტას მიაკუთვნებს.

სიმართლე გითხრათ, არც ვაპირებ ვუსაყვედურო კოლეგებს, რომლებიც თავიანთ ბიზნესს მოყვასის უბედურებაზე აგებენ — ისინი, ვინც საგანგებოდ სპეკულირებენ სიკვდილით. ფუჭი საქმეა, — მაინც ძველებურად გააგრძელებენ.

უბრალოდ, მინდა ვთხოვო კოლეგებს, არა, კი არ ვთხოვო — შევუძახო:

მიცვალებულთა მიმართ გულგრილობა საშინელი სოციალური ავადმყოფობაა. თუ მას არ ვუმკურნალეთ, ჩვენ ვერასოდეს ავაშენებთ ნამდვილად დემოკრატიულ საზოგადოებას. დემოკრატია ხომ უპირველესად ჰუმანურობაა, ჰუმანურობა კი, უწინარესად, მიცვალებულთა პატივისცემას გულისხმობს.

იყავით ადამიანები, ხალხნო!

არის ვინმე ცოცხალი?

თუ ჩვენ ყველანი კარგა ხანია დავიხოცეთ?!

ყველაფერ ამას არცთუ მთლად კარგი სუნი უდის. მაგრამ ფაქტებით საუბარი სჯობს. თვალი გადავავლოთ „საყვარელ“ ადგილებს ერთ-ერთ გაზეთში, დავტკბეთ ახირებული ინტელექტის თამაშით:

„დამნაშავეთა ჯგუფმა ოჯახის დაყაჩაღების მიზნით სახლის კარის შემტვრევა სცადა.

ათასგვარი ოჯახური წერილმანისაგან გადაღლილ და ნაჯაფარ ცოლ-ქმარს მშვიდი ძილით ეძინა ათი წლის შვილთან ერთად“.

მოიცათ, მოიცათ, სად გარბიხართ. ეს ამბავი ადრე დამთავრდებოდა. მრავალი წერტილით. ბოლომდე ჩაყლაპეთ!

„გაუჭირდათ ბიჭებს სურვილის ასრულება“.

მართალია, გაურკვეველი რჩება, ვისზე უფრო ნერვიულობს ავტორი — ბიჭებზე, რომელთაც გაუჭირდათ სურვილის ასრულება, თუ ოჯახზე, მაგრამ ჯერ მივყვეთ.

„სიფრთხილეს თავი არ სტკივაო და ამ რთული და „საინტერესო“ ოპერაციის ჩასატარებლად ნიღბები და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიც თან ჰქონდათ. ბურთიც და მოედანიც ხომ მათი იყო... და აპრილის მშვიდი ღამე ავტომატების კაკანმა გააპო, რამაც ორი ადამიანის სიცოცხლე გაიყოლა თან და საშინელი ტრაგედიის მომსწრე ბავშვის უგონო თვალების მზერა მშობლების სისხლის გუბეში ჩაიხრჩო.

ყველაფერი დამთავრდა...“

ყველაფერი, იქნებ, ავტორისთვის დამთავრდა, მაგრამ მკითხველისთვის?

თუმცა, ავტორი ბრძნულად შენიშნავს:

„კიდევ ერთი მუხთლობა, კიდევ ერთი ვერაგობა, ტკივილი, სისხლი და ობლობა შეემატა ცოდვებით დამძიმებულ ადამიანთა ისტორიას.

ყველაფერს, რა თქმა უნდა, თავისი სახელი დაერქმევა, დამნაშავეებიც დაისჯებიან, მაგრამ ეშველება კი ობლად დარჩენილი ბავშვის ტრაგედიას, რომელმაც საკუთარი თვალით იხილა ყოველივე?“

თანამოქალაქენო, ყვითელი პრესის მოყვარულნო, პრესისა, რომელიც თუმცა კოჭლობით, მაგრამ პიონერის ერთგულებით მიდის უცხოური ყვითელი პრესის მიერ გატკეპნილი გზით — რით შეიძლება გაამართლოთ ეს, რბილად რომ ვთქვათ, გონებაშეზღუდულობა?

უპირველესად, ყოველივე ეს უსარგებლოა: იგი ვერ დაამშვიდებს დაზარალებულთ, ვერ დაამშვიდებს იმ 10 წლის ბავშვს, „რომელმაც საკუთარი თვალით იხილა ყოველივე“ და რომელსაც გაზეთში გამოქვეყნებული ფოტო კიდევ არაერთხელ შეახსენებს ამ ამბავს. და ვერც თავდამსხმელთ დაეხმარება რამეში.

მეორე, უზნეობაა დაამზადო „სულიერი საკვები“ ობივატელისთვის სხვათა გასაჭირისა და ადამიანური უბედურებებისაგან.

მესამე, ეს უაზრობაა — ყოველდღე ყველა ქალაქში კლავენ, აუპატიურებენ, ძარცვავენ და ყოველდღე იგივე ქალაქებში უყვართ, დღესასწაულობენ, რაღაცას აღწევენ, ახალს ქმნიან, უხარიათ, მუშაობენ. და ძალიან ძნელია გაიგო, რატომ კეთდება ძირითადი სვლები შავი ფიგურებით.

მეოთხე — ეს უსამართლობაა. დემოკრატია ის არის, როცა თითოეულს შეუძლია იმის გაგება, რაც უნდა და არა ის, რომ თითოეულმა იცოდეს ის, რისი ცოდნაც ბრბოს აინტერესებს.

დაბოლოს — ეს საშიშია!

როცა ძველი სინათლე მიინავლა, ახალი კი ჯერ ოდნავ ბჟუტავს, მიწისქვეშეთიდან გამოდის ბრბო. სიბნელე — ეს მისი დროა, და იგი ითხოვს: მომეცით!

გაეშებული მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალება კვებავს ბრბოს ამ საზიზღრობით, ჩვენი კულტურა კი დათრგუნულია „ბრბოს სურვილებით“. ამიტომაც, ჩვენ აღარ დაგვრჩა თითქმის არც ერთი წესიერი გაზეთი, რომელიც დამატებით შემოსავალს არ იღებდეს სტატიებით სულების გამოძახების, სხვა ანომალური მოვლენებისა და სამყაროს აღსასრულის შესახებ ასტროლოგიური ბოდვებით. და ამ ნიაღვრით წალეკილ მინდვრებზე ხშირად გინდება ამოიკვნესო: ყველაფერი ასე მარტივად არ არის! ადამიანის ბრბოდ გადაქცევას საკვების ერთფეროვნება იწვევს. ჩვენგან „დაპურებული“ ბრბო ჩვენი „კლიენტი“ ხდება და უფრო მეტს ითხოვს — „საკვებს“, და არა „მენიუს“ შეცვლას... „კლიენტი“ კი ყოველთვის მართალია. საკუთარ თავს ბრბოს, მდაბიო ხალხის დიქტატურის უფლება არ უნდა მივცეთ. ამისთვის კი, უპირველესად, საჭიროა „კლიენტის“ გაკეთილშობილება, მისთვის სულიერი საზრდოს მიწოდება.

ყოველგვარი რევოლუცია — ეს დონის შეცვლაა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — დონეების გათანაბრება. ჩვენ ერთხელ უკვე ამოვსვარეთ ტალახში მაქმანები და დიდებულთა სასახლეების მარმარილო და წინ წამოვწიეთ სოფელი, მოვწყვიტეთ რა იგი მიწას და ამით ერთდროულად მოვისპეთ საყრდენი — მიწაც და ჰაერიც. რა შეიძლება დავუთმოთ ბრბოს, რომელსაც ყოველთვის რაღაც მწარე და მახვილი უნდა, რათა ძილის წინ სული შეეხუთოს და ზურგზე ცივმა ოფლმა დაასხას?! არ შეიძლება ღიმილით გადაავლო თვალი გვამებს და გამოაჭენო ეკრანზე ნამდვილად ავადმყოფი ადამიანები. ტკივილი ტკივილად უნდა დარჩეს, მისი სიმწვავე კი არანაირად არ უკავშირდება რაოდენობასა და პერიოდულობას.

დროთა განმავლობაში ბრბო მიიღებს თავის გაზეთებსა და ჟურნალებს, ტელეარხებსა და კომიქსებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხს აღარ ექნება თავისი მუდმივი, ზნეობრივი ვალი — აღზარდოს, გაზარდოს, გამოასწოროს თავისი ცუდი შვილები. ჯერჯერობით კი ბრბოსგან თავის დაცვაა საჭირო. ბრბოს სძულს მიხვეულ-მოხვეული გზები. მას მოკლე გზა ურჩევნია— ჩამოაგდოს მეფე და დაიწყოს ცხოვრება, ჩაქოლოს ბიზნესმენი და კვლავ თვითონ აბოგინდეს, მოაგროვოს თანამზრახველთა არმია, აირჩიოს შედარებით მაგარი შუბლი, გაარღვიოს ნებისმიერი დაწესებულების ჭიშკარი ან შესასვლელი, გამოათრიოს ერთი-ორი მაღალი თანამდებობის პირი თმებით და კვლავ დაიწყოს ბედნიერი ცხოვრება.

ვუთმობთ ბრბოს და ქვეყნიდან ვაძევებთ იმ ადამიანებს, ვუმოკლებთ დროს მათ, ვინც ჯერ კიდევ ცდილობს რამე გააკეთოს. ნუ დაგვავიწყდება რამდენიმე წლის წინანდელი საქართველო. ჩვენ ვაიძულებთ ხალხს დაიჯეროს, რომ ვცხოვრობთ რაღაც საშინელის, გარშემო ყველაფრის აფეთქების ზღვარზე. იმათ კი, ვინც მიჩვეულია ყოველდღიურ მწვავე მოვლენებს, შეუძლია იფიქროს და გამოიგონოს კიდეც ასეთი მოვლენები. ბრბოს ყოველთვის ამბოხებები და თვითმარქვიები ეშმანება.

ყველაზე საშინელი ის არის, რომ ჩვენში ამ ბოლო დროს თითქმის სრულიად არ ჩანან ადამიანები, რომლებსაც ან ეჭვი ეპარებოდეთ რაიმეში, ან იტანჯებოდნენ ფიქრითა და აზროვნებით, — ყველას შესახებ ყველაფერი კარგა ხანია ცნობილია. და ეს ხდება ყოველდღიურად.

მე იმდენად ეს ტალღა კი არ მაშინებს, რამდენადაც მის მიმართ მცირედი წინააღმდეგობის არარსებობა. დიდი ხანია უკვე აღარ ვოცნებობ ჩვენს მშობლიურ არისტოკრატებსა და ჰაეროვან პრინცესებზე, მაგრამ სად არიან უბრალოდ მოწესრიგებული, ზრდილი ადამიანები? ნუთუ გაუნათლებელ ბრიყვთა ძალადობამ ფერფლად აქცია ჩვენი საუნივერსიტეტო განათლება, ბრძნული ხალხური ტრადიციები, მშობელთა გაკვეთილები და ჭკვიანურ წიგნთა სიტყვები?

არ ვიცი, ჩემთვის ამაზე ფიქრი მტკივნეულია.

მაგრამ ერთი რამე მწამს: დღევანდელ კალმოსანთა და მოსაუბრეთა ვალი იმ ადამიანთა სოციალური რეაბილიტაციაა, რომელთათვისაც დაინგრა ძველი სულიერი საწყისები. ჩვენს ტრაგიკულ დროში ადამიანები ბავშვებივით არიან — მათ მხოლოდ სიმართლე უნდა უთხრა, მაგრამ არ უნდა დააშინო — თუ მათ შეაშინებ, ისინი შეშინდებიან, უკან დაბრუნება მოუნდებათ, რისკენაც მოგვიწოდებენ კიდეც წითლად შეფერილი და სინამდვილეში ხაკისფერი ჭირის აპოლოგეტები.

საზოგადოების დეპოლიტაცია იმ ინფორმაციული წნეხის განადგურებით იწყება, რომელიც ცდილობს ყოველ ადამიანს ტვინში ჩაუჭედოს შემდეგი: იყოს კარგი, მაგრამ ერთი და იგივე. ადამიანისთვის მთავარი მისი პირადი ცხოვრება უნდა გახდეს და არა არჩევნები და მიტინგები, ანდა ის საკითხი, დარჩება თუ არა გენერალი კახა თარგამაძე შინაგან საქმეთა მინისტრად ირინა სარიშვილთან დაპირისპირების შემდეგ და როგორ ატკინეს ფეხი იმ „საზიზღარმა“ „ომონელებმა“ მანანა არჩვაძეს.

ასე ვაგრძელებთ ცხოვრებას და ვუკვირდებით, რას წარმოადგენს ჩვენთვის ნაბოძები ერთადერთი სიცოცხლე — როგორ ვაწყობთ ჩვენს ცხოვრებას.

შეიძლება ააწყო შურსა და სიზარმაცეზე: ითვალო, რამდენი მანქანა აქვს მეზობელს, იყვირო, რომ სოფელში გამოჩენილი ფერმერი კულაკი და ექსპლუატატორია, რომ ამ სახლში შენს გარდა ვერავინ ვერაფერს მოინდომებს და ვერც გაბედავს.

არის კიდევ ერთი ვარიანტი: არავისი და არაფრის არ გჯეროდეს, გარდა ყურმოკრული ამბებისა. ყველას, ვისაც ამა თუ იმ საქმისა რაიმე გაეგება, განათლებულია და ცდილობს საქმის კეთებას, ამრეზით „საქმიანი“ და „ჭკუისკოლოფი“ უწოდო.

უამრავი ვარიანტია იმისა, რომ ცხოვრობდე და ვერ ხედავდე რა ღუპავს ამ შენს ერთადერთ სიცოცხლეს; რა არ გაძლევს საშუალებას, როგორმე გამოგლიჯო საკუთარი თავი ამ მომაბეზრებელ სიდუხჭირეს; რა გიმახინჯებს სულს; რა გირღვევს სიმშვიდესა და გართმევს სიამაყეს; რა წყვეტს კავშირს ადამიანთა შორის და თვით ახლო ნათესავებსაც კი ურთიერთდაპირისპირებულ მტრულ ბანაკებში ახვედრებს.

როგორიცაა ჩვენი ცხოვრების წესი, ისეთია ჩვენი ხედვაც.

და მაინც — ვხედავთ არა მარტო ფურთხით მოსვრილ სადარბაზოებსა და პირისაგან მიწისა აღგვილ გაზონებს, არამედ ვიღაცის ხელით დარგულ და შენარჩუნებულ მაღალ, ლამაზ ხეებსაც. ყვავილების სურნელიც შეერევა ხოლმე ჩვენს გაძვირებულ ბაზრებში კამისა და მჟავეულობის სუნს.

და რაც მთავარია:

— მოთხოვნილება ყვავილებზე წლის არც ერთ დროს არ კლებულობს;

— მოხუცებიც ასწრებენ ზაფხულის განმავლობაში ძვლების გათბობას, ბავშვები კი — გაზრდას;

— კვლავ გვკუმშება გული აყვავებული ბაღჩის შემხედვარეს, თვალს ვერ წყვეტ კოპწია სახლს და უნებლიედ გაგიელვებს:

ხომ უნდა მოვიდეს ოდესმე ისეთი ცხოვრება, რომელსაც ჩვენ ასე ენატრობთ.

როცა „იქაურ“ ცხოვრებაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, ხალხი გულღია და ღიმილიანია. „იქ“, ალბათ, არ ურტყამენ ქალებს ქუჩაში, არ სცემენ ბავშვებს, არ შეურაცხყოფენ საფლავებს, არ მიმართავენ ერთმანეთს უწმაწური სიტყვებით. „იქ“ კარგად მკურნალობენ, ასწავლიან, აშენებენ, კერავენ...

და „იქაც“ არის, ალბათ, დარდი — ადამიანები ავადმყოფობენ და იღუპებიან. მაგრამ იღუპებიან მოხუცებულობისა და უკურნებელი სენისაგან და არა დანით მიყენებული ჭრილობების ან ტყვიისაგან.

იქნება კი ოდესმე ჩვენთან ეს კარგი ცხოვრება? ჩვენ ხომ ამდენი წელია იმედით ვსულდგმულობთ და ასე ძლიერ გვწადია!

თუმცა, ნუ ვიქნებით სხვისი ხელის შემყურე — დაწყება დაუყოვნებლივაა საჭირო.

დავაკვირდეთ, რა ხდება ჩვენს საკუთარ სახლში — არა იმ გაგებით, ვინ რომელ პარტიას გულშემატკივრობს, ანდა როგორია ძალთა განლაგება საოჯახო პოლიტიკურ ასპარეზზე, არამედ სრულიად ჩვეულებრივად: რამდენად მნიშვნელოვანი ვართ ჩვენ ერთმანეთისთვის, ვგრძნობთ თუ არა ურთიერთსიყვარულს და როგორ გამოვხატავთ ამ გრძნობას.

ღვთის გულისათვის, უმალ ნუ აღგაშფოთებთ ასეთი შემოთავაზება.

მოდით, მაინც ვცადოთ და დავფიქრდეთ: დღევანდელ გაუსაძლის ცხოვრებაზე ლაპარაკის გარდა, რას მოითხოვს ხვალინდელი დღე ჩვენგან?

სამარცხვინოა, როცა ადამიანები შეხვედრისას არა საკუთარ თავზე, არამედ ტელე და საგაზეთო ჭუჭყის თაობაზე საუბრობენ.

დაუტოვეთ ხალხს ყვავილების თაიგული ფანჯრის რაფაზე, წყნარი საღამო ოჯახთან, სამაგიდო წიგნები, სამუშაოდან დაბრუნებულს ამოსუნთქვის საშუალება. დაე, მათ ნაკლებად იარონ არჩევნებსა და კრებებზე, დაე, ცოტა იკითხონ და მეტი იცოცხლონ.

იმისათვის, რომ ადამიანს უნდოდეს სწრაფად იხილოს მომავალი დღის დილა, მან უნდა იცოდეს, რომ საყოველთაო ნგრევის ეპოქაში სიმართლე, პატიოსნება, ვაჟკაცობა, სინდისი, სიკეთე, უანგარობა, მამულის სიყვარული ურყევ კატეგორიებად რჩება. და დარჩება კიდეც. ცხოვრება სასიხარულო უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, გამოვა დღეს რომელიმე გაზეთი თუ არა. ბოლოს და ბოლოს მაღალი ტრიბუნიდან არანაირი გამოსვლა არ არის შემოდგომის ნოტიო სკამზე და ჭრიალა ფოთოლცვენაზე ძვირფასი.

მოვრჩეთ, რა!..

მივცეთ ადამიანს მშვიდი ძილის საშუალება.

ბონდო მძინარაშვილი.

P. S. იქნებ ძალიან ემოციურად გამომივიდა? თუკი ასეა, ბოდიშს ვუხდი ჩემს კოლეგებს, მაგრამ უთქმელობაც რომ არ იქნებოდა? მოდით, დავფიქრდეთ, ყოველი სიტყვა მოზომილად მივიტანოთ მკითხველამდე და მსმენელამდე. ვფიქრობ, ბევრი ჩემი კოლეგის და მკითხველის აზრიც ასეთია. ყოველ შემთხვევაში, — ვიმედოვნებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბჯარი

განსჯა

ქართული ჯარის ბედ-იღბალი

ნებისმიერი სახელმწიფოს ძლიერება, როგორც ეს არაერთხელ დაწერილა, უწინარეს ყოვლისა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა დონეზე გაწვრთნილი, თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილი, ყოველგვარ პირობებში საბრძოლოდ მზადმყოფი მუდმივი ჯარი ჰყავს მას.

ეს უბრალო ჭეშმარიტება ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ ქართული ჯარი, მისი დაარსების დღიდანვე, როგორც იტყვიან, ღარიბი ნათესავის, გერის მდგომარეობაში აღმოჩნდა და ასეთადვე რჩება დღესაც.

სწორედ ამის გამოა, რომ ქართულ ჯარში, სამწუხაროდ, დღითი დღე მატულობს დეზერტირობა, ეკონომიკური სიდუხჭირითა თუ უდისციპლინობით გამოწვეული სხვადასხვა დანაშაული. ხშირად ეს დანაშაული დიდი გულმოდგინებით იჩქმალება კიდეც.

წვევამდელთა უმრავლესობა ან ხელმოკლეობის გამო ვერ ახერხებს ჯარში სამსახურისთვის თავის არიდებას, ან ჯარში ყოფნისას ყოველდღე ოცნებობს სავალდებულო დროის მშვიდობიანად დასრულებაზე.

ყოველივე ეს კი ინფექციურ დაავადებასავით იმათაც გადაედებათ ხოლმე, რომელთაც მოსწონთ და უყვართ სამხედრო სამსახური (ასეთებიც ხომ არიან) ან სამშობლოს წინაშე ვალის მოხდის კეთილსინდისიერი გრძნობა ამოძრავებთ.

რა არის ამის მიზეზი და ობიექტური საფუძველი?

ამ ხუთიოდე წლის წინათ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" (1994 წლის 21 მაისი) გამოვაქვეყნე წერილი — „რომ აშენო — უნდა იცოდე", სადაც გულისტკივილით აღვნიშნე, რომ ყოვნდებოდა ეროვნული სამხედრო კანონმდებლობის შექმნის პროცესი. დღეს ეს საკითხი თეორიულ დონეზე თითქოს მოგვარებულია. შეიქმნა კანონი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ", რომელშიც ვკითხულობთ: „სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო, რომელიც სამხედრო მოსამსახურეს უზრუნველყოფს ცხოვრების შესაფერისი პირობებით, სამხედრო სამსახურის განსაკუთრებული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით" (მუხლი 4, პუნქტი 1).

ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. კანონით დადგენილი და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული, სამხედრო მოსამსახურეებისთვის მინიჭებული სოციალური და სამართლებრივი დაცვის უფლებები ფარატინა ქაღალდად იქცა.

ჩვენმა სახელმწიფომ სინამდვილეში, ფაქტობრივად, უარი თქვა ქართული ჯარის მფარველობაზე. ამ აზრის დასადასტურებლად მოვიტანთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამხედრო საბიუჯეტო-სახაზინო სამმართველოს უფროსის, პოლკოვნიკ ავთანდილ დავითაძის განცხადებას:

მშენებარე ქართული არმიის მინიმალურად დაფინანსებისათვის 1999 წლის ბიუჯეტის პროექტით 350 მლნ. ლარი ყოფილა საჭირო. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისთვის წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ნათლად იყო ნაჩვენები, რომ ეს თანხა უნდა მოხმარებოდა არმიის უზრუნველყოფას შეიარაღებით, ტექნიკით და სხვა სახის აღჭურვილობით. ფინანსთა სამინისტროს ეს თანხა 65 მლნ. ლარამდე შეუმცირებია! როგორც სამხედროები ფიქრობენ, ეს ოდნავადაც ვერ პასუხობს თავდაცვის სამინისტროში დაგეგმილი სამხედრო პროგრამების დაფინანსებას. თურმე, მთავრობის მიერ ქართული ჯარისთვის გამოყოფილი თანხა შესაძლოა გაწვდეს მხოლოდ ჯარის სანახევროდ გამოკვებას, ტანსაცმელსა და კომუნალური ხარჯების გასტუმრებას.

ორჯერადი კორექტირების შემდეგ, ჩვენი ბიუჯეტი 50 მლნ ლარამდე დაქვეითებულა! თუ ამას დავუმატებთ სამხედრო სისტემაში უკვე საყოველთაოდ გავრცელებული კორუფციის სენს, სამხედრო მოხელეთა და უწყებათა მხრივ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხების უყაირათოდ ხარჯვას და ფლანგვას, თვალწინ წარმოგვიდგება ქართული არმიის „მშენებლობის" ნათელი სურათი.

ასე რომ, ქართული არმიის დღევანდელობა მეტად სავალალოა!

საქართველოში დღეს ერთიორად მეტი პოლიციელია, ვიდრე ქართული ჯარის მოსამსახურე. პოლიციელს ბევრად მეტი შემოსავალი და შეღავათიც აქვს, ვიდრე სამხედრო პირს. საწყენად ნურავის დარჩება და ვიტყვი, რომ ყველა ქვეყანაში სამხედრო ოფიცრებს უდიდეს პატივს სცემდნენ. ძველ რუსეთშიც კი, მაგალითად, სამხედრო ოფიცერი პოლიციელს თავს არ გაუყადრებდა. ამით იმის თქმა როდი მინდა, რომ ქვეყანაში პოლიციელი არ უნდა იყოს, მაგრამ, იქნებ, იმაზეც ვიფიქროთ, რომ პოლიციის რაოდენობის შემცირებით ქართული ჯარის ჭირ-ვარამიც გამოსწორდება.

მიუხედავად ათასნაირი გაჭირვებისა, ქართულ ჯარს არც ბრძოლისუნარიანობა აკლია, არც სამშობლოს უშიშროებისა და მთლიანობისათვის თავგამოდება. ეს თვალნათლივ დაადასტურა აკაკი ელიავას ავანტიურისტული ჯგუფების განიარაღების ოპერაციამ, რაც ქართული ჯარის მცირერიცხოვანმა შენაერთმა ელვის სისწრაფით განახორციელა ჩვენი თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ხელმძღვანელობით.

ამჟამად აშკარად დგას ქართული არმიის ყოფნა-არყოფნის საკითხი. გვესმის, რომ საქართველოს ეკონომიკურად, ფინანსურად უჭირს, მაგრამ ეს სიდუხჭირე ყველაზე ნაკლებად არმიას უნდა შეეხოს.

სამშობლოსთვის თავდადებას ვერ მოსთხოვ მშიერ ჯარისკაცს, სამხედრო მოსამსახურეს, რომელიც 5-6 თვე უხელფასოდ, მხოლოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით იღწვის ქართული არმიის რიგებში. ბუნებრივია, სამხედროთა დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში შეეცდება თავი დააღწიოს ჯარს და საქმიანობის ის სფერო გამოძებნოს, სადაც საარსებო მინიმუმით იქნება უზრუნველყოფილი.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო ჯარის მიმართ არასწორი ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკით ხელოვნურად ცდილობს არმიიდან განთესოს მისი ჯანსაღი პროფესიული კადრები.

ეს კი, ნებით თუ უნებლიეთ ჩვენი მტრების წისქვილზე ასხამს წყალს, მათ წისქვილზე, ვინც ქართული არმიის დაშლას ნატრობს.

ჩვენ ადრეც ვწერდით, რომ არმიაში არსებულ სიძნელეთა დაძლევის ერთ-ერთი საშუალებაა შეიარაღებულ ძალთა დაკომპლექტების პრინციპის შეცვლა.

ახალი ველოსიპედის გამოგონება სულაც არ არის საჭირო. მისაბაძად შეიძლება გამოგვადგეს ევროპის პატარა ქვეყნების გამოცდილება, რომლებშიც შეიარაღებულ ძალთა დაკომპლექტების შერეული პრინციპი მოქმედებს.

საქართველოში, საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურის გარდა, უნდა დამკვიდრდეს მოხალისეთა დაქირავების პრაქტიკაც. უნდა განისაზღვროს დაქირავებული სამხედრო სამსახურის ვადები, კონტრაქტის პირობები, მატერიალური შეღავათები, პროფესიული მომზადების მომენტები და სხვა.

დაქირავებული სამხედრო სამსახურის შემოღება, მატერიალური დაინტერესების ფაქტორი წაადგებოდა საქართველოს ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას. ამით ნაწილობრივ გადაიჭრებოდა მოსახლეობის დასაქმების პრობლემა, გაუმჯობესდებოდა კრიმინოგენური ვითარება. უმუშევართა დიდ არმიას თავის რჩენის რეალურ წყაროდ მოევლინებოდა დაქირავებული სამხედრო სამსახური, მაღალი მატერიალური ანაზღაურება არმიაში მიიზიდავდა ჯანსაღ, მშრომელ, პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდობას.

საქართველოში მცხოვრებ მამაკაცთა ნაწილს, რომელიც რაიმე მიზეზით თავს აარიდებს სამხედრო სამსახურს, დაეკისროს სამხედრო კანონმდებლობით გათვალისწინებული განსაზღვრული სოლიდური თანხის გადახდა (ისე, როგორც ეს, მაგალითად, საბერძნეთშია). ეს შეავსებდა დაცარიელებულ ხაზინას, წაადგებოდა ეროვნული არმიის მატერიალურ უზრუნველყოფას.

მაღალი პროფესიონალებით დაკომპლექტებული არმია იქნებოდა ის ძალა, რომელიც რეალურად დაიცავდა საკუთარი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, საზღვრებს, ერის უსაფრთხოებასა და ღირსებას.

მოგვაქციეთ ყურადღება: საქმე ეხება ქართული ჯარის ბედ-იღბალს!

ზურაბ სარალიძე,
სამხედრო აკადემიის იურისტი.

დეტალი

ამაყად ვიდექი იმ ტრიბუნასთან

მშვიდი, შემოდგომის ფერებით სავსე დღე იდგა. შინაგანი ჯარების პირველ ბრიგადაში ზეიმისთვის ემზადებოდნენ.

აქა-იქ, კოპწიად გამართულ სკვერებში ჩადგმულ სკამძელებზე ჯარისკაცები ისვენებდნენ. ბრიგადის კარ-მიდამო ისე იყო მორთული, ჯარისკაცური სამხრეები რომ არა, თავი სადმე, ცნობილი სანატორიუმის ეზოში გეგონებოდა კაცს.

ჟურნალისტის მახვილი თვალი მაინც მაიძულებს შევნიშნო რაიმე „ისეთი", რომელსაც სხვა ვერ ხედავს.

აი, თითქოს, ვიპოვე კიდეც... თუმცა, ვხედავ, ეს „ნაპოვნი" ვერაფერიშვილია, სათქმელად არცა ღირს...

კულტურის შესანიშნავი სასახლის წინ ვდგავარ. ჩემს წინ ეზოს შიდა ქუჩა გართხმულა და მასზე თვალგასახარი ყმაწვილი მოაბიჯებს. ლამაზად ტანსმორგებული რიგითის მხედრული ფორმა აცვია. აი, ვის უნდა გავესაუბრო! — ვფიქრობ და ველოდები, სანამ მომიახლოვდება.

ყმაწვილი შეყოვნდა, მერე მარჯვნივ გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ახლა უკვე მეც შევამჩნიე ქუჩის განაპირას დაგდებული რაღაც ყვითელი ქაღალდი... ბიჭმა ქაღალდი აიღო, ახალგადაბარულ გაზონებში მოისროლა და გზა განაგრძო.

„ყოჩაღ!" — გავიფიქრე მე.

თუმცა... გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, ყმაწვილი ისევ შებრუნდა, გაზონში გადავიდა, ხის ტოტით პატარა ორმო ამოთხარა, ის ყვითელი „საგანი" შიგ ჩააგდო და მიწა მიაყარა.

...თითქოსდა არაფერი ამბავია, მავანს შესაძლოა სასაცილოდაც არ ეყოს, მაგრამ...

მე გულწრფელად გამახარა.

არც გავესაუბრებივარ იმ ყმაწვილს. არ გამომიკითხავს გვარი და სახელი, არც მშობლების ვინაობა, არც მეთაურებისთვის მითქვამს რაიმე, რადგანაც მომინდა, ყოველი მისი თანატოლი შემედარებინა მისთვის.

მეორე დღეს მწყობრი ნაბიჯებით ჩაიარეს ვაჟკაცებმა ტრიბუნის წინ, დაღუპულთა დიდების მემორიალთან მოწიწებით პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას...

მხედრულ სიმღერას აგუგუნებდნენ მამულის ჯარისკაცები, მათ შორის იყო ჩემი ნაცნობი. იმ წუთებში ყველა მას ჰგავდა, ის ყველას ჰგავდა!

ამიტომაც, მეც ამაყად ვიდექი იმ ტრიბუნასთან.

ზაურ ფიფია,
შინაგანი ჯარების გაზეთ „ფარის" რედაქტორი.

პოლიგონი

სამეთაურო სწავლება



ამ რამდენიმე დღის წინათ რუსთავის საწვრთნელ პოლიგონზე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შენაერთებისა და ცალკეული სამხედრო ნაწილების სამეთაურო სწავლება გაიმართა.

სურათებზე: სამეთაურო სწავლების ფრაგმენტები.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

გვწერენ

დედის ცრემლის სათავე

დღეს ქართველი დედები „ვეფხვებთან მეომარ" შვილებს რომ აღარ ზრდიან, ამას სამხედრო კომისარიატების ძალისხმევით მაცივრებიდან და კარადებიდან წვევამდელთა გამოყვანის ფაქტებიც ადასტურებს. ოჯახსა და სკოლაში მომავალი ჯარისკაცის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა რომ ჯანსაღი, ბრძოლისუნარიანი ეროვნული ჯარის შექმნის საწინდარია, ოპოზიციური გაზეთებისაგან განსხვავებით „აბჯრის" ფურცლებიდან არაერთხელ გვითქვამს. რა თქმა უნდა, მშობლების, საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე სახელმწიფოს გაუჭირდება თავდაცვის მტკიცე კედლის შენება, მაგრამ დედის ცრემლის წყაროს სათავეს თუ მივადგებით, თავგამოდებულმა პროპაგანდისტებმა შეიძლება ფარ-ხმალიც კი დავყაროთ.

აი, რას გვწერს ნანა ქადაგიძე — „ერთი ბიჭი სიმწრით გავზარდეთ. მე და ჩემს მეუღლეს სხვაზე ნაკლები არც განათლება გვქონდა და არც ოჯახი. პატიოსანი შრომით კი იმას მივაღწიეთ, რომ ბიჭი (რომელიც ექიმობაზე ოცნებობდა) რეპეტიტორებთან ვერ მოვამზადეთ. აქეთ გვამხნევებდა, კაცი ვარ, ჯერ მხედრულ ვალს მოვიხდი, დავბრუნდები, ვიმუშავებ, მოვემზადები და მიზანს მაინც მივაღწევო. ვაი, რომ მიზნის მისაღწევად მარტო სურვილი არ ყოფილა საკმარისი. სამხედრო სამსახურში ისე დაავადდა, რომ შრომა და სწავლა კი არა, სიცოცხლეც აღარ უნდა. ცოლ-ქმარი რასაც ვშოულობთ, ის ერთადერთი შვილის ჯანმრთელობის აღსადგენადაც კი არ გვყოფნის. შური უცხო გრძნობაა ჩემთვის, მაგრამ გული მტკივა, ჩემი შვილის თანატოლებს რომ ვუყურებ, წიგნი ხელში არასოდეს აუღიათ, ერთი დღეც არ უმსახურიათ ჯარში და ჯანმრთელები, ბედნიერები საზღვარგარეთ სწავლობენ. ვნანობთ, არ უნდა გაგვეშვა ჯარში, მაშინ, ალბათ, სხვანაირად დატრიალდებოდა მისი ბედის ბორბალი, მაგრამ „გვიანღაა თითზე კბენანი"...

— რატომ უნდა გავუშვა შვილები ჯარში? — გვეკითხება თამარ გონგაძე. — წინათ მშობლები ბავშვებს თუ გვატყუებდნენ მაღაზიაში გიყიდეთო, შვილი მე მართლა ნაყიდი მყავს. ქორწინების რეგისტრაციიდან, ფეხმძიმობიდან და მშობიარობიდან მოყოლებული საბავშვო ბაღსა და სკოლის მერხამდე იმდენი ფული დავახარჯე, ჩემი და ჩემი ქმრის მშობლების ერთობლივი თანადგომა რომ არა (ორივე დედისერთები ვართ), ალბათ, თვითმკვლელობამდე მივიდოდით. ჩვენ თუ არავინ გვიცავს, ჩვენი სახელმწიფოსაგან „ნაყიდი" შვილები სხვათა დასაცავად რატომ გავიმეტოთ? რასაც წამისვამ ხელზეო, იმას წაგისვამ წვერზეო, — ბრძენკაცის ნათქვამია. მაშ, რა მოქალაქეობრივ ვალზე, რა პატრიოტიზმზეა ლაპარაკი?!

— ჩემი შვილი დეზერტირი არ იყო, — გულისტკივილით ამბობს ელენე საბაური, — თავისი სურვილით წავიდა ჯარში, მაგრამ იმდენი უზნეობის ატანა უხდებოდა, რომ ველარ გაუძლო და გაიქცა, საქართველოდან სულ გადაიხვეწა. მე შვილი დავკარგე, ეროვნულმა არმიამ კი ერთი ჯანსაღი, გონიერი, ერთგული ჯარისკაცი.

აქ ნუგეშის სიტყვა უძლურია. საბედნიეროდ, სარედაქციო ფოსტაში იმედიანი სტრიქონებიც მოიძებნება. თავად ჯარისკაცები გვწერენ ახალციხეში, საჩხერეში, დედოფლისწყაროში, ალექსეევკაში დისლოცირებული სამხედრო ნაწილებიდან.

აი, ერთ-ერთი მათგანის — დათო გვარამიას წერილიც: „ჩვენთან ერთნი ხალისით მოდიან, მეორენი — შიშით. საბოლოოდ ყველა კმაყოფილია იმით, რომ სამხედრო წვრთნისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები გვაქვს. რასაკვირველია, ჩვენთანაც არიან ბუნტისთავები, მაგრამ მეთაურთა სიმკაცრე და მომთხოვნელობა მათ ისეთ მარწუხებში აქცევს, რომ ველარ ახერხებენ სამხედრო ნაწილის ავტორიტეტის შელახვას. ბევრ ურწმუნო თომას ეროვნული არმიის გაძლიერებისა არ სჯერა, მაგრამ მე და ჩემი მეგობრები დარწმუნებულები ვართ, რაც მეტი განათლებული, ჯანსაღი, ზნეკეთილი ახალგაზრდა მოვა ჯარში, მით უფრო პრესტიჟული და საამაყო გახდება ჯარისკაცობა".

ასე ფიქრობს ბევრი ახალგაზრდა, მაგრამ ხშირად მათ ფიქრს უპირისპირდება დედის ცრემლი, რომლის სათავეს ამოფხვრა სჭირდება.

ლეილა კოშკაძე.

ერთი ტერმინის გამო

საკითხი ეხება სამხედრო საქმეში საკმაოდ გავრცელებული ისეთი ტერმინის ქართულ თარგმანს, როგორიცაა „Противопехотная мина". წლების მანძილზე ამ ტერმინს თარგმნიდნენ როგორც „ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი" (იხ. „სრ", 6 ოქტომბერი, 1998. გვ. 4). ზოგჯერ ეს რუსული გამოთქმა იბეჭდება უკვე შეცვლილი სახით — „ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმი".

ჩემი აზრით, არ არის სასურველი ტერმინების ასეთი აღრევა. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ „ქვეითსაწინააღმდეგო" საკმაოდ არაბუნებრივი კომპოზიტია და არ შეეფარდება ქართული ენის ბუნებას. რაც მთავარია, ის შინაარსობრივადაც არ პასუხობს რუსულ სიტყვას „Противопехотни"-ს. საქმე ის არის, რომ რუსულად „Пехота" სწორედ „ქვეითი ჯარია", მიუხედავად იმისა, რომ აქ სიტყვა ჯარი (Войска) არ ფიგურირებს. ამიტომ „ქვეითსაწინააღმდეგოს" აზრი ეკარგება იმის გამო, რომ ამ შემთხვევაში ჯარზე აქცენტი არ კეთდება. მაშინ, როცა ეს ნაღმი სწორედ ქვეითად მებრძოლი ჯარისკაცებისთვის არის გამიზნული. ს. ოჟეგოვის წიგნში „Словарь русского языка"_ пехота ასეა განმარტებული: „род войск, действующих в пешом строю," ხოლო რუსულ-ქართულ ლექსიკონში ეს ტერმინი უფრო ნათლადაა გაშუქებული „пехота", — ქვეითი ჯარი".

სწორად მოიქცა რედაქცია, როდესაც არასწორი ტერმინოლოგიური გამოთქმა „ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი" შეცვალა ორთოგრაფიულად მართებული ფორმით „ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმით". მაგრამ... 1987 წელს გამოქვეყნდა ორენოვანი (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) „სამხედრო ტერმინოლოგია", რომლის შემდგენელია გენერალ-მაიორი ივანე შაიშმელაშვილი, ხოლო რედაქტორი ქართული ლექსიკოგრაფიის ღვაწლმოსილი სპეციალისტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი როგნედა ლამბაშიძე. ამ გამოცემის მიხედვით ყველაზე სწორია „ქვეითი ჯარის საწინაღო (და არა საწინააღმდეგო) ნაღმი".

უპრიანი იქნება, თუ ამიერიდან ასე მოვიშველიებთ ამ ტერმინს.

გიორგი ძველაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი,
ღირსების ორდენის კავალერი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

რუს მესაზღვრეებს საქართველო არ ეთმობათ

ამ ბოლო ხანებში თბილისსა და ბათუმს შორის დაპირისპირების მორიგი ტალღა აგორდა. ამჯერად ამის მიზეზად იქცა აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსი ვალერი ჩხეიძე აჭარის ტერიტორიაზე სადაზვერვო სამუშაოებს აწარმოებს და ამ რეგიონის ზოგიერთი მცხოვრების გადმობირებას ცდილობს.

ამ რამდენიმე დღის წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა ვალერი ჩხეიძემ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები გადაჭრით უარყო. მისი განცხადებით სადაზვერვო სამუშაოებში იგულისხმება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე აგენტურული საქმიანობა, ვინაიდან აჭარა საქართველოს ძირძველი შემადგენელი ნაწილია, შესაბამისად, ყოველგვარი სადაზვერვო საქმიანობის წარმოება იქ გამორიცხულია. რაც შეეხება აჭარის მცხოვრებთა გადმობირების ბრალდებას, ვალერი ჩხეიძის თქმით, ისევე როგორც სხვა რეგიონებში (ვთქვათ, კახეთში, სვანეთში და ა. შ), აჭარაშიც ხორციელდება სასაზღვრო რაზმების ადგილობრივი მოსახლეობით დაკომპლექტება. ხოლო თუ ვინმე ამ პროცესს გადაბირებას უწოდებს — ეს ძალზე სამწუხაროა.

ვალერი ჩხეიძე თვლის, რომ აჭარის ლიდერის ამგვარი განცხადება ამრჩევლების მიერ მისი დეზინფორმირებით არის განპირობებული, თუმცა, სასაზღვრო ძალების სარდალი იმედოვნებს და ხაზგასმით ამბობს, რომ ასლან აბაშიძე ჭკვიანი პოლიტიკოსია და ვითარებაში სწორად გარკვევას შეძლებს.

რაც შეეხება იმას, თუ სინამდვილეში რით არის დაკავებული საქართველოს სასაზღვრო დაცვის უწყება, აქ მართლაც მრავალი პრობლემა არსებობს. დავიწყოთ იქიდან, რომ 1998 წლის ბიუჯეტში საზღვრის დაცვისთვის 13 მილიონი ლარი იყო გამოყოფილი, წლევანდელ ბიუჯეტში კი მხოლოდ 11 მილიონი ლარია გათვალისწინებული. თანაც, ეს მაშინ ხდება, როცა შარშანდელისგან განსხვავებით საქართველომ დაიწყო საზღვაო აკვატორიის დამოუკიდებლად გაკონტროლება, ჩაიბარა საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის ახალციხის მონაკვეთი. სასაზღვრო დეპარტამენტის წინაშე დასმული ამოცანა საკმაოდ გაიზარდა, ხოლო დაფინანსება შემცირდა. არადა, ამ უწყების ხელმძღვანელობას უფრო შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა. მაგალითად, უახლოეს ხანებში ნავარაუდევი იყო კინოლოგიური სკოლის და სასაზღვრო-საზღვაო სასწავლებლის დაარსება. გარდა ამისა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ წლის ბოლომდე მთლიანად უნდა დამთავრდეს საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სასაზღვრო ჯარების გაყვანა. შესაბამისად, ნავარაუდევი იყო ჩვენი მესაზღვრეთა პირადი შემადგენლობის გაზრდა 6500 კაცამდე. მაგრამ თუ ფინანსთა სამინისტრო საჭირო თანხებს ბიუჯეტში არ გაითვალისწინებს (მესაზღვრეებს ამის იმედი ჯერ კიდევ აქვთ), მაშინ საკუთარი ძალებით საზღვრის გაკონტროლება მხოლოდ ოცნებად დარჩება. ასეთ შემთხვევაში სასაზღვრო დეპარტამენტი იძულებული გახდება ამოირჩიოს პრიორიტეტები და მხოლოდ გარკვეული მიმართულებებით დაიცვას სახელმწიფო საზღვარი. ასეთ პრიორიტეტად კი, უპირველეს ყოვლისა, საზღვაო აკვატორიის სრულფასოვან დაცვას და სასაზღვრო ავიაციის შექმნას ასახელებენ. რაც შეეხება სახელმწიფო საზღვარს, რუსების გასვლის შემდეგ ადვილი შესაძლებელია, რომ ვრცელი ტერიტორია „მოშიშვლებული" დაგვრჩეს. სამაგიეროდ, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის აჭარის მონაკვეთი კვლავ მაგრად გვექნება ჩარაზული, რადგან ამას წინათ რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის უფროსმა კონსტანტინ ტოცკიმ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც აჭარიდან და აფხაზეთიდან რუსეთის მესაზღვრეების გაყვანა შეიძლება გარკვეული მიზეზების გამო შეფერხდეს. „გარკვეულ მიზეზებში" კი რუსმა გენერალმა ის იგულისხმა, რომ საქართველოს ამ რეგიონის ხელმძღვანელობა სასტიკად ეწინააღმდეგება მათ გასვლას. მკითხველს შევახსენებთ, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად წლის ბოლომდე (ყველაზე ბოლო ვადა) რუსეთის სასაზღვრო ჯარებმა საქართველოს ტერიტორია მთლიანად უნდა დატოვონ. საქართველოს სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელი ასეც გვპირდება, რომ აფხაზეთიდან და აჭარიდან რუსების გასვლის პროცესი აგვისტოსთვის დასრულდება. იმედია, ასეც იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსეთი ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას დაარღვევს, ამით კი ოფიციალურად იმას აღიარებს, რასაც არაოფიციალურად აკეთებს.

ბექა ჟედია.

თანამშრომლობა

გვეწვევიან ამერიკელი სპეციალისტები

საქართველოს მეგობარი ქვეყნების ლიდერი — ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს ჩვენს მედითად დახმარებას. როგორც საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან ამ დღეებში გვაცნობეს, საზღვაო ნავსადგურების უსაფრთხოების დარგში ამერიკის საზღვაო საზღვრის დაცვის წამყვანი სპეციალისტები 21 თებერვალს საქართველოს ეწვევიან. ისინი გამოცდილებას გაუზიარებენ ქართველ მესაზღვრეებს, ჩაატარებენ საგანგებო სემინარს პორტების უსაფრთხოების საკითხებზე.

ამერიკელი სპეციალისტები ფოთში გაემგზავრებიან და ქართველ კოლეგებთან ერთად ადგილზე განიხილავენ საქართველოს საზღვაო საზღვრის დაცვის უსაფრთხოების პრობლემებს.

აფხაზეთი — ტკივილი ჩვენი

მარად ჭაბუკი

წლეულს, 3 იანვარს ტრისტან სოფრომაძეს 26 წელი შეუსრულდებოდა... მისი ხანმოკლე სიცოცხლე აფხაზეთის ომმა შეიწირა. კიდევ ერთი, სამშობლოზე, ოჯახზე, მეგობრებზე შეყვარებული ჭაბუკის სული ვერაგულად ჩაკლეს საქართველოს მტრებმა.

მას შემდეგ 6 წელიწადი გავიდა, მაგრამ ტრისტანისა და ასობით სხვა ომში დაღუპული ახალგაზრდის ხსოვნის და პატივისცემის გრძნობა არ გამქრალა.

ტრისტან სოფრომაძის ნათელ ხსოვნასთან დაკავშირებული ყველა თარიღი განსაკუთრებული ნაღველითა და სევდით ავსებს მის მშობლებს, მეგობრებს, ახლობლებს. ისინი „ტიტოს" დაბადების დღეს, ყოველთვის მის საფლავზე აღნიშნავენ. მან ხომ გმირის საპატიო სახელით მოიპოვა სამუდამო განსასვენებელი და უკვდავება დაიმკვიდრა...

საშეფო მუშაობა

არმია და ქართული კულტურა განუყოფელია

კულტურის სამინისტროს სამხედრო-საშეფო კომისიის (თავმჯდომარე — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრი სვეტლანა ქვება, პასუხისმგებელი მდივანი — მრჩეველი დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და პატრიოტული აღზრდის საკითხებში, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი მალვა დოლიძე) საშეფო მუშაობის გეგმა მრავალმხრივია — კულტმასობრივი ღონისძიებები შენაერთებისა და ცალკეული ნაწილების პირადი შემადგენლობისთვის, წვევამდელ ახალგაზრდებთან მუშაობა, ომის მონაწილეებისთვის მეთოდური და პრაქტიკული დახმარება, უშუალო კავშირი არმიის კლუბებთან, ბიბლიოთეკებთან, თვითშემოქმედებით კოლექტივებთან.

ხელშესახებ შედეგებზე დღეს უკვე შეიძლება საუბარი. ჯარისკაცებისთვის 280-ზე მეტი კონცერტი და სპექტაკლი გაიმართა. სამხედროები ხშირად სტუმრობენ თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორის, თელავის, ახალციხის და სხვა ქალაქების დიდ საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებს. მხარში დაგვიდგა თბილისის ცირკი. საშეფო ღონისძიებებს დაესწრო 15 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე.

სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ გაერთიანებულ სამხედრო აკადემიას პიანინო აჩუქა. ასეთივე ნობათი მიიღო კადეტთა კორპუსმაც. აკადემიის კლუბს სცენის ფარდები გადასცა მოზარდ მაყურებელთა ქართულმა დასმა, სასულე ორკესტრის ინსტრუმენტები — მესამე სამუსიკო სასწავლებელმა. ბიბლიოთეკებისაგან სამხედრო ნაწილებმა და ცენტრალურმა ჰოსპიტალმა 5 ათასზე მეტი წიგნი მიიღეს.

გულწრფელი მადლობა იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც შარშან აქტიური მონაწილეობა მიიღეს საშეფო კონცერტებში: სახელმწიფო ფილარმონიას (მერაბ ლონაძე), ხალხური სიმღერისა და ცეკვის აკადემიურ ანსამბლს (ჯემალ ჭკუასელი), პანტომიმის სახელმწიფო თეატრს (ამირან შალიკაშვილი), ანსამბლ „მეტეხს" (გელოდი ფოცხიშვილი), კონსერვატორიას (ნოდარ გაბუნია), თბილისის საესტრადო-საცირკო სასწავლებელს (გივი სერგია), თანამედროვე ხელოვნების კოლეჯს (მზია აფრიდონიძე), თბილისის მეორე სამუსიკო სასწავლებელს (თამაზ გადილია).

სამხედრო მოსამსახურეებს ფართოდ გაუღეს კარი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა (ზურაბ ლომიძე), მარჯანიშვილის თეატრმა (გაიოზ კანდელაკი), რუსთაველის თეატრმა (გია თევზაძე), მუსკომედიის თეატრმა (ნესტორ ჭილაძე), ახმეტელის სახელობის და მინიატურების სახელმწიფო თეატრებმა, ცირკმა, ბათუმისა და ქუთაისის თეატრებმა. ჯარისკაცებს ხშირად იწვევენ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, ეროვნული სურათების გალერეაში, ქართული ლიტერატურის მუზეუმში, ფალიაშვილის სახლ-მუზეუმში. ტრადიციად იქცა მეხვედრები კომპოზიტორებთან, მსახიობებთან, რეჟისორებთან, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა ხელოვნების მუშაკებთან.

ნაყოფიერი საშეფო-სამხედრო მუშაობისათვის 50-ზე მეტი აქტივისტი დაჯილდოვდა თავდაცვის სამინისტროს საპატიო სიგელით. მათ შორის გამორჩეულია მალვა დოლიძე, რომელსაც საშეფო-სამხედრო მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. საქართველოს პრეზიდენტის, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ედუარდ შევარდნაძის 1995 წლის 1 დეკემბრის ბრძანებულებამ, რომელიც არმიისადმი დახმარებას ითვალისწინებს, მეტად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო კულტურის სფეროში. გვჯერა, რომ ეს დახმარება კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან არმია და საზოგადოება, არმია და ქართული კულტურა განუყოფელია.

შაქრო კიკვაძე,
ვიცე-პოლკოვნიკი.

„აბჯარი" მოამზადეს
სპარტაკ ძოწულიამ
და ლეილა კოშკაძემ.

მთავარი თემა ვარიაციებით

ეროვნული კულტურა ბუნებრივად უნდა გვიყვარდეს

დღევანდელი ნომრის სტუმარია საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ფელიქს გლონტი.

— ზოგიერთი ქართველი კომპოზიტორი გულისტკივილით აღნიშნავს ხოლმე, მუსიკა დღესაც იქმნება, მაგრამ ძალზე იშვიათად სრულდება და ამდენად საზოგადოებრიობისათვის უცნობი რჩებაო. რა იწვევს ასეთ ვითარებას?

— კარგი ექიმი ყოველთვის ადგენს პაციენტის „ავადმყოფობის ისტორიას“, რომელიც განისაზღვრება არა დროის ვიწრო მონაკვეთით, არამედ ავადმყოფის ცხოვრების ფართო გენეზისით. ამიტომ, მეც მსგავს მეთოდს დავეყრდნობი და დავიწყებ საბჭოთა პერიოდიდან, როდესაც ინერტულობის ფენომენმა ძირგამომთხრელი როლი შეასრულა ტოტალიტარული სახელმწიფოს დაშლის პროცესში. თავის მხრივ, ამ ფენომენმა წარმოშვა უტილიტარული საბჭოთა კულტურა. კულტურის მოღვაწეთა უნიფიცირებული ჯგუფის შესანარჩუნებლად, კონკურენციის შიშით, ხშირ შემთხვევებში, არ სრულდებოდა იმ ავტორების საუკეთესო ქმნილებები, რომლებიც ამ ჯგუფში არ იყვნენ გაერთიანებულნი.

ამგვარად, შეიქმნა ცნება კონსოლიდირებულ-დესტრუქციული ძალებისა, რომლებიც ნიჭიერ ხალხს თავს ესხმოდნენ არა ხალხურობის, რეალიზმის არარსებობის მოტივით, არამედ, მათს შემოქმედებას დივერსიულ აქტად შერაცხავდნენ ხოლმე, რამაც გამანადგურებლად იმოქმედა საბჭოთა მუსიკალური კლასიკის განვითარებაზე და რის შედეგადაც, საბჭოთა მუსიკალური ხელოვნება საკმაოდ დიდი ხნით, დიდი ინტერვალით ჩამორჩა თავისუფალი სამყაროს მუსიკალური აზროვნების ევოლუციურ განვითარებას. ისეთი გიგანტებიც კი, როგორებიც შოსტაკოვიჩი და პროკოფიევი გახლდნენ, იძულებული იყვნენ, ზოგი რამ დაეთმოთ. ამის შესახებ შესანიშნავად წერდა კომპოზიტორი ალფრედ შნიტკე: „მისი (პროკოფიევის – ზ. ო.) ნაწარმოებები 1948 წლის შემდეგ, დოკუმენტურად ასახავენ გენიალური შემოქმედის ნაძალადევ განადგურებას“.

ბუნებრივ შერჩევას დაუპირისპირდა ხელოვნური შერჩევა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვისაც რა აძლევდა ხელს, ის ცხადდებოდა ჭეშმარიტებად. ამგვარად, მოხდა პიროვნების ფენომენის ნიველირება. პიროვნებები იშვიათობად იქცნენ. ისინი იშვიათად ჩნდებოდნენ ხელოვნებაში, რამაც ეს უკანასკნელი მასობრივ კულტურად აქცია. ამ მოვლენას ზედმიწევნით შეესაბამება ანდაზა „არარაისაგან არარაობა წარმოიქმნების“.

ბევრ ადმინისტრაციულ-თანამდებობრივი მართვის ინსტანციებს დაეუფლნენ საშუალო დონის, უნიჭო ადამიანები. აბა, როგორ განავითარებდნენ ისინი შემოქმედებით მიდგომასა და პროგრესულ ამაღლებას საკუთარ საქმიანობაში? გოეთე ამბობს: „პოეზიაში პიროვნებაა ყველაფერი“. ამ გამონათქვამს ხშირად ვაიგივებ ძვირფასი ლითონების სინჯთან, რადგან შავ ლითონებს სინჯი არ გააჩნიათ.

რასაკვირველია, ეს ურთულესი პერტურბაციები არ განისაზღვრება მხოლოდ სოციალური ფაქტორებით. ვფიქრობ, აქ ბიოლოგიური ფენომენიც დიდად მნიშვნელოვანია. ხშირად მახსენდება ხოლმე ადენაუერის აზრი, რომელიც მან მაშინდელ საბჭოთა ლიდერს – ხრუშჩოვს და მისი მთავრობის წარმომადგენლებს განუცხადა. მისი სიტყვების არსი ის არის, რომ სახელმწიფო შეიძლება შევადაროთ ბაღს, ხოლო მისი თავკაცი კი მებაღეს. კარგი მებაღე განურჩევლად ერთნაირად რწყავს ყველა მცენარეს. თუ ამ მისიას იგი კეთილსინდისიერად არ ასრულებს, მცენარეული კულტურა გახმება და ბაღი გაჩანაგდება. ხოლო, თუ მებაღე მხოლოდ ერთსა და იმავე ხეს რწყავს და სხვას უყურადღებოდ ტოვებს, მხოლოდ ერთი მცენარე გაიხარებს, ბაღი კი მაინც გაჩანაგდება, რადგან, ხომ არ შეიძლება, ერთ აყვავებულ მცენარეს ბაღი ეწოდოს?!

ასევე, უტილიტარული კულტურა ანადგურებს ეროვნულ კულტურას. მსგავსმა მოვლენებმა განაპირობა ყოფილი საბჭოთა კავშირის სულიერი და სოციალური კრიზისი, რომელსაც სრულად შეესაბამება დესტრუქციული ძალების ერთი ფრთიანი გამონათქვამი: „რაც უარესია, მით უკეთესია!“ („Чем хуже, тем лучше“), ხოლო რაც ხდება ამგვარი აზროვნების შედეგად, ყველას კარგად მოეხსენება.

დღევანდელ სინამდვილეში უნიფიცირებული ტოტალიტარული რეჟიმის გადმონაშთები და საბაზრო ეკონომიკის პოლიტიკა ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებია და მათი შერწყმით რეალობაც აბსურდულ ელფერს იძენს.

ამ მცირე ექსკურსის შემდეგ უფრო ადვილად გავცემ პასუხს თქვენს კითხვას. რა მოხდა ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ წლებში? როდესაც უტილიტარულმა, ვულგარულმა მატერიალიზმმა უწინარესად დააკნინა ადამიანის სულიერება და აუცილებლობად იქცა გადარჩენის ფაქტორის ამოქმედება, წარმოიშვა ჭეშმარიტი დევიზი – „კულტურა გადაარჩენს საქართველოს“. ჩნდება ძირეული, უმთავრესი კითხვა – რომელი კულტურა გადაარჩენს საქართველოს – ეროვნული თუ უცხოური? კულტურის იმპორტი თუ კულტურის ექსპორტი? თუ რა შედეგამდე მიიყვანა ქვეყნის ეკონომიკა იმპორტის პრიორიტეტმა, ნათელია – შეჩერდა და პარალიზებულია მრეწველობა, ბაზრები სავსეა საშუალო დონის, ზოგჯერ კი მავნე უცხოური საქონლით. კაცობრიობის ისტორიაში ნგრევითა და ნიჰილიზმით წარმოუდგენელია საზოგადოებრივი პროგრესის დამკვიდრება. ახალი, დამოუკიდებელი, ცივილიზებული საქართველო, ევროპული ქვეყნების ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი, უნდა ეფუძნებოდეს ამა თუ იმ საქმიანობის შემეცნებასა და შესწავლას, დაკვირვებასა და წახალისებას. განვითარებულ და ეკონომიკურად აყვავებულ ქვეყნებში მატერიალური კეთილდღეობა შეიქმნა კომპეტენტური გააზრების მეოხებით.

რას ვხედავთ ჩვენში, ქართველი შემოქმედის ირგვლივ? თუ იგი ჭეშმარიტად დიდი პოტენციისა და დიდი პოზიტიური იმიჯის პატრონია, პრაქტიკულად უცნობია ფართო საზოგადოებრიობისათვის. ფრანგმა ფილოსოფოსმა სარტრმა თქვა: „დუმილი პიროვნების გარშემო ნეიტრალურობა არ გეგონოთ, ეს პოზიციაა!“

როგორ იქნა გაგებული ჩვენში ზემოხსენებული დევიზი? ჩვენი საზოგადოებრიობა მოწმე გახლდათ მრავალი ფესტივალისა, რომლებიც დედაქალაქში გაიმართა და რომელთა პროგრამები შედგებოდა მხოლოდ ევროპული და რუსული კლასიკისაგან. შესრულებული ნაწარმოებების უმრავლესობა არათუ ცნობილი, არამედ ძალზე ახლობელიც კი იყო ჩვენი მომთხოვნი აუდიტორიისათვის. ამ ფესტივალებმა დამარწმუნა იმაში, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ცნობილი და გავლენიანი პიროვნებების, მუსიკოსების ძალმოსილება. ფესტივალების პრესტიჟულობისთვის ხომ საუკეთესო მუსიკოსები, სოლისტები იყვნენ მოწვეულნი?!

როგორ გამოიყურება ამ ფონზე ქართული მუსიკალური განვითარების პროცესი? საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი რთული ამოცანის წინაშეა – ქართველი ავტორების ქმნილებების შესასრულებლად ამ კავშირისგან ითხოვენ მატერიალურ ანაზღაურებას მაშინ, როდესაც იმპორტული კულტურის ნიმუშების აჟღერებისათვის ასეთი რამ არ ხდება. მაგრამ, მე არ მოვითხოვ გამარტივებულ – ფილანტროპულად, თავაღებით ყველაფრის შესრულებას, ვინაიდან ჩემი ღრმა რწმენა დაფუძნებულია იმ ფუნდამენტურ აუცილებლობაზე, რომელზეც აღმოცენებულია ბუნებრივი შერჩევის პროცესი.

— რაში ხედავთ გამოსავალს?

— საზოგადოებრიობას ხშირად და ფართოდ უნდა წარუდგინონ ქართული მუსიკალური კულტურის გამორჩენილი ავტორები, რომლებმაც უკვე დაიმკვიდრეს საკუთარი ადგილი არა მარტო სამშობლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ხელი უნდა შეეწყოს ახალგაზრდობას, რათა ბუნებრივი შერჩევის პროცესში საუკეთესონი გამოვლინდნენ, მაგრამ, როდესაც ასეთ მაღალ მოთხოვნებს წავუყენებთ კომპოზიტორებს, იგივე კრიტერიუმით უნდა მივუდგეთ შემსრულებლებსაც. ქართული მუსიკალური ხელოვნების ღირსეულად წარმოჩენისათვის უნდა ამოქმედდნენ ეროვნული კულტურის საუკეთესო ძალები, რადგან ცხადია, რომ მსოფლიო კლასიკის შედევრებიც კი შეიძლება დააკნინოს ცუდმა შესრულებამ.

ქართული სამემსრულებლო სკოლის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა უნდა გამოავლინონ ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმის თვისებები, იმისათვის, რათა ქართული მუსიკის მიღწევები წარმოაჩინონ მსოფლიო ასპარეზზე. მაგრამ ამას ვერავის აიძულებ, ეს ბუნებრივი მოთხოვნილება უნდა იყოს, რაც, თავისთავად, მათ ღირსებასა და პატრიოტიზმზე მიგვანიშნებს. როგორც მშობლის სიყვარულია ბუნებრივი ინსტინქტი, რეფლექსი, იგივე გრძნობა უნდა გვაკავშირებდეს ეროვნულ კულტურასთან. ნიჭიერი შემოქმედება ხალხის კუთვნილებაა და მისი უგულებელყოფა ერის ღალატის ტოლფასია.

— ვის ძალუძს ქმედითი დახმარება ამ პროცესში?

— უწინარესად, კომპოზიტორთა კავშირს, მაგრამ რასაკვირველია, არა განცალკევებით. მას, როგორც შემოქმედებით ორგანიზაციას, მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ იმ პიროვნებებმა თუ დაწესებულებებმა, ვისაც ხელეწიფება ქართველ კომპოზიტორთა თანადგომა. კავშირის გარდა, თანადგომა გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორებსაც სჭირდებათ. კნინდება კომპოზიტორის მაღალი სულიერება.

დღეს, კომუნიკაციური საშუალებების მეოხებით, ნებისმიერ მუსიკის მოყვარულს შეუძლია აუდიტორიის წინაშე წარდგომა, რაც, ვფიქრობ, აფერხებს კომპოზიტორის ურთულესი პროფესიის შესწავლის, დაუფლების ინტერესს, სურვილს ნიჭიერ ახალგაზრდებში. თუ ასე გაგრძელდა, მომავალი საუკუნის საქართველოში საკომპოზიტორო შემოქმედება სრულიად გაქრება.

ყველა, ვისაც ხელეწიფება დახმარება, გვერდით უნდა დაუდგეს ქართულ საკომპოზიტორო სკოლას და შემოქმედებას!

ესაუბრა
ზურაბ ოიკაშვილი.

ჯუმბერ თითმერია — 60



მცირე რამ მოგონება

„... შეიყვარო მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი...“
მათესაგან – 19.19

ათასცხრაას სამოცდარვა წელს ყელის ავთვისებიანი სიმსივნე დამიდგინეს. ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, მეცხრე საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ამირან მორჩილაძემ მითხრა, ჭაბუკ, მოსკოვში უნდა წაგიყვანო, ცდა ბედის მონახევრეა, იქნება გეშველოს რამეო. უხელფასო შვებულება ავიღო, გადავფრინდით, საშა და ანდრეი სტაროსტინების დახმარებით (ჩვენი კატორღელი ძმაკაცები) გერცენის ინსტიტუტში დამიწყეს მკურნალობა „ლოკუსაპარატით“ დასხივების გზით.

ჩემი დის, აწ განსვენებული როდამ ამირეჯიბის ბინაზე ვიდექი. მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო „გადადებული“ აღმოვჩნდი, მაგრამ იმავე სტაროსტინების თხოვნით მკურნალობა გამიგრძელეს.

ჩემი მეუღლე თამრიკო ჯავახიშვილი იმ დროს ახალფეხადგმული ბავშვითურთ მოსკოვს წამოსვლას აპირებდა. ეს ჯუმბერმა გაიგო, თამრიკოს დაურეკა, – მე და დოდო მოსკოვს მივემგზავრებით, ზედმეტი ბილეთი გვაქვს, ხომ არ დაგვემგზავრებიო. დატოვეს თითმერიებმა საკუთარი ექვსი თვის ბავშვი, არ ვიცი ვის ანაბარა, და ჩამოიყვანეს ჩემი ცოლ-შვილი მოსკოვში.

რა თქმა უნდა, ყველამ დიდად გავიხარეთ. როდამი სუფრის გაშლას შეუდგა. ჯუმბერმა იუარა, – არ შეწუხდეთ, სასწრაფოდ უნდა გავბრუნდეთ, ბილეთები თბილისშივე გვაქვს შეძენილი, თვითმფრინავზე გვეჩქარებაო!

აიკრიფნენ, წავიდნენ. მაშინღა მივხვდით, რომ ჯუმბერმა ის წინ და უკან მოგზაურობა ჩემი ცოლშვილის ჩამოსაყვანად მოაწყო.

კატორღელი მეგობრებისგან არაფერი გამკვირვებია, ისინი ჩვენი სამმოს ზნეობრივი კოდექსის მიხედვით მოიქცნენ, ანალოგიურ შემთხვევაში მეც ასე გავრჯილვარ ხოლმე, მაგრამ დავიდოთ გულზე ხელი, ბევრი მოიქცეოდა ისე, როგორც ჯუმბერი მოიქცა?! მით უმეტეს, რომ არცთუ ძალიან ახლობლები ვიყავით მაშინ. ამგვარი რამ და უფრო მნიშვნელოვანიც მრავალი აქვს გაკეთებული სახელოვან მწერალს, კრიტიკოსსა და გამომცემელს ბატონ ჯუმბერ თითმერიას.

ასეთია ჯუმბერი თავის შემოქმედებაში – ალალი, პრინციპული, ადამიანის უმაღლეს სულიერ მოვალეობათა პირუთვნელად აღმსრულებელი და ყოველმხრივ მართალი რაინდი.

ღმერთო, დაუბრუნე მას და მის ნაგრამს მის მიერ დათესილი სიკეთე და გულმოწყალება.

ჭაბუა ამირეჯიბი.

ძმაო, ჯუმბერ!

ერთ სუფრასთან ჩემმა ძმამ მადლეგრძელა და „კიდევ ოცდაათი წელი იცოცხლეო“, მისურვა. მე ვუთხარი – მე კაი კაცო, ხომ უსმენ ხალხს, რამდენს მისურვებენ, სულ ას-ასი დამირიგეს-მეთქი...

ეჰ, ჩემო ძმაო, მე ძმა ვარ და ნაღდს გეუბნები, ეგენი სხვები არიან და რა ენაღვლებათო.

ძმაო ჯუმბერ, 60 წელი ბევრია და არავინ მოგატყუოს, ცოტააო...

მე ის მიხარია, რომ შენი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი კაცური ცხოვრებით განვლე და კაცთა შორის სათნოებას უნთებდი სანთელს.

მახსოვს, ერთმა ამბიციურმა პიროვნებამ კამათის დროს სთქვა: „მე ვარ ანი და ჰოე“... „ოჰ, უფალს გაუმარჯოსო“, სთქვი შენ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

რა ექნა, უნდა გავიხსენო. რომელი ყაჩაღი მე ვიყავი, მაგრამ იმ უხსენებელ და შიზოიდურ დროში, რომ არა შენ და შენი ძვირფასი მეუღლე, ჩემი ძვლებიც არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე, შენი სახლი ჩემი თავშესაფარი იყო.

შენა ხარ კაცი-იმედი და ნიმუში იმისა, თუ როგორი უნდა იყოს რაინდი ქართველი, მწერალი, მოღვაწე, მამა და მეუღლე.

დღეს ქვეყანაში, სამწუხაროდ, ურწმუნოება, ამპარტავნება, შური და ღვარძლი მეფობს, ტომობრივმა დაუნიზმმა შეჭამა საქართველო, შენ დგახარ ნათელი გონებით სიკეთის სადარაჯოზე და ემსახურები ჭეშმარიტებას.

მე მჯერა შენი ქართული, ძველებური, კოლხური შემართებისა და ამიტომაც ხმამაღლა ვამბობ, ღმერთო, უმრავლე საქართველოს ჯუმბერ თითმერიასნაირები. ახლახან მეორე შვილიშვილი შეგეძინა, გაგიმარჯოს ჯუმბერ-ბაბუ!

შენი
ჯანსუღ ჩარკვიანი.

ყველგან ხარ...

ჩემო ბატონო ჯუმბერ!
სამოცის გამხდარხარ...

ვინც გიცნობს, ალბათ, ვერ დაიჯერებს, შენი უზღვავი ენერგიის, დაუდგრომლობის, სიცოცხლის სიყვარულის გამო, ყველგან ხარ, ჭირში (განსაკუთრებით), ლხინში, მთაც შენია და ბარიც... ყველაფერს ასწრებ, ყოველთვის სადღაც გეჩქარება.

ანდაზა, — მოჩქარეს მოუგვიანდესო, შენთან არ ამართლებს. იმიტომ რომ, ერთგულად, შეგნებულად, მონდომებით, „დინჯად ჩქარობ“.

შენ გამორჩეული მწიგნობარი და სიტყვის კაცი ხარ („სიტყვა“ ჰქვია შენს ერთ-ერთ წიგნსაც), შენი ცხოვრების წესი, შენი თვალი და ყური გაქვს და ამიტომაცა ხარ ჯუმბერ თითმერია, საკუთარი სახელისა და გვარის მქონე, დიდებული კრიტიკოსი და მთარგმნელი. შენს ნაღვაწს რა ჩამოთვლის, ორიგინალური წიგნი ბევრი გაქვს და თარგმნილი შეიძვერ მეტი!

კვლავ შრომობ, კვლავ ილვწი...

შენს განუყრელ შავ ჩანთაში ყოველთვის ახალი (წაუკითხავი, წასაკითხი!) წიგნი დევს... ვიღაცას უჩვენებ, აინტერესებ, თითქოს ფხას უსინჯავ, მერე ეს წიგნი ითარგმნება, შენეული პატიოსნებით, დინჯქართულით... სხვა ჯუმბერს არ ვიცნობ.

სხვანაირი ჯუმბერი ვერ წარმომიდგენია!

სამოცი წლის ჯუმბერ თითმერიას ვესალმები.

დაგილოცავ ოჯახს!

ვლოცავ შენს ძეს, ძვირფას ლევანს, რომელიც შენეული ერთგულებით ქართული სიტყვის, ქართული წიგნის სამსახურშია!

ამაშიც ბედნიერი კაცი ხარ!

პატივისცემით,
ზაურ კალანდია.

დაუდგრომელი

პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამ კაცის ერთ ადგილზე გაჩერება შეუძლებელია. თავისი განუყრელი წიგნებით, ხელნაწერებით და ჟურნალ-გაზეთებით სავსე პორტფელით, იგი მოულოდნელად გაჩნდება ხოლმე შეკრებილთა შორის, უმალ ჩაებმება საუბარში და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ახალ-ახალ თემებს გვთავაზობს ლიტერატურული სამყაროდან.

გულგრილად არაფერზე არ ლაპარაკობს, ზოგჯერ გაცხარებულიც კია, მაგრამ კოლხური თავაზიანობა და, წარმოიდგინეთ, სირბილე, არასოდეს არ სტოვებს მას.

ჩვენ კარგა ხანს ერთად ვიმუშავეთ ჟურნალ „ხელოვნებაში“. ყოველთვის მაოცებდა და მახარებდა თავისი „პროექტების“ სიახლით. ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, თითქოს ეს კაცი აბსოლუტურად ყველაფერს კითხულობდა, ინტუიტურად აგნებდა ჩვენთვის საჭირო მასალას –ინფორმაციის ოკეანეში, სტილისტურად გაუმართავ, მაგრამ საჭირო მასალას, ისე ადვილად და მსუბუქად ხვეწდა, რომ მაგიდასთან მიჯდომა არც სჭირდებოდა. მხატვრული პროზის თუ პუბლიცისტიკის უამრავი ნაწარმოები აქვს თარგმნილი (განსაკუთრებით მომწონს შუკშინის მოთხრობების, ამ უაღრესად რუსული ქმნილებების, მისეული თარგმანი) და თეატრისთვისაც „გაუწევია სამსახური“, ბატონი მიხეილ თუმანიშვილი მეუბნებოდა, რომ ჯუმბერმა ჩემი „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ ხელახლა შეა ქართულ ენაზეო.

უშიშარი კაცია ჩვენი ჯუმბერი, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე იარა იმ ავადსახსენებელ დროს, მაგრამ მრავალთაგან განსხვავებით, არასოდეს არ მოუწონებია ამით თავი. მისი კრიტიკული წერილები გამოირჩევა პროფესიონალიზმით, დახვეწილობით, მწვავე შენიშვნების გამოთქმისას ყოველთვის იგრძნობა პატივისცემა, ვიტყოდი, მოკრძალებაც კი შემოქმედის მიმართ. მისი მახვილი თვალი და გემოვნება უმცდარად ამჩნევს ნაწარმოების უმთავრეს ღირსებას, დეტალებს, მშვენივრად „კითხულობს“ ქვეტექსტებს (ამის მაგალითია, თუნდაც, ბოლო ხანს გამოქვეყნებული მისი ესე თამაზ ჭილაძის რომანებზე) და ბოლოს, არანაკლებ მნიშვნელოვანი: შესანიშნავი ოჯახის მამაა და სასიხარულოა, რომ მისი ვაჟიშვილი ლევანი ქართული წიგნის, ქართული სიტყვიერებისთვის მზრუნველი კაცია, რომელმაც უკვე მრავალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები დაბეჭდა, ჩვენი გაჭირვებული ყოფისათვის უჩვეულოდ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

ნოდარ გურაბანიძე.

ორი აზრი ერთ ნაშრომზე

პირველი ნაშრომი სოციალურ ანთროპოლოგიაში

წლეულს ჯონ დ. და ქეთრინ ტ. მაკარტურების (აშშ, ჩიკაგო) ფონდის ხელშეწყობით, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოიცა წიგნი „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“. პროექტის ავტორი და წიგნის რედაქტორია ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ლია მელიქიშვილი.

ქართული ეთნოლოგიური სკოლა, რომელსაც ქართველი და კავკასიელი ხალხების, საქართველოში მცხოვრები არაქართული მოსახლეობის ეთნოგრაფიული კვლევის დიდი რეზერვები აქვს, XX საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დადგა. კვლევის არეალში მოექცა ეთნოჯგუფები, ეთნოკონფლიქტები, კონფლიქტური სიტუაციები, ეთნომოწყობა, რამაც გაზარდა მისი მნიშვნელობა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების პრაქტიკული მხარეების გადაწყვეტის საქმეში. თანამედროვეობამ მოითხოვა ქართული ეთნოლოგიური სკოლის ბრწყინვალე მონაპოვრის საფუძველზე, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, დარგის პრაქტიკული ღირებულების და პროგნოზირებადი ხასიათის წინ წამოწევა, მიმდინარე ცხოვრებისეული საკითხების გადაჭრაში აქტიურად ჩართვა.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ლ. მელიქიშვილის მიერ შემუშავებული პროექტი, რომელმაც საკითხის აქტუალობითა და მნიშვნელობით საერთაშორისო ფონდის მხარდაჭერა დაიმსახურა. პროექტში მონაწილე ეთნოლოგთა მეცნიერული კეთილსინდისიერებით შესრულებული ნაშრომი „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“ ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრას ემსახურება.

პირველად ეთნოლოგიურ ლიტერატურაში, ნაშრომში, ზოგადევროპულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, თავმოყრილი და შეჯამებულია კონფლიქტის თეორიული ასპექტები, ეთნოტერიტორიული კონფლიქტების არსი და დაწინაურების მიზეზები.

საქართველოს თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის ფონზე განხილულია ღია და ფარული კონფლიქტების წარმოშობის მიზეზები, სეპარატისტული მოძრაობის ხასიათი და მისგან გამომდინარე შედეგები, მინიშნებულია საქართველოსათვის ფეთქებადსაშიში რეგიონები და ჩამოყალიბებულია წინასაკონფლიქტო სიტუაციის ნაადრევად გამოვლენისა და მისი გადაჭრის გზები. საკვლევ რეგიონად შერჩეულია ნინოწმინდის რაიონში ჩამოყალიბებული მიკროკულტურული სამყარო, რომელსაც „დუხობორია“ ჰქვია, დღეს აქ ერთმანეთს გვერდით ცხოვრობს რუსი, სომეხი და ქართველი მოსახლეობა.

ეთნოგრაფიული კვლევით შესწავლილია ეთნოგარემო, სადაც ადაპტირდება მიგრირებული მოსახლეობა, გამოვლენილია ცალკეული საზოგადოების წარმომშობი ეთნიკური წრე მისთვის სახასიათო ინდივიდუალური ნიშნებით, სამეურნეო თვისებებით. დაკვირვების არეში ექცევა თანამედროვეობაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები, რაც საშუალებას იძლევა ანალიზი გაუკეთდეს წინასაკონფლიქტო სიტუაციის წარმომშობ მიზეზებს.

პროექტის საფუძველია ერთგვაროვან ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოში მოხვედრილი განსხვავებული კულტურის მატარებელი ეთნიკური ჯგუფების ტრადიციულ კულტურათა შესწავლა. წამოწეულია კულტურის ისეთი ელემენტები, რომელიც გასათვალისწინებელია კონფლიქტურ სიტუაციებში: რელიგია, ნათესაური ურთიერთობები, ქალის უფლებები, ეკოლოგიური და ადაპტაციური ფაქტორები, ეკონომიკური და მმართველობითი სისტემები, ტრადიციული ყოფითი კულტურის ინოვაციური მოვლენები. ფართო საველე მასალიდან შერჩევის წესით აღირიცხა ყველაზე მოქმედი და მნიშვნელოვანი და განხილულ იქნა როგორც კულტურულ-ისტორიული, ისე თანამედროვე სოციალური თვალსაზრისით. მოხდა მისი ანალიზი და პროგნოზირება.

აღსანიშნავია, რომ ეთნოლოგიის წინაშე ყოველთვის იდგა ეროვნული უმცირესობების შესწავლის საკითხი და მონოგრაფიულადაც საკმაოდაა დამუშავებული, ოღონდ, – საბჭოური ეთნოპოლიტიკის საფუძველზე, რომლის მიზანი ახალი ერთობისთვის – საბჭოთა ხალხის შექმნისათვის ნიადაგის მომზადება იყო. ამიტომაც იგი აგებული გახლდათ ყალბი ინტერნაციონალური გაგების, სინამდვილის იგნორირებისა და წინასაკონფლიქტო სიტუაციების დაფარვის საფუძველზე.

წარმოდგენილი ნაშრომი არის პირველი ეთნოლოგიური გამოკვლევა, სადაც ახალ ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით, მკაცრი სიმართლითა და ობიექტურობით არის ასახული კონკრეტულ რეგიონში, კერძოდ, ჯავახეთში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია. ნათლად წარმოჩენილია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ურთიერთდაპირისპირების არსებული ფაქტები, ფარული კონფლიქტის ნიშნები.

ნაშრომის უპირველეს დამსახურებად ის მიმაჩნია, რომ იგი ავლენს დარგის პრაქტიკულ დანიშნულებას, ცალკეული ეთნიკური ჯგუფების (დუხობორების, სომხების, ქართველების) ბუნებრივ პოტენციალს, მის მოთხოვნილებებს, სურვილებს, დაპირისპირების კონკრეტულ მიზეზებს და საშუალებას იძლევა ურთულეს პირობებში მოიძებნოს გზა პრობლემის გადასაჭრელად. იგი ითვალისწინებს ეთნოგრაფიული ჯგუფების ყოფით თავისებურებებს, ეთნოფსიქოლოგიას, მიდრეკილებებს, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზს და იძლევა რეკომენდაციებს ეთნოპრობლემების მოსაგვარებლად.

ამდენად, იგი ავლენს პროგნოზირებად ხასიათსაც და წინასაკონფლიქტო პერიოდში, კონკრეტული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს მოქმედების პროგრამას, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საქართველოს სხვა პოლიეთნიკური რეგიონების შესასწავლადაც.



კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში

ნაშრომი მნიშვნელოვანია მეცნიერული თვალსაზრისითაც. იგი სახავს მუშაობის ახალ ასპექტს: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების კოორდინაციას ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებათა ერთი მიმართულებით კვლევისაკენ. იგი გზას უხსნის ახალ პრობლემას, რომელიც ქართული ეთნოლოგიის საკვლევი სფეროს გაფართოებასთანაა დაკავშირებული – ე. წ. „სოციალურ-ანთროპოლოგიურ კვლევას“, რომელშიც, პროექტით შემუშავებული კვლევის ახალი ასპექტით, კომპლექსურად შეისწავლება ეთნიკური ჯგუფები, ეთნოკონფლიქტები, ეთნომოწყობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მოგახსენებთ, რომ ეს ნაშრომი ხელს უწყობს ქართული ეთნოლოგიის როლისა და მასშტაბების ზრდას, რაც მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვის საფუძველი გახდება.

მეორე მხრივ, ამ ნაშრომით ქართული ეთნოლოგია გადის საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, რაც პროექტის ავტორის ლ. მელიქიშვილის და მისი კოლექტივის (ნ. ჯავახაძე, ს. ბახია-ოქრუაშვილი, გ. ჩიქოვანი, მ. ხარშილაძე, ლ. ხუციშვილი, ვ. შუბითიძე, ნ. ცინცაძე, ქ. ხუციშვილი, მ. ვარაზაშვილი, ი. კურცხალია) გამარჯვების საწინდარია.

ხშირად ისმის კითხვა: რა ხდება ჯავახეთში, არის თუ არა იქ კონფლიქტური სიტუაციები? ამის პასუხს ნაშრომში იპოვით, რაც, ვფიქრობ, დააინტერესებს არა მარტო საზოგადოებრიობას, არამედ მმართველ წრეებსაც და იგი დაფიქრებისა და განსჯის საგნად გადაიქცევა.

თამილა ცაგარეიშვილი,
ეთნოლოგი.

საჭირო წიგნი მცდარი მეთოდოლოგიით

ნაშრომის – „კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში“ – მიზანია ჯავახეთში დუხობორების, სომხებისა და ქართველების პოლიეთნიკურ საზოგადოებაში გამოავლინოს არსებული წინააღმდეგობანი, რომლებიც კონფლიქტურ სიტუაციებს ქმნიან, მეცნიერულ კვლევა-ძიებაზე დამყარებით გამომუშავდეს პრაქტიკული რეკომენდაციები, რათა აღიკვეთოს ამ კონფლიქტთა გამწვავება და დაისახოს მათი უმტკივნეულოდ განმუხტვის გზები.

მიზანი მეტნაკლებად მიღწეულია. სამუშაო, ძირითადად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა, ეთნოგრაფმა სპეციალისტებმა შეასრულეს. სწორედ მათი ძალისხმევით მივიღეთ ფრიად საჭირო წიგნი. კვლევის ობიექტად ჯავახეთი სწორად შეირჩა. საქართველოს ეს უძველესი ისტორიული კუთხე მტერმა ხომ ბაბილონის გოდოლად გადააქცია. ვინაიდან ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს დღეს, საერთო შეჭირვების გამო, საველე-სამეცნიერო საქმიანობის არავითარი შესაძლებლობა არ აქვს, ამიტომ მეცნიერები იძულებული არიან დამქირავებლები იშოვონ და, აქედან გამომდინარე, წიგნები შეკვეთით დაწერონ. აშკარაა, რომ ეს წიგნიც შეკვეთითაა დაწერილი, რამაც, ძალაუნებურად, განაპირობა მისი მცდარი მეთოდოლოგია. წიგნს მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი სცემს, რომლის არსებობა მე პირადად ამ ნაშრომის გამოსვლით შევიტყვე.

რუსული კომუნისტური იმპერიის დამხობის შემდეგ თავისუფლებას, დამოუკიდებლობას დაწაფებული, ჩაგრული ხალხები ბნელმა ძალებმა დივერსიულ ომში ჩაითრიეს. კავკასიის, შუა აზიის, ბალტიისპირეთის და სხვა სისხლიანი მოვლენები სწორედ ამან განაპირობა და არა ყბადაღებულმა ე. წ. „ეთნოკონფლიქტებმა“, რასაც ასე დაჟინებით ნერგავენ ჩვენთან რუსული თუ უცხოური სპეცსამსახურები, რათა მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი შეაცდინონ. სწორედ ამ უკუღმართობის გამო აქციეს ბუნებით ფილანტროპი, მარად სხვისი შემფარე და მფარველი ქართველი ხალხი აფსუათა და ოსთა „დამპყრობლად“, ხოლო საქართველოს „მცირე იმპერიის“ დამღა მიაკრეს.

სხვათა შორის, ჩვენს მეცნიერებაში „ეთნოკონფლიქტის“ ცნება აღნიშნული კრებულის მეოხებით შემოვიდა, იქ საკმაოდ კვალიფიციური მსჯელობაა ეთნოკონფლიქტების არსსა და მათი გაუვნებლობის შესაძლებლობაზე.

ეთნოკონფლიქტი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე რუსეთის სპეცსამსახურების გამართლების მომგებიან საშუალებად იქცა, მისი ძირითადი ფორმულა ასეთია: ხალხები, რომელნიც ცენტრალური, იმპერიული მმართველობის გარეშე დარჩნენ, ერთმანეთს დაერივნენ, ამიტომ იმპერიულმა ძალებმა მშვიდობის მისია უნდა შეასრულონ და ველურ, ეგზალტირებულ ბრბოებს ერთმანეთი არ ამოახოცვინონ. თითქოს ამ მოვალეობას ასრულებს რუსის ჯარი დღეს საქართველოში.

კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდვია, ოღონდ გულწრფელად მიკვირს, ავტორებმა როგორ მოახერხეს თითქმის ოთხასგვერდიანი წიგნის დაწერა, სადაც რუსეთის ფაქტორი მთლიანად მოხსნილია. ისინი რატომღაც ტვინს იჭყლეტენ მარტოოდენ ადგილობრივი გართულებებით ახსნან ის უბედურება, რაც საქართველოს მოსახლეობას თავს დაატყდა, მაშინ, როდესაც გარე და შინაფაქტორების სრული ანალიზი სასურველ შედეგს მოგვცემდა. ცალმხრივად კვლევის წარმართვა კი ერთხელ კიდევ მიმტკიცებს რწმენას, რომ სარეცენზიო ნაშრომი დაკვეთითაა დაწერილი, რათა ჩვენი ქვეყნის მწარე სინამდვილე ეთნოკონფლიქტებით გამართლდეს. ამ დროს მკვლევარები, ობიექტური ვითარების გამო, იძულებულნი არიან განაცხადონ: „ჩვენს მიერ შესწავლილ რეგიონში, ერთი შეხედვით, წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკური და სოციალური სირთულეები, ეთნიკურობა კი თითქმის მეორეხარისხოვანია“ (გვ. 2, ხაზგასმა ჩემი, ლ. ფ.).

ამრიგად, ეთნოკონფლიქტები არაფერ შუაშია და წიგნის ძირითადი მიმართულება გაუმართლებელია, თუმცა ავტორთა გარჯა მაინც საჭირო და დასაფასებელია, რადგან ამ ნაშრომით ერთხელ კიდევ მტკიცდება, რომ საქართველოში არავითარი ეთნოკონფლიქტი არ არსებობს. მოხმობილი მასალები სწორედ ამ ჭეშმარიტებას ცხადყოფს. გარდა ამისა, ჯავახეთში არსებული მდგომარეობა მეცნიერული ობიექტურობით აისახა. ამასთანავე მკითხველი იქ მნიშვნელოვან მასალას იპოვის ცალკეული ეთნოსების, კონფესიების, ეკონომიკის, ყოფის, დასახლების სტრუქტურის, მმართველობის, ფსიქოლოგიური განწყობის, ნათესაობის და სხვათა შესახებ. გაირკვა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა რეგიონში არსებულ ვითარებას ვერ ფლობს და მიმდინარე პროცესებს ვერ მართავს. კანონები, რომელთაც საქართველოს პარლამენტი იღებს, მოცემულ მხარეში ვერავითარ ზეგავლენას ვერ ახდენენ, ყველაზე მტკივნეული – მიწის საკითხი გადაუწყვეტელია. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების კანონმა, რომელსაც მიწაზე კერძო საკუთრების აღდგენა-დამკვიდრების პრეტენზია აქვს, სრული ანარქია გამოიწვია. დაინგრა და განადგურდა დუხობორთა სრულყოფილი მეურნეობა, ხოლო მიწის მაძიებელი ქართველები და სომხები ერთმანეთს დაუპირისპირა. მამასადამე, ჯავახეთში ეთნოკონფლიქტი კი არ არის მოსალოდნელი, არამედ მიწის გამო, ე. ი. საარსებო საშუალებათა გადანაწილებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. და აი, ძალაუნებურად მივადექით ყველაზე მტკივნეულ საკითხს: ბოლოს და ბოლოს ვისია ეს ჯავახეთი?!

ვინაიდან სარეცენზიო წიგნს ეთნოგრაფები წერდნენ და ეთნოგრაფია (ახლა ეთნოლოგიას რომ უწოდებენ) ისტორიული მეცნიერებაა, მოსალოდნელი იყო ჩვენ მივიღებდით ჯავახეთში დღეს არსებული მოსახლეობის მიუკერძოებელ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასახვას, მაგრამ ეს რატომღაც ასე არ მოხდა.

აი, სწორედ ასეთი პათოსი აკლია სარეცენზიო წიგნს, რაც ეთნოგრაფებს შესანიშნავად შეუძლიათ, თუ ისინი ყბადაღებულ „ეთნოკონფლიქტების“ სქემას კვლავ არ აიკვიატებენ, ისტორიულ სამართლიანობას აღადგენენ და ყოფაში მიმდინარე ეთნიკურ პროცესებს მიუკერძოებლად ასახავენ. მიუხედავად გამოვლენილი ნაკლისა, აღნიშნულ ნაშრომში ეს თითქმის მიღწეულია. ამ წიგნის რედაქცია და რეცენზირება უფრო გულდასმით, სპეციალისტების მიერ რომ მომხდარიყო, რედაქტორობა ძირითად ავტორს თვითონ არ ეკისრა, ნაშრომი გამოქვეყნებამდე ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში საჯაროდ რომ განხილულიყო, მაშინ, უეჭველია, მცდარ მეთოდოლოგიას თავს დააღწევდნენ; აღარ იქნებოდა თავის მომაბეზრებელი გამეორებები, დაიზოგებოდა დრო და ქაღალდი. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ არსებობენ „მცირე“ და „დიდი“ ერები (გვ. 35), ზედმეტია ლაპარაკი „ქართული ნაციონალიზმის გაღვივებაზე“ (გვ. 45) და ა. შ.

სამწუხაროდ, წიგნს უკიდურესი ეროვნული ნიჰილიზმი ახასიათებს.

აქვე დავძენ, რომ სარეცენზიო ნაშრომმა ერთხელ კიდევ თვალნათლივ დაგვანახა: საქართველოს რეგიონების ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევას, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. უფრო მეტიც, სახელმწიფო პოლიტიკა სწორად გააზრებულ და დაწერილ სამეცნიერო ნაშრომებს უნდა ემყარებოდეს. ბუნებრივია, ამით გადაილახება ის ემპირიზმი, რაც თანამედროვე საქართველოს მართვას ახასიათებს. ასე გადაიქცევა მეცნიერება საბაზრო ეკონომიკის მესაფერის საწარმოო ძალად და უკიდურეს ნივთიერ შეჭირვებაში მყოფ მეცნიერებს არსებობა გაუადვილდებათ...

ლევან ფრუიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთის პრემიერის სიცოცხლე საფრთხეშია

ტონი ბლერზე „ირა -ს მემკვიდრე"ნადირობს.

ბრიტანეთის მთავრობის თავმჯდომარეს ტონი ბლერს საფრთხე ემუქრება. ამჯერად საქმე ეხება არა რაღაც პარტიულ ინტრიგებს თუ პოლიტიკურ შეთქმულებებს – პრემიერის სიცოცხლეს, ისევე როგორც წამყვანი ბრიტანელი მინისტრების, სამხედროების, დეპუტატებისა და ჟურნალისტების სიცოცხლეს, საშიშროება შეექმნა. საქმე ის არის, რომ „ირა"-ს მემკვიდრეს" – ჩრდილოეთ ირლანდიის რესპუბლიკურ ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელიც „ირა"-ს გამოეყო და დაზავების პირობებს არ იცავს, – განზრახული აქვს, უახლოეს დღეებში მოაწყოს მასირებული დივერსიული კამპანია ლონდონში.

იანვრის დამლევს ბრიტანეთის დედაქალაქში გამოავლინეს „ირა-ს მემკვიდრე" ორგანიზაციაში შემავალი ბოევიკების ორი ჯგუფი, რომლებსაც მი-5-ის აგენტები უთვალთვალებდნენ. სპეცსამსახურმა დაადგინა, რომ ტერორისტებს ასაფეთქებელი მოწყობილობის უზარმაზარი არსენალი ჰქონიათ და აპირებენ დიდი ბრიტანეთის მაღალი თანამდებობის პირების მკვლელობათა სერიის მოწყობას.

„ირა-ს მემკვიდრე", რომელიც ბელფასტშია ბაზირებული, არასდროს არ ითვლებოდა მნიშვნელოვან ორგანიზაციად. მისი ბოევიკები ძირითადად იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ ცეცხლს უკიდებდნენ პოლიციის უბნებსა და პროტესტანტთა კუთვნილ სასტუმროებს, ეტყობა, ახლა „მემკვიდრის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, უფრო „შთამბეჭდავი" იმიჯი შეიძინოს.

თურქეთის სამხედრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი

ახალ ასწლეულში თურქეთის შეიარაღებული ძალები აღიჭურვება უფრო თანამედროვე სარაკეტო და სხვა სამხედრო ტექნიკით, ნათქვამია თურქეთის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემულ „თეთრ წიგნში-98". მასში გაშუქებულია ამ ქვეყნის სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიის ძირითადი მიმართულებანი, რომელსაც სიდიდით მეორე და ერთ-ერთი ყველაზე ბრძოლისუნარიანი არმია ჰყავს ნატოში.

თურქეთის სამხედრო სტრატეგია, აღნიშნულია გამოცემაში, ემყარება 4 ძირითად პრინციპს: „შეკავება, კოლექტიური უშიშროება, მოწინავე თავდაცვა და სამხედრო წვლილი მართვაში კრიზისების დროს".

პირველი პრინციპი მოტივირებულია იმის აუცილებლობით, რომ თურქეთის არმიას უნდა ჰქონდეს საკმარისი შემაკავებელი ძალა გარემომცველ რეგიონში შექმნილი არასტაბილური და გაურკვეველი ვითარების გათვალისწინებით, აგრეთვე შინაგანი და გარეშე საფრთხის მოსაგერიებლად. „კოლექტიური უშიშროება" გულისხმობს თურქეთის აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო და რეგიონული ალიანსების, უწინარესად, ნატოს საქმიანობაში: „მოწინავე თავდაცვა" – გარეშე აგრესიის მოგერიებას უმოკლეს ვადაში. „კრიზისების დროს მართვაში სამხედრო წვლილის პრინციპს", ნათქვამია „თეთრ წიგნში", განაპირობებს შესაბამისი ბალანსების შენარჩუნების საჭიროება შინაგანი და გარეშე ფაქტორების გათვალისწინებით და იგი გულისხმობს მაღალი მანევრული შესაძლებლობების და საცეცხლე სიმძლავრის ისეთი შეიარაღებული ძალების ყოლას, რომლებსაც შეუძლიათ აწარმოონ საბრძოლო მოქმედება დიდ სიღრმეში.

მომავალ ასწლეულში, ნათქვამია გამოცემაში, თურქეთის არმიის არსენალში უნდა შედიოდეს სხვადასხვა სისტემის იარაღი, რომლებსაც შეუძლია ცეცხლის დაშენა მართვადი საბრძოლო მასალების მეშვეობით, მუდმივი, სწრაფი და ეფექტიანი საცეცხლე მხარდაჭერა, თანამედროვე ჯავშანტექნიკა და ტანკებისაგან თავდასაცავი საშუალებანი, აგრეთვე საიერიშო შვეულმფრენები ჯარებისათვის, რომლებიც შეტევის ამოცანებს წყვეტენ.

იმ პროექტებს შორის, რომლებიც უნდა განხორციელდეს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროგრამის ფარგლებში, დასახელებულია უპილოტო საფრენი აპარატების, სახმელეთო კონტროლის რადიოსალოკაციო სისტემების, კავშირგაბმულობისა და ელექტრონული დაზვერვის საშუალებების, მრავალლულიანი ყუმბარსატყორცნების, გადასატანი სარაკეტო კომპლექსების, ტაქტიკური რაკეტებისა და საჰაერო დაცვის მობილური სისტემების წარმოება.

საფრა ცეცხლშია გახვეული

ხანძარი მძვინვარებს საფრაში. შაბათ საღამოდან იწვის კაპის პროვინცია ქვეყნის სამხრეთში. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. მაშველნი დროზე ხიზნავენ ხალხს დაბებიდან, რომლებსაც ხანძარი უახლოვდება. ცეცხლის ხაზი 20 კილომეტრზე გადაიჭიმა ქალაქებს პარლსა და ფრანცსშოკს შორის.

დასავლეთი წევას თავს ანებებს

სან-ფრანცისკოს სასამართლომ **PHILIP MORIS** კომპანიას მიუსაჯა, გადაიხადოს 50 მილიონი დოლარი პატრიცია ჰენლისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. ჰენლიმ ერთი წლის წინათ შეიტყო, რომ ავად არის ფილტვების კიბოს მძიმე ფორმით, რომელიც ოპერაციას არ ექვემდებარება. მან ბრალად დასდო კომპანიას, რომ დაეჩვია თამბაქოს წევას და ამასთან არ მიუღია სათანადო ინფორმაცია მისი მავნეობის შესახებ. ავადმყოფმა გაიარა ქიმიოთერაპიისა და რადიოთერაპიის კურსი, რის შემდეგაც დადგა რემისია. პატრიცია ჰენლის განზრახული აქვს, **PHILIP MORIS**-ისაგან მიღებული ფული მოახმაროს საინფორმაციო კამპანიას იმ საფრთხის შესახებ, რომელშიც იგდებენ თავს მწეველები. **PM**-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აპელაციას შეიტანს. სხვათა შორის, კომპანიის აქციები ნიუ-იორკის ბირჟაზე 8,7 პროცენტით დაეცა.

* * *

მისმა უდიდებულესობამ ელისაბედ მეორემ **GALLAHER** კომპანიას, როგორც მეფისკარის მიმწოდებელს ჩამოართვა უფლება, აღბეჭდოს **BENSON AND HADGES** სიგარეტის კოლოფზე „**BY APPOINTMENT**" ტექსტი და სამეფო გერბი, რითაც გაწყვიტა 122 წლის წინათ დადებული შეთანხმება. ღდოფლის გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით შეხვდნენ თამბაქოს წევის აკრძალვის მოძრაობის აქტივისტები. მათ არაერთგზის მკაცრად გააკრიტიკებიათ დედოფალი იმ საქონლის ფაქტობრივი მოწონებისათვის, რომელმაც მრავალი, მათ შორის, სამეფო ოჯახის წევრების სიცოცხლე იმსხვერპლა. ამასთან, **BENSON**-ის მწარმოებელს ეძლევა ერთი წლის ვადა, რათა უკან არ გაუხდეს წასაღები უკვე გამოშვებული სიგარეტი. ასე რომ, დასავლეთში თამბაქოს წევა ნამდვილად გამოდის მოდიდან.



თავიანთი ლიდერის აბდულა ოჯალანის დაპატიმრებით განრისხებული ქურთი დემონსტრანტები თავს ესხმიან გერმანიის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტებს, რომლებსაც კავშირი აქვთ თურქეთთან, – მიუხედავად კანცლერ შრედერის გაფრთხილებისა, რომ ქურთებს გაასახლებენ, თუ არ შეწყვიტეს თავიანთი აქციები. ამასობაში, თელ-ავივის წარმომადგენელთა ჯგუფი იძიებს ისრაელის ბერლინის საელჩოში ამტყდარი სროლის შედეგებს, რომლის დროსაც დაიღუპა და დაიჭრა 20-მდე ქურთი. ლონდონში ოჯალანის მომხრეებმა უკვე დატოვეს საბერძნეთის საელჩოს შენობა. თვით საბერძნეთში ოჯალანის საქმის გამო გადადგა სამი სახელმწიფო მოხელე – საგარეო საქმეთა, საზოგადოებრივი წესრიგისა და შინაგან საქმეთა მინისტრები. მათ ბრალად სდებდნენ, რომ თავი ვერ გაართვეს ოჯალანის საქმეს და პრემიერ-მინისტრმა კოსტას სიმიტისმა მათი გადადგომა მოითხოვა. სტამბოლში დაიწყო ახალი საპროტესტო დემონსტრაციები, რომლებიც ძალადობად გადაიზარდა: მანიფესტანტებმა დაწვეს რამდენიმე ავტომანქანა და ზიანი მიაყენეს შენობებს. რამდენიმე ათასი თურქი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს ქურთი სეპარატისტების წინააღმდეგ მიმართულ ოპერაციებში ჩრდილოეთ ერაყის ტერიტორიაზე.

მოსკოვში მიმდინარეობს სახელმწიფოს მეთაურისა და ევროკავშირის წარმომადგენელთა უმაღლესი დონის მოლაპარაკება. საქმე ეხება რუსეთის ეკონომიკის პრობლემებს. ევროკავშირის სახელით მოლაპარაკებაში მონაწილეობენ გერმანიის კანცლერი გერჰარდ შრედერი, რომელიც ამჟამად ევროკავშირის თავმჯდომარეა, და ევროკომისიის მეთაური ჟაკ სანტერი. რუსეთის ეკონომიკური პროგრამისა და კულტურული რეფორმების გეგმების გარდა მხარეები განიხილავენ რუსეთის ჩრდილოეთიდან დასავლეთ ევროპაში ახალი გაზსადენის მშენებლობის, აგრეთვე, ევროპის ქალაქებში მიმავალი უმნიშვნელოვანესი საავტომობილო გზების მოდერნიზაციის საკითხებს. როგორც ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა ჰანს ვან დენ ბრუკმა განაცხადა, რუსეთმა კიდევ ბევრი რამ უნდა ილონოს, რათა აღიდგინოს დასავლელი ინვესტორების ნდობა.

საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მოუწოდეს იუგოსლავიის ხალხს, მოიწონოს ნატოს გეგმა კოსოვოს კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წააწყდებიან შინაგან კონფლიქტებს და გარე იზოლაციას. თავის მხრივ, ნატოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ განაცხადა, რომ სულ მალე შეიძლება დაიწყოს საჰაერო დარტყმები სერბთა სამხედრო ობიექტებზე. რუსეთის პრეზიდენტმა ელცინმა პრეზიდენტ კლინტონთან სატელეფონო საუბრისას თქვა, რომ რუსეთი არ დაანებებს ამერიკელებს ხელი ახლონ კოსოვოს. ელცინმა ასეთი განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც ვაშინგტონმა გამოაცხადა, რომ დამატებით გზავნის ევროპაში ორმოცდაათზე მეტ თვითმფრინავს სერბეთზე შესაძლო საჰაერო დარტყმების მიყენების ოპერაციაში მონაწილეობისათვის, თუ კოსოვოს მოლაპარაკება უშედეგოდ დამთავრდა.

ავღანეთის „თალიბანის" მოძრაობის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი ვაშინგტონში შეხვდა ამერიკის ოფიციალურ პირებს, რომლებიც დამატებით ინფორმაციას აგროვებენ საუდელ დისიდენტ მილიონერზე უსამა ბენ ლადენზე. თალიბმა დიპლომატმა აბდულ ჰაკიმ მუჯაჰიდმა, რომელიც მოძრაობის წარმომადგენელია გაეროში, თქვა, რომ ბენ ლადენი ავღანეთში აღარ იმყოფება.

პრეზიდენტმა ელცინმა დაითხოვა საგადასახადო კომისიის ფედერალური სამსახურის დირექტორი სერგი ალმაზოვი. განთავისუფლებას არ მოჰყოლია არავითარი ოფიციალური განმარტება, მაგრამ მთავრობის ამასწინანდელ ანგარიშში ითქვა, რომ საგადასახადო პოლიცია არ მუშაობს დამაკმაყოფილებლად ბეგარის გასტუმრებისაგან თავის არიდების აღმოსაფხვრელად. რუსეთის პრესა გამოთქვამს ვარაუდს, რომ ალმაზოვის განთავისუფლება დაკავშირებულია ჩხრეკასთან, რომელიც მისმა უწყებამ მოიმოქმედა ბორის ბერეზოვსკის ერთ-ერთ ოფისში. გარდა ამისა, გამოთქვამენ აზრს, რომ ეს არის პრემიერ-მინისტრ პრიმაკოვის ცდა, კონტროლი დაუწესოს სახელმწიფო ადმინისტრაციის საკვანძო სფეროებს. კორესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გადასახადის აკრეფის უუნარობა ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების და, კერძოდ, ხელფასისა და პენსიების გაცემის დაყოვნების მთავარი მიზეზია.

როგორც გაეროს წარმომადგენელი იუწყება, სიერა-ლეონეში განლაგებული დასავლეთაფრიკული სამშვიდობო ძალების კონტინგენტის ასამდე სამხედრო მოსამსახურე დაკავებულია დაკითხვის მიზნით, რისი საბაბიც გახდა ცნობები მშვიდობიან მცხოვრებთა სიკვდილით დასჯის შესახებ. როგორც გაეროს საგანგებო დესპანმა ოლარა ოტუნუმ განაცხადა, ნიგერიელთა სამხედრო კონტინგენტის ორმა გენერალმა აღიარა, რომ ასეთი ექსცესები ნამდვილად იყო და თქვა, რომ დაუყოვნებლივ გაერკვევიან ბრალეულთა მიმართ. წინა კვირას გამოქვეყნდა გაეროს მოხსენება ადამიანის უფლებათა საკითხებზე, რომელშიც ნათქვამია, რომ დასავლეთაფრიკელმა მშვიდობისმყოფელებმა სიკვდილით დასაჯეს მეამბოხეთა ხელშეწყობაში ეჭვმიტანილი ათობით სამოქალაქო პირი. თვით მეამბოხეებს ასევე ბრალად ედებათ რამდენიმე ათასი მშვიდობიანი მცხოვრების გაჟლეტა უკანასკნელი ორი თვის მანძილზე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე,
კახა ძორიძე.

ჭიდაობა

„კლასიკოსებს" ბედმა გაუღიმა, „თავისუფლებს" რა ეშველებათ?

გუშინ თბილისის ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ჭიდაობის დარბაზში დამთავრდა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი. ხალიჩაზე 18 ქალაქისა და რაიონის 105 მოჭიდავე გამოვიდა. მსუბუქ (54 კგ.) და მძიმე (130 კგ.) წონებში მხოლოდ ხუთ-ხუთი მოჭიდავე ასპარეზობდა, ამიტომ ისინი წრიული სისტემით შეხვდნენ ერთმანეთს. 4-4 გამარჯვებით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ ქუთაისელი მალხაზ ნიშნიანიძე და თბილისელი რამაზ გოგელია.

58 კილოგრამ წონით კატეგორიაში არ უასპარეზია მთავარ ფავორიტს – ატლანტის ოლიმპიადის მონაწილეს (მე-4 ადგილი) კობა გულიაშვილს, ამიტომ ბათუმელმა ჯამბულ ფუტკარაძემ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხურისკენ იოლად გაიკვლია გზა – ფინალში თბილისელი ირაკლი ფუტკარაძე დაამარცხა – 10:0. შეჯიბრებაში არ მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი აკაკი ჩაჩუაც, ამიტომ 63 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონობის ფავორიტთა რაოდენობა გაიზარდა. დაძაბულ ფინალურ შეხვედრაში ქუთაისელი კახაბერ ცირამუა თავიდან კი დაწინაურდა – 6:2, მაგრამ ბოლო წამებზე მისმა ბათუმელმა მეტოქემ ბადრი ანთიძემ შეძლო მდგომარეობის გამოსწორება და ჩემპიონობის მოპოვებაც.

ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორმა ქუთაისელმა გიორგი ჯინჭველაშვილმა „თავის" წონაში (69 კგ.) არ იჭიდავა (აქ პირველი ადგილი ოზურგეთელმა ამირან სვანიძემ დაიკავა) წონის მომატების გამო. ამის მიუხედავად, უფრო მძიმეებსაც არაფერი დაუთმო და ფინალში გავიდა, სადაც ასევე ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანს ხვიჩა ბიჩინაშვილს უნდა შეხვედროდა. გიორგის ტრავმის გამო ეს ორთაბრძოლა არ შედგა.

ირანის საერთაშორისო ტურნირიდან ბრინჯაოს მედლით ახლახან დაბრუნებულმა ახალგაზრდა მოჭიდავემ გიორგი რურუამ თავის სპორტულ ყულაბას ეროვნული ჩემპიონატის „ვერცხლიც" შესძინა: ოქროს მედალი ბაღდათელ ემზარ მახარაძესთან პაექრობაში დათმო – 0:4.

97 კგ. წონით კატეგორიის მოჭიდავეთა გადამწყვეტი შერკინებისას ბათუმელმა გენადი ჩხაიძემ თბილისელ ფაია გაბელაიას პირველ სამწუთიან მონაკვეთში 11 ქულა აართვა და გაიმარჯვა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ომზარ შოშიტაშვილმა** გვითხრა:

– შეჯიბრებამ ნორმალურად ჩაიარა, გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დავაჯილდოვეთ, მაგრამ ბევრმა არც იცის, რომ ჩემპიონატი შეიძლებოდა ჩაშლილიყო: შეჯიბრების წინა დღეს ხაზინაში გვითხრეს, ფული არა გვაქვსო. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანს და მის მოადგილეს ლერი ხაბელოვს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, სასწრაფოდ ეშოვათ შეჯიბრებისათვის საჭირო თანხის ნაწილი, ზოგიც ჭიდაობის ფედერაციამ ისესხა. სამწუხაროდ, **უსახსრობის გამო, 21-22 თებერვალს დანიშნული თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ჩაიშალა.** არ ვიცით, როდის ჩავატარებთ. ვერც იმას გეტყვით, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების წინ ჩვენი მოჭიდავეები სად გაივლიან საწვრთნელ შეკრებას და რომელ ტურნირებში იასპარეზებენ...

ვაჟა დანელია.

კვარცხლბეკი

54 კგ.
1. მალხაზ ნიშნიანიძე (ქუთაისი), 2. კობა ბალავინოვი, 3. რევაზ ლომაძე (ორივე – ოზურგეთი).
58 კგ.
1. ჯამბულ ფუტკარაძე (ბათუმი), 2. ირაკლი ჭოჭუა (თბილისი), 3. ალექსანდრე კუნჭულია (ბათუმი).
63 კგ.
1. ბადრი ანთიძე (ბათუმი), 2. კახაბერ ცირამუა (ქუთაისი), 3. ლევან ოდიშარია (თბილისი).
69 კგ.
1. ამირან სვანიძე (ოზურგეთი), 2. ალექსანდრე დოხტურიშვილი (გარდაბანი) 3. გოჩა ბოცვაძე (სამგრედია).
76 კგ.
1. ხვიჩა ბიჩინაშვილი (გარდაბანი), 2. გიორგი ჯინჭველაშვილი (ქუთაისი), 3. გაბრიელ მელელაშვილი (გარდაბანი).
85 კგ.
1. ემზარ მახარაძე (ბაღდათი), 2. გიორგი რურუა (აფხაზეთი), 3. მუხრან ვახტანგაძე (ბათუმი).
97 კგ.
1. გენადი ჩხაიძე (ბათუმი), 2. ფაია გაბელაია, 3. ზაზა სილაგაძე (ორივე – თბილისი).
130 კგ.
1. რამაზ გოგელია (თბილისი), 2. მირიან გიორგაძე (თერჯოლა), 3. გიორგი წურწუმია (თბილისი).

რეტრო

მათი ოცნების გუნდი

ანდრო ჟორდანია.

გავრილ კაჩალინი.

მიხეილ იაკუშინი.

ნოდარ ახალკაცი.

1947 წლის საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ ანდრო ჟორდანია „დინამოდან" წავიდა და ორ წელიწადში თბილისის „სპარტაკი" საკავშირო პირველობის „ა" კლასის ბინადარი გახადა. მაგრამ სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო ამ თვითმყოფადმა გუნდმა 1951 წლის სეზონის ბოლოს „ა" კლასი დატოვა...

1959 წელს ანდრო ჟორდანია კვლავ დაუბრუნდა თბილისის „დინამოს". მან შეძლო კოლექტიური თამაშის დროს მაქსიმალურად გამოეყენებინა მოთამაშეთა ინდივიდუალური თავისებურებანი. სწორედ ანდრო ჟორდანიას დამსახურებით სულ მალე გამოჩნდა მიხეილ მესხის საოცარი ტალანტი და რამდენიმე წარუმატებელი სეზონის შემდეგ თბილისის „დინამომ" კვლავ მოიპოვა ბრინჯაოს მედლები.

მომდევნო, 1960 წელს თბილისის დინამოელებმა, ანდრო ჟორდანიას ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ იასპარეზეს საკავშირო თასის ფინალში, მოსკოვის „ტორპედოს" წინააღმდეგ. ალბათ, თასს დინამოელები დაისაკუთრებდნენ, რომ არა ა. ცაპოვეცკის ყოვლად არაობიექტური და უსინდისო მსაჯობა.

ქართულ ფეხბურთში გამორჩეული ადგილი უკავია მიხეილ იაკუშინს, რომლის თავკაცობით თბილისის „დინამომ" 1951 წელს საკავშირო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა, 1952 წელს კი – მე-4. 1953 წლის სეზონის დამთავრებამდე სამი თამაში იყო დარჩენილი და თბილისელებს აღარაფერი უკლდათ, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გამხდარიყვნენ...

მოგვყავს თვით მიხეილ იაკუშინის დაგვიანებული, მაგრამ სიმართლით სავსე სიტყვები: „1953 წელს გადავწყვიტეთ გვეცადა ბრძოლა ჩემპიონობისათვის და ჩვენ მოვიპოვებდით კიდეც მას, რომ არა გაუთვალისწინებელი გარემოებანი. პირველ რიგში, როგორც უკვე ვამბობდი, პირველობის დამთავრებამდე სამი თამაშით ადრე, როდესაც გუნდი ლიდერობდა, მე გადმომიყვანეს მოსკოვის „დინამოში". გარემოება ისეთი შეიქმნა, რომ მე უფლება არა მქონდა უარი მეთქვა (თუ რა გარემოება შეიქმნა 1953 წელს, ყველასათვის ცნობილია და კომენტარებისაგან თავს ვიკავებ – გ. ჩ.). ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩს მოსკოვის „ტორპედოსა" და თბილისის „დინამოს" შორის მე ვუყურებდი, როგორც ნეიტრალური პიროვნება, ვიჯექი რა მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე. თბილისელმა ფეხბურთელებმა ეს მატჩი სუფთად მოიგეს ანგარიშით 2:1, მაგრამ თამაშის ბოლოს მინდორზე გადმოცვივდნენ მოხულიგნო მაყურებლები, რომლებიც მსაჯობისადმი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. შემდეგ მათ ტრიბუნების ქვეშ გასახდელში შეაღწიეს და კვლავ გამომწვევად იქცეოდნენ. ამჟამად მოქმედი წესების თანახმად წესრიგის დაუცველობისათვის საფეხბურთო მინდვრის მასპინძლებს უსიტყვოდ ჩაუთვლიდნენ წაგებას. ლოგიკის მიხედვით, იმ დროს საჭირო იყო იგივე მომხდარიყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად, ვითომდა მსაჯობისას დაშვებული შეცდომებისთვის „ტორპედოს" პროტესტზე, რომელიც აპელაციის განხილვისას არც უნდა მიეღოთ, გადაწყვიტეს... მატჩის გადათამაშება. უსამართლობა ცხადი იყო. სამი დღის შემდეგ, მორალურად გატეხილმა თბილისელებმა ტორპედოელებთან გადათამაშებისას შეხვედრა დათმეს ანგარიშით 1:4, საბოლოოდ გუნდი დაჯილდოვდა მხოლოდ ვერცხლის მედლებით (მ. იაკუშინი. „ფეხბურთის მარადიული საიდუმლო". მოსკოვი – 1988 წ.).

1963 წელს მიხეილ იაკუშინი კვლავ დაუბრუნდა თბილისის „დინამოს" მისი ხელმძღვანელობით ფორვარდთა ანსამბლი მეტრეველი, ბარქაია, კალოევი და მესხი სულ უფრო და უფრო მეთამაშდა, გაცილებით გამოსწორდა კომბინაციური თამაში, იმპროვიზაცია და შედეგიანობა, დაიხვეწა სათამაშო დისციპლინა და ა. შ.

1964 წლის სეზონი თბილისელებმა წარმატებით დაიწყეს, მათ ზედიზედ ოთხი თამაში მოიგეს. და უეცრად, უფროსი მწვრთნელი შეცვალეს – მ. იაკუშინი ისევ მოსკოვის „დინამოში" გადაიყვანეს... თბილისის „დინამოს" სათავეში ჩაუდგა გავრილ კაჩალინი, რომელსაც კოლექტივში არავითარი ცვლილება არ შეუტანია. მან ძირითადი ყურადღება მიაქცია ინტენსიურ ვარჯიშებს და გუნდში საბრძოლო სულისკვეთების შენარჩუნებას. საბოლოოდ თბილისელებმა, პირველად ისტორიაში, 1964 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვეს.

1971-1972 წლებში ქართველმა ფეხბურთელებმა, გუნდში კვლავ დაბრუნებული გავრილ კაჩალინის ხელმძღვანელობით, ზედიზედ ორჯერ მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები...

ქართული ფეხბურთის წინსვლის, მისი პროგრესისა და მსოფლიოში პოპულარიზაციისათვის ძალზე ბევრი სასიკეთო და დასამახსოვრებელი საქმე გააკეთა ნოდარ ახალკაცმა: ანდრო ჟორდანიას შემდეგ, ქართველ მწვრთნელთა შორის, არასდროს გვყოლია ისეთი გონიერი, უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტი და ორგანიზატორი, როგორც ნოდარ ახალკაცი იყო, სწორედ მისი უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ", პირველად ქართული ფეხბურთის ისტორიაში, 1976 წელს მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი, რისთვისაც მრავალი წლის მანძილზე უშედეგოდ იბრძოდა ქართველ ფეხბურთელთა რამდენიმე თაობა. 1978 წელს თბილისელები მეორედ გახდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, ხოლო 1979 წელს, აგრეთვე, მეორედ მოიპოვეს საკავშირო თასი, ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით. თბილისის „დინამო" მრავალჯერ იყო საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი.

დაუვიწყარია 1981 წლის 13 მაისი, როდესაც თბილისის „დინამომ" მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების თასი. ამ, ჯერჯერობით განუმეორებელი წარმატების ავტორი, მთელ გუნდთან ერთად, უწინარესად, ნოდარ ახალკაცი იყო...

აი, ასეთი მწვრთნელები იყვნენ: ჟიულ ლიმბეკი და მიხეილ ბუტუსოვი, მიხეილ იაკუშინი და გავრილ კაჩალინი, ანდრო ჟორდანია და ნოდარ ახალკაცი...

გურამ ჩხიკვაძე.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" №44.

ყოველი მხრიდან

მამაცი მეზღვაური ქალი გადაარჩინეს

საგანგაშო ცნობა მიიღეს ორშაბათს აფრიანი იახტების ტრადიციული დედამიწის გარშემო რბოლის მესამე ეტაპის მარშრუტიდან – 42 წლის ფრანგმა სპორტსმენტმა ქალმა იზაბელ ოტისიემ მოასწრო გადმოეცა, რომ მძლავრ შტორმში მისი იალქნიანი იახტა „პი არ ბი" გადაბრუნდა და თავად მაშველ ტივზე იმყოფება. თუმცა ეს ცნობაც ძლივს გაარკვიეს და კავშირი შეწყდა. ნავიდან უკანასკნელად გადმოცემული კოორდინატებით მიახლოებით განსაზღვრეს, რომ დრამატული შემთხვევა უნდა მომხდარიყო სამხრეთ ამერიკაში, გორნის კონცხიდან 2800 კილომეტრზე და ანტარქტიდიდან 2400 კილომეტრზე. წყნარი ოკეანის ამ რაიონში არ დაცურავენ არც სამგზავრო და არც სატვირთო გემები, არ დაფრინავენ თვითმფრინავები, თანაც შტორმი სულ უფრო ძლიერდებოდა და იქით მაშველი თვითმფრინავების გაგზავნაც შეუძლებელი იყო. ქარის ძალა საათში 60 კილომეტრი იყო, ტალღების სიმაღლე 7,5 მეტრი.

უბედურებაში მოხვედრილი კოლეგა-მეტოქის, რბოლის ერთ-ერთი ლიდერის საშველად გაეშურნენ შედარებით ახლო მყოფი სხვა იახტსმენები – იტალიელი ჯოვანი სოლდინი, ფრანგი ჟან-პიერ მულინი, ინგლისელი მაიკ გერსაიდი და ამერიკელი ბრედ ეან ლიუ. მართალია, ავარიის ადგილთან ყველაზე ახლოს იმყოფებოდა რბოლის ლიდერი მარკ ტერსელენი, მაგრამ შეელა არ შეეძლო, რადგან თავადაც დაუზიანდა იახტა.

როგორც რბოლის ამინდის სამსახურის კომანდორი ჯორჯ კარასი იტყობინებოდა, უახლეს 24 საათში უბედურების რაიონში შტორმი უფრო გაძლიერდებოდა და საათში 90 კილომეტრს სისწრაფეს შეიძენდა.

საბედნიეროდ, ყველაფერი კეთილად დასრულდა, სამშაბათს გრინვიჩის დროით 14.37 საათზე გაბედული ქალი იტალიელმა ჯოვანი სოლდინიმ აიყვანა თავის იახტაზე. მამაცი იტალიელი ზღვაოსანი დათქმულ დროში „ჩაეტია", რადგან ქარიშხალი მართლაც გაძლიერდა. მათ იახტაზე გადარჩენის სადღეგრძელოს შესმაც მოასწრეს.

სურათებზე: იზაბელ ოტისიე და მისი ხომალდი.

ძუძუც აწოვოს და ჭადრაკიც ითამაშოს?

თავისი არსებობის 75 წლის ისტორიაში **ფიდე** პირველად წავიდა ასეთ დათმობაზე. ჭადრაკის სამყაროში დამკვიდრებულია – ყველაფერი, რამაც კი თამაშის დროს მოწინააღმდეგეს შეიძლება ხელი შეუშალოს, აკრძალულია. მაგრამ ჩვენი პლანეტის საჭადრაკო მტაბმა ნება დართო მსოფლიო ჩემპიონს, იუგოსლავიელ მოჭადრაკეს ჟუჟა პოლგარს, რომელიც მარტში დედა უნდა გახდეს, ჩინელ სე ძიუნთან შეხვედრისას ძუძუ აწოვოს თავის პირმშოს, ფიდემ გაითვალისწინა ჟუჟას „განსაკუთრებული მდგომარეობა", დაუშვა პრეცედენტი და მატჩის დასაწყისი აპრილიდან მაისის ბოლოსათვის გადაიტანა.

მატჩს დაესწრება მსოფლიო ჩემპიონის მეუღლე, პროგრამისტი ისრაილიდან ჯეკ შუტმანიც, რომელიც მატჩის მსვლელობისას ბავშვზე იზრუნებს. როგორც ბრიტანეთის ჩემპიონმა ნაიჯელ შორტმა თქვა, ასეთი სიტუაცია სავსებით დასაშვებია, მაგრამ მოწინააღმდეგესთან და მატჩის მსაჯთან უნდა შეთანხმდეს ყველა წვრილმანიც, დაფასთან თამაშის დროს კი ბავშვს ძუძუ არ უნდა აწოვონ.

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონი ჟუჟა პოლგარი მეუღლესთან ერთად.

მოამზადა
ვალიკო სიმონიშვილმა.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

ავარიამ სამი სიცოცხლე შეიწირა

თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში ავტომანქანა „ვაზ-24“, რომელსაც მართავდა გიგა ჭარხალაშვილი, ავტობუსს დაეჯახა.

ავარიის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ავტომანქანის მძღოლი, მისი მეუღლე და ერთი მგზავრი. კიდევ ორი ადამიანი დაშავდა.

ავტომანქანის წართმევა მოუნდომეს, მაგრამ...

სოფელ დიდ ლილოში მცხოვრები ნუგზარ გურგულიანი და თბილისელი ლომინ ჩარკვიანი ავტომანქანა „ბმვ“ წართმევის მიზნით თავს დაესხნენ სოფელ თელეთში მდებარე ავტოგასამართ სადგურს.

სადგურის მფლობელი დავით ამონაშვილი, რომელმაც მათ წინააღმდეგობა გაუწია, თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს და მიიმალნენ.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ნუგზარ გურგულიანის ავტომანქანა „ვაზ-21011“. ხორციელდება ღონისძიება მათ დასაკავებლად.

ერთდროულად რამდენიმე დანაშაული ჩაიდინეს

საბურთალოს პოლიციის მუშაკებმა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად დააკავეს ტურიზმის სერვისის კოლეჯის სამი მოსწავლე – გიორგი ცქიტიშვილი, კობა გოგრიჭიანი და ნოდარ პერესიპკინი. მათ, ერთდროულად რამდენიმე დანაშაული ჩაიდინეს – გაქურდეს ხუთი თბილისელის ავტომანქანა.

იარაღი მუქარით წაართვეს

პოლიციამ დააკავა ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბანში მცხოვრებნი რუსლან ჩხაიძე და ლევან ბერიძე. მათ ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში, საკუთარ სახლში, მანანა ქადიძეს ძალადობით და მუქარით წაართვეს მამის, აჭარის უშიშროების სამინისტროს სწრაფი რეაგირების რაზმის თანამშრომლის რეზო ქადიძის ტაბელური ავტომატი „აკ“ მჭიდითა და 30 ვაზნით.

იარაღი ჩამორთმეულია, საქმეს საგამოძიებო დეპარტამენტის შუახევის სარაიონთაშორისო განყოფილება იკვლევს.

მიითვისა სახელმწიფო ქონება

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ხონის ჩაის მეურნეობის ყოფილი მატერიალური პასუხისმგებელი პირი გია წიწვიძე.

მას ბრალად ედება ის, რომ 1996-98 წლებში სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა და მიითვისა მეურნეობის კუთვნილი ქონება.

ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.

ღიმილის დოზა



ორნი დგანან მაღაზიაში არყის განყოფილებასთან. – რა ვქნათ, ორი ავიღოთ თუ სამი? – ალბათ, სამი... – რატომ? გუშინ სამი ავიღეთ და ერთი დაგვრჩა. – კარგი, მაშინ ორი ავიღოთ. გამყიდველს: – გოგონა, მოგვეცით ოთხი ბოთლი არაყი და ორი ირისი.

ავტობუსში ადის კაცი, რომელსაც უზარმაზარი ღიპი აქვს, და თავზე დაადგება სავარძელში მოკალათებულ ბიჭუნას: „ბიჭო, დაუთმე ადგილი აკვარიუმიან ბიძიას“. ბიჭუნა დგება და ეკითხება: „სადა გაქვთ აკვარიუმი?“ „სამი ლიტრი ლუდი და ტარანი“, – უთხრა მამაკაცმა და ღიპზე მოისვა ხელი.

ერთმანეთს ხვდება ორი ალკოჰოლიკი, ერთი მეორეს ეკითხება: – ძმურად, რომელი საათია? მეორე დიდხანს დასჩერებია საათს:

– ოცი-ოცდაათი.

მეორე ერთი წუთის შემდეგ ეკითხება: – ვერ გავიგე: ოცი თუ ოცდაათი?

პირველი დიდხანს აკვირდება საათს: – მეც ვერ გავიგე.

სიქველე

იქნებ „თელასმაც“ გამოიჩინოს ჰუმანურობა

დოლართან მიმართებაში ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნამ ყველაზე მეტად მტკივნეული დარტყმა თვიდანთვემდე „მყარი“ ხელფასებისა და პენსიების ამარა მომლოდინე მოსახლეობის უმრავლესობას რომ მიაყენა და საგრძნობლადაც დააზარალა, ფაქტია.

ამ საერთო მეჭირვების ფონზე სიღატაკის პირას მყოფი თითოეული თანამემამულის მიმართ გამოჩენილი ყურადღება და თანადგომა, მით უფრო, თუ მას უანგარო დახმარებაც ერთვის თან, ნამდვილად მისასალმებელი და დასაფასებელია.

დღევანდელ მძიმე პირობებში სწორედ ასეთი უანგარო დახმარების წყალობით შეძლეს უამრავ ლტოლვილს, ომის ინვალიდსა და უმწეოს შორის სიყვარულისა და პატივისცემის მოპოვება თბილისის ფასიანი სტომატოლოგიური ინსტიტუტის (რექტორი – აკადემიკოსი ომარ ნემსაძე) თანამშრომლებმა.

ბაქოს ქუჩაზე № 4 პოლიკლინიკის შენობაში მოთავსებული ამ ინსტიტუტის კარი მუდამ ღიაა მათთვის. მაღალკვალიფიციურ უფასო მომსახურებასთან ერთად აქ მათ ექიმების გულისხმიერებაც იზიდავთ, რომლებიც პარალელურად არც საპატრიარქოს თანამშრომლებს და უპატრონო ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს ივიწყებენ, რომლებსაც ასევე უფასოდ ემსახურებიან.

ოღონდ ეგაა, ამ კეთილშობილური მისიის აღსრულებაში მათ ხშირად ხელს უშუშლის ...

ოღონდ ეგაა, ამ კეთილშობილური მისიის აღსრულებაში მათ ხშირად ხელს უშლის უშუქობა უშლით.

იქნებ ამჯერად, თავის მხრივ, „თელასმაც“ გამოიჩინოს ჰუმანურობა და...

თეიმურაზ კინწურაშვილი.

რუსთაველის თეატრის გადასარჩენად

რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა?!

რუსთაველის თეატრის დირექტორმა გია თევზაძემ 18 თებერვალს მორიგ შეხვედრაზე მიგვიწვია – მათთან შექმნილ ახალ სამსახურთან დაკავშირებით. ამიერიდან რუსთაველის თეატრთან იარსებებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური.

თეატრის დირექტორის მიმოხილვაში კარგად გამოჩნდა, თუ რატომ არის საჭირო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გააქტიურება. შარშან, 12 დეკემბერს გამართული ტელემარათონის შემოსავალმა მხოლოდ 12000 ლარამდე შეადგინა. მთლიანად, რაც თეატრის შენობის გადარჩენის ფონდი არსებობს, 80 000 ლარამდეა შემონაწირი, მათ შორის: ჯგუფმა „სახემ“ – 3000 ლარი, კონსტანტინე რაიკინმა 5000, ვლადიმირ ვასილევმა – 2000, დავიდ სმელიანსკიმ – 1000, მამა-შვილმა კირკიტაძეებმა გერმანიიდან – 4500, „ჯეოსელმა“ – 4000, „მაკდონალდსმა“– 10 000 დოლარი შეიტანეს. კომპანია „ევრაზია ტრანსკონტინენტალმა“ (მფლობელი ნიკო მაისურაძე) ამას წინათ ოპერაში გამართული ობრაზცოვას, ქასრაშვილის და სოტკილავას კონცერტიდან 3100 ლარი შესწირა რუსთაველის თეატრს. ამ კომპანიას დაგეგმილი აქვს ხელოვნების ვარსკვლავების ჩამოყვანა თბილისში, ყველა მათგანი გარკვეულ თანხას გადასცემს თეატრის შენობის გადარჩენის ფონდს.

სახელმწიფოს მიერ 1996 წლიდან დღემდე სულ გამოყოფილია – 4,5 მილიონი ლარი. საძირკველის გასამაგრებელი სამუშაოების 70 პროცენტი შესრულებულია, ამბობს გია თევზაძე. – რუსთაველის თეატრი არ დაინგრევა, მაგრამ თეატრი მაინც საფრთხეშია. 10 დღის წინ სასტუმრო „თბილისის“ მხრიდან საძირკველში წყლის ნაკადი შემოვარდა. საჭირო გახდა 3 მეტრამდე ღრმულის რკინა-ბეტონით ამოვსება. 2000 წლამდე შესაძლებელია საძირკველის საბოლოო გამაგრება, რისთვისაც კიდევ 4,5 მილიონი ლარი დაიხარჯება, მთლიანად კი, კედლებიც რომ გამაგრდეს და რეკონსტრუქციაც გაუკეთდეს ამ საუკუნოვან ნაგებობას, 10 მილიონამდე დოლარი დაჯდება და 2002 წელს შესაძლებელი გახდება ვიზეიმოთ რუსთაველის კაპიტალურად განახლებული თეატრის გახსნა.

გია თევზაძემ მასმედიის წარმომადგენლებს წარუდგინა თეატრთან შექმნილი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ცნობილი კინომცოდნე და მოღვაწე ეთერ ოკუჯავა. ქალბატონმა ეთერმა ისაუბრა იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც 70-80-იან წლებში არსებობდა სახელმწიფოსა და თეატრს შორის – მაშინ იყო არაჩვეულებრივი ურთიერთგაგება და ამან დიდად შეუწყო ხელი რობერტ სტურუას თეატრის მსოფლიო ფენომენად აღიარებას. დღეს კი ამკარა ბზარი გაჩნდა კულტურასა და მმართველ ძალებს შორის. ახლა, როცა ცხოვრებას კაპიტალი მართავს – აღნიშნა მან, – მეწარმეები და ბანკირები წარმოადგენენ სერიოზულ ძალას, იმათ, ვისაც შეუძლია კულტურის და მთელი ქვეყნის ხსნაც. თუ დავაკვირდებით ვინ დადის თეატრში, აღმოჩნდება, რომ ძირითადად ახალგაზრდობა! ეს ძალიან კარგი პროცესია, მაგრამ თეატრის მატერიალურად გადასარჩენად ახალ თაობას არავითარი სახსარი არ გააჩნია, სანამ ამის შესაძლებლობა გაუჩნდებათ, ყველაფერი მოშლილი და დანგრეულ-გაპარტახებული აღმოჩნდება. ამიტომ უნდა მივმართოთ „ძლიერ მამებს“ – ბანკირებს, მეწარმეებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც, მართალია, ვერ იცლიან თეატრში სასიარულოდ, მაგრამ ვის ხელშიც არის ეკონომიკური ბერკეტები – ვისაც რეალურად შესწევს ძალა, დაეხმაროს სულიერების კერების გადარჩენას.

ეთერ ოკუჯავამ, ასევე რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგეებმა ლილი ფოფხაძემ და თამარ ბოკუჩავამ მასმედიის წარმომადგენლებს თანამშრომლობისაკენ მოუწოდეს, რუსთაველის თეატრის გადარჩენის საქმე ბოლომდე რომ მიიყვანონ.

თეატრში შექმნილ ახალ სამსახურსა და მასმედიას ერთობლივად მართლაც ბევრი რამ შეგვიძლია, თუმცაღა, გვესმის, რომ რუსთაველის თეატრის შენობის გადარჩენის პრობლემა არ არის იოლად გადასაჭრელი ამბავი – კოლოსალურ ძალისხმევას მოითხოვს.

რადგანაც ახალი ქვეყნის ფორმირებას მასმედიაც ახდენს, ჩვენ – „ერსა და ბერს“ უნდა გავაცნობიერებინოთ, რომ ქართული სულიერების უპირველესი ციტადელის – რუსთაველის თეატრის გადარჩენა მის თანამედროვეთა ღირსების საქმეა. ეს აქცია, სახელმწიფოებრივი აზროვნების ნიშანსვეტი უნდა გახდეს, ჩვენი ავტორიტეტის ერთგვარ გამოცდადაც უნდა ვაქციოთ – მადლობა გადავუხადოთ იმ ხალხს და ორგანიზაციებს, ვინც გაისარჯა და გარკვეული თანხა შეიტანა თეატრის შენობის გადარჩენის ფონდში; მაგალითად, თბილისის კარტოგრაფიის ფაბრიკას – 500 ლარი, ფირმა „თბილგაზმშენს“ – 500 ლარი, ბანკ „რესპუბლიკას“ – 1000 ლარი, ქუთაისის ავტოქარხანას – 2000 ლარი; ფირმა „თბილღვინოს“ – 300 ლარი, ძმებ არველაძეებს – 1500 ლარი, გრიბოედოვის თეატრს – 100 დოლარი, თემურ ჩიჩინაძეს – 250 დოლარი, ლევან გაბრიჩიძეს – 100 ლარი, ეკა მუბლაძეს – 100 ლარი, თემურ წიკლაურს – 100 ლარი, გიგი წერეთელს – 200 ლარი, მალხაზ ღოლიძეს – 100 ლარი; ყველას, ცხადია, ვერ ჩამოვთვლი.

რუსთაველის თეატრთან ძალზე მნიშვნელოვანი სამსახური გაჩნდა, მათთან ერთად ჩვენც გვმართებს სულ უფრო გავაძლიეროთ საყოველთაო მოძრაობა ქართული თეატრალური „ალმა-მატერის“ საკეთილდღეოდ. ეს იქნება გარჯა ჩვენი მომავლისათვის. ბოლოსდაბოლოს, ამქვეყნად ყოფნის არსი ხომ ის არის, რას იტყვის ჩვენზე შთამომავლობა? – სწორედ ამგვარმა საქვეყნო ფიქრმა უნდა შეგვინარჩუნოს რუსთაველის თეატრი.

გიორგი ლალიაშვილი.

სს „დიდუბის ავტოსადგურის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

1999 წლის 17 მარტს 12 საათზე გაიმართება სააქციო საზოგადოება „დიდუბის ავტოსადგურის“ აქციონერთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. დირექციისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 1998 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;
2. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში;
3. სხვადასხვა.

სს „დიდუბის ავტოსადგურის“ ადმინისტრაცია.

სიტუაცია

„ჯერ გადადგეს, შემდეგ დამკითხეთ“

ადვოკატმა ქართლოს ღარიბაშვილმა, რომლის განცხადებათა საფუძველზეც ქ. თბილისის პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება მექრთამეობის ფაქტზე, თავის მორიგ, გუშინდელ პრესკონფერენციაზე შეკრებილ ჟურნალისტებს გვამცნო: „მე შევხვდი ამ საქმის გამომძიებელს ირაკლი იმერლიშვილს და წერილობითი განცხადება დავუტოვე, სადაც ჩემს მიერ ჩვენების მიცემისა და სათანადო ინფორმაციების წარმოდგენის წინაპირობად გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ორლე ბებიას თანამდებობიდან გადადგომას ვასახელებ. ეს იმიტომ არის აუცილებელი, რომ ბებიას არ ჰქონდეს ძიების პროცესზე იურიდიული და პრაქტიკული ზემოქმედების საშუალება. თუ დადგინდება, რომ მის ქმედებაში რაიმე კრიმინალს ადგილი არ ჰქონია, იგი კვლავ დაუბრუნდება თავის თანამდებობას, მე კი მზად ვარ, ამ შემთხვევაში, ცილისწამებისათვის ვაგო პასუხი“.

ასეთი შესავლის შემდეგ ადვოკატმა ღარიბაშვილმა იმ განცხადების ტექსტი გაგვაცნო, რომლითაც 1999 წლის 19 თებერვალს მიუმართავს საქართველოს პარლამენტის სამართალდამცავი ორგანოების ზოგიერთი თანამდებობის პირის ანტიკონსტიტუციურ ქმედებათა შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის მიხეილ ოსაძისათვის: „წინამდებარე მომართვა ეხება კონკრეტულ პიროვნებას, გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსს ბატონ ორლე ბებიას. მისი საქმიანობა არის თქვენდამი დაქვემდებარებული კომისიის შესწავლის საგანი... ე. წ. „ომეგა“ – „ელიზის“ სისხლის სამართლის საქმის... წინასწარი გამოძიების გარკვეულ ეტაპზე ვღებულობდი თ. ელიზბარაშვილის და ო. ბებიას ალიანსის შესახებ ინფორმაციებს. გადამოწმების შედეგად ინფორმაციები დასტურდებოდა“. ამ განცხადებაში ადვოკატი ქართლოს ღარიბაშვილი ყურადღებას ამახვილებს საქმის იმ გარემოებებზე, რომელთაც საფუძვლად უდებს ბრალდებულსა და გამოძიებას შორის „სამმაგი ალიანსის“ არსებობას, ბოლოს კი დასძენს: „ბრალდებულ თ. ელიზბარაშვილ-გამომძიებელ ო. ბებიას ალიანსს ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ თ. ელიზბარაშვილის საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 1998 წლის 20 აგვისტოს დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო ო. ბებია ბოლო დრომდე აჭიანურებს თ. ელიზბარაშვილის საქმეზე გამოძიებას და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გავიდეს თ. ელიზბარაშვილის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემიდან 24 თვე, რომ შეწყვიტოს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე... იგი სხვა საქმეებშიც იგივეს აკეთებს. უახლოეს მომავალში მოგაწვდით არა მარტო ჩვენს ხელთ არსებულ, არამედ ჩვენს მიერ დღეის შემდეგაც მოპოვებულ ინფორმაციებს. ყოველივე... მაძლევს უფლებას მოგმართოთ თხოვნით, გამოიკვლიოთ გენერალური პროკურორის საგამოძიებო ნაწილის უფროსის ორლე ბებიას საქმიანობა აღნიშნულ თანამდებობაზე და მისცეთ მის ანტიკონსტიტუციურ საქმიანობას სათანადო შეფასება“.

ამრიგად, 1999 წლის 17 თებერვალს საქართველოს გენერალური პროკურორის სახელზე შეტანილ განცხადებას, რომლითაც ორლე ბებიას თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვს ადვოკატი ქ. ღარიბაშვილი, ორი დღის შემდეგ საქართველოს პარლამენტში შეტანილი ახალი განცხადებაც დაემატა. იმას, თუ როგორ დამთავრდება ყოველივე, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

თამაზ ქველაძე.

საქართველოს სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

საქართველოს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაციული ღონისძიებების ოპტიმიზაციის და სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის 1999 წლის სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებთან ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით საქართველოს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია აცხადებს კონკურსს.

კონკურსის პირობებია:

1. სამედიცინო საქმიანობის ლიცენზია და ცნობა კადრების ატესტაცია-სერტიფიცირების მდგომარეობის შესახებ (იმ სპეციალობებში, რომლებშიც მიმდინარეობს სერტიფიცირების პროცესი);
2. სამედიცინო დაწესებულების ჰიგიენური სერტიფიკატი, გაცემული სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობის ტერიტორიული ინსპექციის მიერ;
3. ცნობა დაწესებულებიდან 1998 წლის შემოსავლების შესახებ (სახელმწიფო პროგრამებით – სადაზღვევო, მუნიციპალური და შიდა სტანდარტებით).
4. 1998 წლის საფინანსო ანგარიშის (ბალანსი დანართებითურთ) ქსეროასლი, დამოწმებული შესაბამისი რაიონის საგადასახადო სამსახურის მიერ;
5. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრში სათანადო ანგარიშების წარდგენის დამადასტურებელი ცნობა;
6. სამედიცინო დაწესებულებებისათვის, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ იმ პროგრამებში (ფტიზიატრიის, ფსიქიატრიის, ონკოლოგიის, ჰემოდიალიზის და სხვა.), სადაც პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელია ცენტრალიზებული წესით მედიკამენტებით, სამედიცინო მასალებითა და სამედიცინო მოწყობილობებით (აპარატურით) უზრუნველყოფა, სავალდებულო პირობას წარმოადგენს აღნიშნულის შესაძენად ხელშეკრულების გაფორმება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან ან იმ რეგისტრირებულ სააფთიაქო ბაზასთან, რომელსაც იმ პერიოდისათვის აღნიშნულ საგნებზე შედარებით დაბალი ფასები ექნება;
7. პროგრამის დაწყებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამკურნალო საშუალებების მარაგის არსებობა;
8. კომპანიაში დადგენილი წესით გაფორმებული ურთიერთშედარების აქტის (1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით) წარმოდგენა;
9. ცნობა ქვეყნის სხვადასხვა მაკონტროლებელი ორგანოს მიერ 1998 წლის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულების შემოწმება-ანალიზის ჩატარების შესახებ შემოწმების შედეგების (ფინანსური და ადმინისტრაციული) ჩვენებით;
10. დაწესებულების განვითარების პერსპექტიული გეგმა (ბიზნეს-გეგმა);
11. საყოველთაო სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების განხორციელება დადგენილი პირობების, სამედიცინო დახმარების სათანადო ხარისხისა და ტარიფების დაცვით;
12. დაწესებულებაში საკასო დისციპლინის მკაცრი დაცვა.

კონკურსის პირობების მიხედვით კომპანიაში დოკუმენტაცია უნდა წარმოდგეს მიმდინარე წლის 28 თებერვლამდე.

საქართველოს სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია.

მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის სისწორის შემსწავლელი სააქციო საზოგადოება „თბილგაზის“ მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გამოვლენილი

ბუნებრივი გაზის დამტაცებლები

მხითარიშვილი, მცხოვრები ხვანჭკარის ქ. № 16-ში;

ყურაშვილი, მცხოვრები ულიანოვის II შესახვევი, № 3-ში;

ბაიაშვილი, მცხოვრები სოფ. გლდანში, ჭავჭავაძის ქ. № 3-ში;

ვარდიაშვილი, მცხოვრები სოფ. გლდანში ჭავჭავაძის ქ. № 1-ში;

ბიჩინაშვილი, მცხოვრები სოფ. გლდანში ჭავჭავაძის ქ. № 5-ში;

ჭიკაძე, მცხოვრები სოფ. გლდანში ჭავჭავაძის ქ. № 2-ში;

აბულაშვილი, მცხოვრები სოფ. გლდანში ჭავჭავაძის ქ. № 2-ში;

ხარიძე, მცხოვრები გაზის დასახლებაში;

ბადურაშვილი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

შიუკაშვილი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

იმერლიშვილი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ბაზაევი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ტაბატაძე, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ხიზანიშვილი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ბიჩინაშვილი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ხარატიშვილი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ბიგანიშვილი, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ბარამიძე, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში;

ხაჩიძე, მცხოვრები გლდანის II მიკრორაიონის 42 კორპუსში.

მოხმარებული ბუნებრივი გაზის ურჩი გადამხდელები

გაგნიძე, მცხოვრები ვარკეთილის II მიკრორაიონის 10 კორპუსში;

კოკაია, მცხოვრები ვარკეთილის II მიკრორაიონის 5 კორპუსში;

ახალაია, მცხოვრები ვარკეთილის II მიკრორაიონის 4 ა კორპუსში;

ბუხრაშვილი, მცხოვრები ვარკეთილის II მიკრორაიონის I კორპუსში;

ფერაძე, მცხოვრები გურამიშვილის გამზირი 39³-ში;

ალავიძე, მცხოვრები გლდანის „ა“ მიკრორაიონის 54 კორპუსში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების დეკანი, უმაღლესი სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი სახელმწიფო ჯილდოს კავალერი, შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

პოლიევქტ ისლამის ძე მანია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ადვოკატთა კოლეგია და პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, პრეზიდიუმის საფინანსო განყოფილების უფროსის ლიდა კორძაიას ძმის

ჟიულერ ამბროსის ძე კორძაიას

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი 19, 20 II, 4 სთ. თბილისი, ოქიოს 13. დაკრძალვა 23 II, მესტიის რაიონში.

სოციალური უზრუნველყოფის და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ნაძალადევის რაიონული განყოფილება სამძიმარს უცხადებს მზია რაჭველიშვილს დედის

ნადია ამორღიას

გარდაცვალების გამო.

ხსოვნა

თინათინ გეგეჭკორი

არიან ადამიანები, რომელთაც წლები ვერაფერს აკლებენ.

ქალბატონი **თინა**! – მარად ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, მშვენიერი ქალბატონი. თინა გეგეჭკორმა დაამთავრა თსუ-ის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ინგლისური ენის სპეციალობით. პედაგოგიური მოღვაწეობის 64 წლის განმავლობაში, სხვადასხვა დროს, მუშაობდა საბავშვო ბაღში აღმზრდელად, გამგედ. ქ. ზუგდიდისა და თბილისის პირველ საშუალო სკოლებში ინგლისური ენის მასწავლებლად. 1961 წლიდან მუშაობდა 47-ე საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ ინგლისური ენის სწავლების დარგში. არის მე-6 კლასის ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ავტორი. მისი ინიციატივით და უშუალო ხელმძღვანელობით რესპუბლიკის სკოლებში ინერგებოდა მრავალი სიახლე, მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. იყო რესპუბლიკის მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, ღირსების ორდენის კავალერი.

ქალბატონ თინას ახასიათებდა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. იყო ენერგიული, პრინციპული, ერუდირებული, კეთილსინდისიერი, მესამურად ყურადღებიანი და თავმდაბალი, სამართლიანი და ხალასი იუმორით აღსავსე. მისი გარეგნობა ერთდროულად იტევდა სილამაზეს, სიამაყეს, სითბოსა და კეთილშობილებას.

ასეთად დარჩება მეგობრების, კოლეგებისა და თანამშრომელთა ხსოვნაში.

წმინდა ნინოს სახელობის 47-ე საშუალო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი.

გიორგი ბერიძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი ხუროთმოძღვარი **გიორგი (გივი) ვასილის ძე ბერიძე**.

იგი დაიბადა 1927 წელს თბილისში. 1954 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით და დაიწყო მუშაობა ინსტიტუტ „საქვაჭრობპროექტში“. აქ მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით დამუშავდა მრავალი ობიექტი, სავაჭრო და უნივერსალური მაღაზიების მრავალი ტიპური პროექტი.

ბოლო თხუთმეტი წლის მანძილზე იგი მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამეურნეო სამმართველოს საპროექტო ბიუროს მთავარ ინჟინრად, დირექტორად.

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ნაღდი თბილისელი, ვერის უბნიდან ფოთლების სიმწვანესთან ერთად ჩაქრა მისი სიცოცხლეც, ამ უთოვლო ზამთარს გაჰყვა, ეტყობა, იდუმალი ბილიკებით სადღაც მიღმეთში. აქ კი, ამ არეულ სამყაროში დატოვა თავისი სითბოთი და სიყვარულით სავსე უამრავი ადამიანი.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, საქართველოს არქიტექტორთა ფონდი.

გახსენება

ზურაბ ლებანიძე

უკვე სამი წელი გავიდა ამქვეყნიდან შენი წასვლის შემდეგ და მაინც ტკივილიანი მოგონებები გვაფორიაქებს. როგორ ახერხებდი ადამიანებისთვის ამდენი სითბოს გაღებას, ეს შენი საიდუმლოა... მუდამ ყურადღებიანი იყავი იმათთვისაც კი, ვისთანაც ბედმა სრულიად შემთხვევით შეგახვედრა. ოჯახში შენი, როგორც პიროვნების სახე, უკვე მაშინ გამოიკვეთა, როცა სრულიად ახალგაზრდა. ჯან-ღონით სავსე მამა ხელიდან გამოგეცალა. ჩვენ ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით ომის ვეტერანი უფროსი ძმის ოჯახთან ერთად, მაგრამ შენ-ჩემობის ჭიას არასოდეს შევუწუხებივართ – ჭირიც ერთი გვქონდა და ლხინიც. შენზე ამოსდიოდათ მზე ძმისშვილებს – მანანას და დალის. მერე, როცა ომის ავი „სახსოვარით“ გატანჯულმა ძმამ სამზეო დატოვა, მის ოჯახზე მზრუნველობა მთლიანად შენ იტვირთე, გვინდა ისიც გითხრათ, რომ წლებთან ერთად მშვენიერება ემატება შენს გოგონას – ეკას, რომ მანანამ და დალიმ კიდევ თითო ბიჭი აჩუქეს ქვეყანას. დასანანია, რომ ისინი შენს მზრუნველობას ველარ იგრძნობენ...

ყოფილი პლეხანოვის გამზირზე ახლაც ბევრს ახსოვხარ. სამეგობრო წრეში თუ რაიმე გაუგებრობა იჩენდა თავს, შენს აწონილ სიტყვას ელოდნენ. როგორი მკაცრიც უნდა ყოფილიყო განაჩენი, ყველა ხმისამოუღებლად ემორჩილებოდა, რადგან ის განაჩენი სიმართლით იყო ნაკვები.

ცხოვრება თავისი გზით მიდის, მაგრამ, ვაი, რომ ამ ლამაზ გარემოს უშენობა ძალიან ეტყობა, ძმაო!

გულნარა, მაყვალა ლებანიძეები.

ჯემალ ჩხიკვაძე

წელიწადი გავიდა იმ ავადსახსენებელი დღიდან, რაც ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ სამუდამოდ დაგვტოვე, ჩვენო **ჯემალ**. თავზარდამცემი იყო შენი წასვლა, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა.

მუხანათურად მოგეპარა სიკვდილი, მასთან შებრძოლება ვერც მოასწარი. წახვედი და დაგვტოვე გულმოკლულები: შენი ოჯახი, ნათესავები, მრავალრიცხოვანი მეგობრები, კოლეგები.

ძნელი დასაჯერებელი შეიქნა, რომ ჩვენს შორის აღარა ხარ, კეთილო, მოსიყვარულე, გულმოწყალე, უბოროტო, სპეტაკო, რაინდული ბუნების კაცო.

საოცარი თვისება აქვს დროს: დასავიწყებელს მალე გავიწყებს, მაგრამ დაუვიწყარს – პირიქით: რაც დრო გადის, უფრო გვენატრები.

იმერეთის ულამაზეს სოფელ ჩხარში დარბაისლურ ქართულ ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს კეთილშობილი კაცის ბუნება დაგყვა.

საფუძვლიანი განათლება მიიღე მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტში, ხოლო შემდეგ – იქვე, ასპირანტურაში. წარმატებით დაიცავი საკანდიდატო დისერტაცია.

თვალსაჩინო ეკონომისტი, პროფესიონალი, ყოველმხრივ დახვეწილი პიროვნება ბრძანდებოდი. სწორედ ამიტომაც, მთელი სიცოცხლის განმავლობაში პასუხსაგებ თანამდებობებზე მუშაობდი, 1995 წლიდან გარდაცვალებამდე კი საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე იყავი ეკონომიკის დარგში.

დიდხანს გვემახსოვრება, ჩვენო ჯემალ, შენებური განუმეორებელი კეთილი ღიმილი, დარბაისლური სჯა-ბაასი, დასაბუთებული, ღრმაშინაარსიანი გამოსვლები.

საქართველოს რკინიგზის მრავალათასიან კოლექტივში გიცნობდნენ და გაფასებდნენ როგორც თვალსაჩინო სპეციალისტს, ერუდირებულ, ენერგიულ და მომთხოვნ ხელმძღვანელს, გულისხმიერ ადამიანსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს.

უსაზღვროდ გიყვარდა სიცოცხლე, შენი ოჯახი, მეგობრები. იცოდი ქართული სუფრის ყადრი, გიყვარდა ლაღი მოლხენა, გშვენოდა თამადობა.

კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლებოდა. ახლა ხომ ჩვენთან ერთად მოგონებებში ცოცხლობ. შენს სახელს დავიწყების ფერფლს არ წავაყრით, სათუთად შევინახავთ შენს ხსოვნას, ჩვენო ჯემალ.

საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა-98“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
რუსლან რუსია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ საგაზეთო კორპუსში, ხოშტარიას 29.